

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

თამარ ღვამიჩავა

საკასაციო საჩივრის დასაშეებობა

ადმინისტრაციულ პროცესში

(შედარებითი ანალიზი)

სადისერტაციო ნაშრომი

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ირმა ხარშილაძე

სამართლის დოქტორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

თბილისი

2017 წ.

შინაარსი

შე ს ა ვ ა ლ ი.....	6
თავი 1. კასაციის იურიდიული ბუნება და ამოცანები	11
1.1. კასაციის წარმოშობა და განვითარება საქართველოში, საზღვარგარეთის ქვეყნებში.....	11
1.2. კასაციის არსი და მისი განსხვავება აპელაციისგან.....	16
1.3. სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში.....	22
1.4. საკასაციო სამართალწარმოების განსხვავება 1 ინსტანციის სასამართლოში არსებული სამართალწარმოებისაგან	31
1.5. ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტი და მისი თავისებურებანი.....	33
1.6. კასაციის მიზანი და ფარგლები.....	36
1.7. საკასაციო სამართალწარმოების პრინციპები.....	47
1.7.1. დისპოზიციურობის პრინციპი.....	48
1.7.2. შეჯიბრებითობისა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ; ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ბუნება.....	51
1.7.3. მოსამართლის მიერ პროცესის წარმართვის პრინციპი, კონცენტრაციის პრინციპი.....	54
1.7.4. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი.....	56
1.7.5. კანონიერების პრინციპი.....	57
1.7.6. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი.....	57
1.7.7. ადმინისტრაციული პროცესის ზეპირობისა და უშუალობის პრინციპი	59
1.7.8. ადმინისტრაციული პროცესის საქვეყნობის პრინციპი.....	60
1.7.9. სახელმწიფო ენის პრინციპი.....	62
1.8. სამართლიანი სასამართლო	64
თავი 2. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.....	69
2.1. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა).....	69
2.2. საკასაციო საჩივრის ობიექტი.....	76
2.3. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები და მათი შემხებლობა დავის საგანთან.....	77
2.4. მესამე პირების შემხებლობა დავის საგანთან.....	80
2.5. საკასაციო საჩივარის შეტანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა.....	83
2.6. საკასაციო საჩივრის შინაარსი	84
2.7. პროცესის ხარჯები.....	88

2.8. საკასაციო გასაჩივრებაზე წერილობითი უარის არარსებობა	89
2.9. საკასაციო სასამართლოს ბოჭვა, დაშვების მოცულობა და მოქმედება	90
2.9.1. საკასაციო საჩივრის დაშვების მოცულობა	91
2.9.2. საკასაციო საჩივრის დაშვების მოქმედება	94
2.9.3. საკასაციო საჩივრის დაშვების, განმხილველი სასამართლოს ბოჭვა	94
2.9.4. საკასაციო სასამართლოს ბოჭვის მოცულობა, ფარგლები	96
2.9.5. საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის მოქმედება	97
თავი 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები	98
3.1. სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება	98
3.1.1. საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის	100
3.1.2. სამართლებრივი საკითხების სასამართლოსათვის ქვემდებარეობა და საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა	106
3.1.3. სამართლებრივი საკითხების გარკვევის საჭიროება	107
3.1.4. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია	109
3.1.5. საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება	111
3.2. დივერგენტული კასაცია	112
3.2.1. საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები	112
3.2.2. სამართლებრივი საკითხების იდენტურობა	116
3.2.3. გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხები	117
3.2.4. გადასინჯვადი საკითხების სამართლებრივი მნიშვნელობა	117
3.2.5. შეუსაბამობა სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის	118
3.2.6. მიზეზ-შედეგობრიობა	119
3.3. სამართაწარმოების თავისებურება ისეთ საქმეებზე, რომლებიც განხილულია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. არსებული პრაქტიკის ანალიზი	121
3.3.1. საპროცესო ხარვეზის/დარღვევის ცნება	125
3.3.2. გამორიცხული საპროცესო ხარვეზი	126
3.3.3. საპროცესო ხარვეზის არსებობა	127

3.3.4. მიზეზ-შედეგობრიობა.....	127
3.4.სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.....	128
3.5. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში.....	130
3.6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.....	138
3.7. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის.....	143
თავი. 4 სამოსამართლო სამართალი.....	146
4.1. სასამოსამართლო სამართლის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, არსებული პრაქტიკის ანალიზი.....	146
4.2. საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილება.....	151
4.3. კონტინენტური სამართლის ქვეყნების გამოცდილება	155
დ ა ს კ ე ნ ა.....	157
ბიბლიოგრაფია	163

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურები

გვ - გვერდი

მუხ. - მუხლი

იხ. - იხილე

რედ. - რედაქტორი

შეად. - შეადარე

ა.შ. - ასე შემდეგ

წ. - წელი

სსმ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

სზაკ - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

სასკ - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

Art. Artikel - მუხლი

S. - Seite (გვერდი)

P. Page - გვერდი

BVerfGE Bundesverfassungsgerichtsentscheidungen - გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

BVerwGE Bundesverwaltungsgerichtsentscheidungen - გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება

VwGO Verwaltungsgerichtsordnung - გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

GG Grundgesetz - გერმანიის ძირითადი კანონი

VwVfG Verwaltungsverfahrensgesetz - გერმანიის კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

BGB Bürgerliches Gesetzbuch - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

შესავალი

თემის აქტუალობა

საქართველოში ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელებას ხანმოკლე ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ 2000 წლის 1 იანვარს ამოქმედდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელმაც 2005 წლიდან მოყოლებული რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, აღნიშნული შეესო ადმინისტრაციულ პროცესში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხსაც.

პრაქტიკაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ან სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანმადე არსებული პრაქტიკისაგან. ზოგჯერ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ბუნებრივია ზემოაღნიშნული მდგომარეობის დროს მხარეს უნდა მიეცეს საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა. კანონმდებელმა პროცესის მონაწილე მხარეებს მიანიჭა გასაჩივრების უკანასკნელი (თუმცა, შეზღუდული), ინდივიდუალური უფლებების დაცვის უფლებამოსილება.¹

უნდა აღინიშნოს, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების, გამოყენების აუცილებლობას. მიგვანია, რომ ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალი არის სამართლის დამოუკიდებელი და არა კმპლექსური დარგი, მას ახასიათებს ინკვიზიციურობა. არარელევანტურია, რომ მან სამართლის სხვა დარგების ნორმების მეშვეობით დაარეგულიროს ადმინისტრაციულ-პროცესუალური ურთიერთობები. ადმინისტრაციული კანონმდებლობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან ერთად არეგულირებს ადმინისტრაციული დავების საერთო სასამართლოებში განხილვისა და გაწყვეტის საპროცესო წესებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ კუთხით მოხდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის სისტემატიზაცია, მასში შეტანილ იქნას გარკვეული ცვლილებები და დამატებები, მოხდეს არსებული, საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება, აღნიშნული ინსტიტუის სრულყოფა, ადმინისტრაციულ პროცესუალური საკითხების მოწესრიგება.

¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.18.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ მნიშვნელოვანია აღნიშნულ თემაზე ჩატარებული კვლევა, რათა მოხდეს საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება და აღნიშნული საკასაციო გასაჩივრების ინსტიტუის სრულყოფა. საკასაციო საჩივარს იცნობს უცხო ქვეყნების ადმინისტრაციული საპროცესო სამართალიც, ამ კუთხით მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების გაზიარებაც, რათა განვითარდეს და დაიხვეწოს აღნიშნული ინსტიტუტი.

სააპელაციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების გასაჩივრება არ არის შესაძლებელი საკასაციო წესით, რადგან კანონმდებლობა გარკვეულ წინაპირობებზე დამოკიდებულს ხდის საკასაციო საჩივრის დასაშვებობას. მიზანი არის საკასაციო სასამართლოების განტვირთვა სრულიად უსაგნო, უმნიშვნელო სამართლებრივი დავების განხილვისაგან და მათი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. კანონმდებლის მიერ დასაშვებობის ამ წინაპირობების შერჩევა მნიშვნელოვანია კასაციის მიზნის უპირატესობის საკითხის გადასაწყვეტად დაიცვას (საყოველთაო და ინდივიდუალური ინტერესი).²

საკასაციო სასამართლოს ამოცანას წარმოადგენს მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვის უზრუნველყოფა და სამართლის განვითარებაზე საჯარო ინტერესი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ცალკეულ სამართლიან გადაწყვეტილებებზე მხარეთა ინტერესების დაცვა.

ადმინისტრაციულ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების დადგენას, ასევე ისეთი საკითხების განხილვას როგორცაა, სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, სამოსამართლო სამართლის განვითარება და დამკვიდრება საქართველოში.

ერთიანი სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის განვითარების საყოველთაო ინტერესის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია კასაციის ფუნქციონალური კომპეტენცია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ელემენტების გადახედვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, გადასინჯვადი უფლების შეზღუდვა, საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შემოფარგვლა, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ბოჭვა და საკასაციო სასამართლოს ვალდებულება, საფუძვლიანად განიხილოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ყველა საკასაციო საჩივარი.³

-მნიშვნელოვანია, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხი, რომელიც უნდა იყოს ამომწურავი და

² იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 17-18.

³ იქვე, გვ. 21.

სრულყოფილად დასაბუთებული, მასში ზუსტად იყოს განმარტებული დასაშვებობის სამართლებრივი საფუძვლები, მათი შინაარსი და არ იწვევდეს ბუნდოვანებას.

- ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და მათი მიზანშეწონილობის საკითხების განსაზღვრა. უზენაესი სასამართლოს როლი მნიშვნელოვანია ასევე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებზე ზედამხედველობის განხორციელების კუთხით, მათ მიერ კანონის სწორად გამოყენებისა და სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზნით.

- ვფიქრობთ, რომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია სასამართლოს რეფორმირების საკითხი.

ხშირად კანონმდებლობაში ადგილი აქვს გარკვეული ხარვეზების არსებობას, ასეთ დროს, აუცილებელია და საჭიროა სასამართლოს მიერ მოხდეს მათი შევსება. ეს ყოველივე ცხადყოფს სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბების და განვითარების აუცილებლობას ქართულ სამართლებრივ სისტემაში. ადმინისტრაციული სამართლის წყაროებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასამართლო პრეცედენტსა და სასამართლო პრაქტიკას.

უნდა ღინიშნოს, რომ დღესდღეობით საქართველოში, ადმინისტრაციული პროცესის მიმართულებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობასა და მის პრაქტიკულ დანიშნულებაზე არ არსებობს არც ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რაც ცალსახად მიუთითებს საკვლევი თემის დამუშავების აუცილებლობაზე, მის აქტუალობაზე.

კვლევის მიზანი და შესწავლის საგანი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება სადისერტაციო ნაშრომის მიზანიც. ნაშრომის მიზანია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკის შესწავლა, დამუშავება, მისი შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორების ჩვენეული ვერსიების ჩამოყალიბება საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების გაზიარების შედეგად.

კასაცია, როგორც სისტემური ცნება თავისი მნიშვნელობით გულისხმობს მესამე ინსტანციის სასამართლოს მიერ მეორე ინსტანციის ანუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვას სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო გასაჩივრების ინსტიტუტი დასაბამს იღებს მე-16 საუკუნეში ნაპოლეონის დროინდელი საფრანგეთის კანონმდებლობიდან (საკასაციო ტრიბუნალი). მე-19 საუკუნეში საკასაციო

სასამართლოები შეიქმნა ბელგიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, ესპანეთში, რუმინეთში, საბერძნეთში და სხვა.⁴

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ ასპექტებს განიხილავს და არ აწარმოებს საქმის არსებითად განხილვას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების პროცესუალური ინსტიტუტი რამდენიმე მიზანს ისახავს: მხარის ინტერესების დაცვა და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვა და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება.

კასაციის ძირითადი მიზანი სწორედ მხარეების კანონიერი ინტერესების დაცვა, სამართლის განვითარება და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფაა.

გამოყენებული მეცნიერული კვლევის მეთოდები

ნაშრომის დამუშავების დროს ვეცადეთ გამოგვეყენებინა მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები როგორცაა: ემპირიული გამოკვლევის მეთოდი - შედარება. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს საკვლევი ნორმები შევადაროთ სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში არსებულ ანალოგიურ საკითხებს, საერთო პრობლემატიკას, საკითხის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს.

აუცილებელია განისაზღვროს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა გამოსაკვლევი თემის ცნება, დამახასიათებელი ნიშნები, მოხდეს მათი საფუძვლიანად განმარტება და ამისათვის გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები: ანალიზი, აბსტრაგირება, სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია.

დისერტაციის სტრუქტურის აღწერა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავისა და დასკვნისაგან. დისერტაციის მოცულობა შეადგენს 170 გვერდს, რომელშიც შედის ლიტერატურის ნუსხა 8 გვერდზე.

პირველი თავი ეხება კასაციის იურიდიულ ბუნებასა და ამოცანებს, მასში განხილულია კასაციის წარმოშობა და განვითარება, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. აქვე საუბარია პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოების წესებს შორის არსებულ თავისებურებებსა და განსხვავებებზე. განხილულია ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტი. საუბარია კასაციის მიზანსა და ფარგლებზე, მის ძირითად არსსა და ამოცანებზე. განხილულია საკასაციო სამართალწარმოების ძირითადი პრინციპები და მათი დამახასიათებელი

⁴ იხ. **თ. თოდრია**, „ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში“, თბ., 2011, გვ. 9.

თავისებურებები. ასევე საუბარია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მეორე თავში განხილულია საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა). საუბარი ეხება საკასაციო საჩივრის ობიექტს, საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე სუბიექტებს, საპროცესო ვადებსა და ხარჯებს. ასევე განხილულია საკასაციო სასამართლოს ბოჭვის და მისი მოცულობის ფარგლებთან დაკავშირებული საკითხები.

მესამე თავში განხილულია სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველები. სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე განმარტებულია თუ რას გულისხმობს საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, გარკვევის უნარიანობა, გარკვევის საჭიროება, როგორც მეცნიერების განვითარების ასევე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ამავე თავში განხილულია დივერგენტული კასაცია. საუბარია გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხების მნიშვნელობაზე, მაშინ როდესაც პრაქტიკაში ადგილი აქვს შეუსაბამობას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის.

ასევე საუბარია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ისეთ მნიშვნელოვან საფუძველზე, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. აქვე საუბარია საქმის განხილვის პროცედურაზე საკასაციო სასამართლოში. ასევე საუბარია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. განხილულია თუ რა შემთხვევებში გადაეცემა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

მეოთხე თავში საუბარია სამოსამართლო სამართლის მნიშვნელობაზე, მისი განვითარების აუცილებლობაზე და პერსპექტივებზე საქართველოში. განხილულია როგორც საერთო სამართლის ასევე კონტინენტური სამართლის ქვეყნების მაგალითზე რა ადგილი უჭირავს სამოსამართლო სამართალს პარლამენტის კანონებთან ერთად. ყურადღება გამახვილებულია უზენაესი სასამართლოს როლზე ნორმის შინაარსის განმარტების საკითხებთან დაკავშირებით.

თავი 1. კასაციის იურიდიული ბუნება და ამოცანები

1.1. კასაციის წარმოშობა და განვითარება საქართველოში, საზღვარგარეთის ქვეყნებში

„კასაციის,, (cassare) ეტიმოლოგია ლათინურ ენაში იღებს სათავეს, რაც პირველადი მნიშვნელობით ანუღირებას, გაუქმებას, ლიკვიდაციას, ბათილობას ნიშნავდა. სამართლის მეცნიერებაში მან თავდაპირველად შეიძინა საკასაციო ორგანოს მიერ ახალი არსებითი გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე გადაწყვეტილების გაუქმების მნიშვნელობა.⁵

ძველი ქართული სამართლის ისტორიის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს ყველა მკვიდრნი ორ მთავარ სამოსამართლო უწყებას ეკუთვნოდნენ. უმეტესობა სამეფო სამოსამართლო დაწესებულებებს ექვემდებარებოდა, საეკლესიო ყმათაგან შემდგარი უმცირესობა კი საკათალიკოსო სამოსამართლო დაწესებულებებს ემორჩილებოდა. სამოსამართლო უწყებასა და ოლქს მაშინ „სასჯულო სამრებლო“ პრქმევი. ეს ტერმინი დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძშია ნახმარი. სასამართლოს მაშინ „სამსჯავრო სახლი“, „საბჭო“, და „სააჯო კარი“ ეწოდებოდა. სასამართლოში გამოცხადებასაც საბჭოდ წარდგენა ეწოდებოდა. „სააჯო კარი“ ეს იყო მაშინდელი სასამართლო რომელიც ასევე განიხილავდა სამოქალაქო საქმეებს.⁶

„ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“ „სააჯო კარი“ სამოსამართლო დაწესებულების ზოგად სახელად გვევლინება და ის სასამართლოს წარმოებისა და მართლმსაჯულების საერთო დაწესებულება და შენობა უნდა ყოფილიყო. „სააჯო კარი“ რომელსაც ვაზირთა უპირველესი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი კვირაში ერთხელ მოსამართლეობდა, საქართველოს პირველი საფეხურის დაწესებულება კი არა, არამედ უმაღლესი სასამართლო უნდა ყოფილიყო, რომელშიც პირველი საფეხურის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოთა საჩივარი და, „აჯა“ ირჩეოდა ხოლმე.⁷

არა-ჩვეულებრივსა და იურიდიულად რთულ შემთხვევებში, როდესაც გასარჩევი საქმე მეტად ძნელი და სათუთი გადასაწყვეტი იყო, მეფე საკითხის გასარჩევად და გადასაწყვეტად სახელწიფო დარბაზის საგანგებო სხდომას იწვევდა ხოლმე. ასე მოქცეულა ბაგრატ IV-ე ოპიხელთა და მიჯნაძორელთა

⁵ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2, გვ. 181.

⁶ იხ. *ივ. ჯავახიშვილი*, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 341.

⁷ იქვე გვ. 341.

დავის განხილვის დროს. ამგვარად სახელმწიფო დარბაზი საქართველოს უზენაესი სასამართლოც ყოფილა.⁸

სტ. ორბელიანს მოეპოვება ერთი ფრიად საყურადღებო ცნობა, რომლითგანაც ჩანს, რომ თამარის მეფობაში რთული დავის გადასაწყვეტად ერთი მეტად იშვიათი და იმ დროისათვის გასაოცარი საშუალებისათვისაც მიუმართავთ: ჩვეულებრივი სასამართლოს მაგიერ, ცნობილ სჯულისმეცნიერთაგან შემდგარი სამსჯავრო მოუწვევიათ, რომელშიც საქართველოს სახელმწიფოში მაშინ არსებული სამივე სარწმუნოების ქალკიდონიან – ქართველებისა, ანტიქალკიდონელ სომხებისა და მაჰმადიანთა განთქმული სამართლის მეცნიერნი მიუხშიათ წევრებად. დავა ორ სომეხთა ეპისკოპოსს შორის იყო ატეხილი ძვირფასი ჯვრის საკუთრების გამო, რომელსაც ორივენი ერთი მეორეს ეცილებოდნენ.⁹

ამ განსაკუთრებულ სამსჯავროში საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისა და თვალსაზრისის წარმომადგენლად და დამცველად ყოფილა ჭყონდიდელი და ვაზირთა უპირველესი.¹⁰

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით პროფ. მ. კეკელიამ ჩამოაყალიბა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა ქართულ სამართალში გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებათა შესახებ. კერძოდ ჩვენში არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტი, რომელსაც „მეორედ სამართალში შესვლა“, „მეორედ სამართლის მოთხოვნა“ და „მეორედ მიცემული სამართალი“ ეწოდებოდა; საქართველოში არსებული გასაჩივრების ინსტიტუტი საგრძნობლად განსხვავდებოდა კლასიკურად აღიარებული აპელაციისა და კასაციისაგან; სათანადოდ უფლებამოსილი პირები (მეფე, დედოფალი, ბატონიშვილები, კათალიკოსი) ჯერ საქმის მეორედ განხილვის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტდნენ, ხოლო შემდეგ ირჩეოდა საქმე; XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში ნამდვილად არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტი, რომელიც აპელაციურ ხასიათს ატარებდა; მეფის გარდა, განმეორებით საქმის გარჩევაზე საჩივრის მიღებისა და განხილვის უფლება ჰქონდათ დედოფალს, ბატონიშვილებს და კათალიკოსს.¹¹

როგორც ვხედავთ, საქართველოში უძველესი დროიდან იცნობდნენ სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ინსტიტუტს.¹²

⁸ იხ. ივ. ჯავახიშვილი., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 342.

⁹ იქვე, გვ. 342.

¹⁰ იქვე, გვ. 342.

¹¹ იხ. გ. ხრუსტალი., კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ, 2004, გვ. 3-4.

¹² იხ. გ. ხრუსტალი., საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2009, გვ. 38-45.

თანამედროვე კასაცია წარმოიშვა საფრანგეთში და აქ მიიღო თავისი საბოლოო სახე. მე-16 საუკუნეში უკვე არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების სამეფო საბჭოსადმი სპეციალური საჩივარი (*contrary étés et nullité*).¹³

საკასაციო ტრიბუნალი, (ნაპოლეონის მიერ გარდაქმნილი იქნა საკასაციო სასამართლოში), რომელიც დამოუკიდებელი იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, მაგრამ თვითონ არ წარმოადგენდა სასამართლო ინსტანციას.¹⁴

კასაცია როგორც სისტემური ცნება თავისი მნიშვნელობით გულისხმობს მესამე ინსტანციის სასამართლოს მიერ მეორე ინსტანციის ანუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვას სამართლებრივი და არა ფაქტობრივი თვალსაზრისით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით (სასკ) გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (გასკ) იყენებს „რევიზიის“ ცნებას. ეს სიტყვაც ლათინური წარმოშობისაა (**revidere**) და გადახედვას, გადასინჯვას ნიშნავდა. სამართლის მეცნიერებაში ის ზემდგომი სასამართლოს მიერ მხოლოდ კანონის დარღვევის და არა ფაქტების გადამოწმების თვალსაზრისით გადაწყვეტილების გადასინჯვის სამართლებრივ საშუალებას გულისხმობს.¹⁵

გერმანულ საპროცესო სამართალში, კასაციის, როგორც გასაჩივრების სახის, შედარება ხშირად ხდება რევიზიასთან მისი, გარკვეული მსგავსების გამო. ეს მსგავსება თვალშისაცემია, რადგან კასაცია წარმოადგენს, მაგალითად, იტალიასა და საფრანგეთში, ასევე სხვა ქვეყნებში, გასაჩივრების უკანასკნელ შესაძლებლობას. კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივად გადახედვას. ამით თითქმის ამოწურულია კასაციის რევიზიასთან მსგავსების ერთადერთი საშუალება. კანონდარღვევაზე მისაღები საკასაციო გადაწყვეტილების მიზანია გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. ვერ მიიღება დავის საგანზე რეფორმატორული გადაწყვეტილება, ხოლო რევიზიის დროს გასაჩივრების საბოლოო მიზანს კი არ წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება; ძირითადად, რევიზიის მოლოდინია საქმის არსებითი და საბოლოო გადაწყვეტა. ეს რეფორმატორული გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სარევიზიო სასამართლოს დისკრეციულ

¹³ იხ. *თ. თოდრია*, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 8.

¹⁴ იხ. იქვე, გვ. 8-9.

¹⁵ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2007, №2, გვ. 181. იურიდიული თვალსაზრისით, როგორც სასკ-ი, ასევე გასკ-ი ამ ცნებებს ერთიანი მნიშვნელობით იყენებს.

უფლებამოსილებას, რადგან სწორედ სარევიზიო სასამართლო უფრო მეტად ვალდებულია, თუ საკმარისია დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.¹⁶

(სასკ-ი) და ასევე (გასკ-ი) არ იძლევა კასაციის დასაშვებობის ცნების ლეგალურ დეფინიციას. კასაციის დასაშვებობა გულისხმობს იმ წინაპირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საკასაციო საჩივარი, რათა დაიწყოს საქმისწარმოება საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები მოცემულია სასკ-ის 34-ე მუხლში.¹⁷

სასკ-ი საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილებას ანიჭებს მხარეებს და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. საკასაციო საჩივრის ობიექტია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება). კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს დასაშვებობის ფორმალური და ფაქტობრივი წანამდგურების არსებობის შემოწმების ეტაპებს. საკასაციო საჩივრის შესვლის შემდეგ მოსამართლე ზეპირი განხილვის გარეშე ამოწმებს საჩივრის ფორმალურ მხარეს (შეტანილია თუ არა ვადაში, შეიცავს თუ არა ყველა რეკვიზიტს და სხვ.). თუ საჩივარი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს სსსკ-ის (396-397-ე მუხლები¹⁸), სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა მხრეთა წერილობით ან ზეპირი განხილვის გარეშე ამოწმებს დასაშვებობის ფაქტობრივ საფუძვლებს სასკ-ის (მუხლი 34-ე), რომლებზეც საუბარი დაწერილებით გვექნება ნაშრომის მომდევნო ქვეთავებში.

მაგალითად გერმანული კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის ობიექტად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. კასაციის დასაშვებობის საკითხს ანდობს სააპელაციო სასამართლოს. ქართული სამართლებრივი სისტემისაგან განსვავებით გერმანიის სასამართლო სისტემაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს არა საკასაციო არამედ სააპელაციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც არის მიმართული საკასაციო საჩივარი. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 117-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი¹⁹ განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას გადაწყვიტოს კასაციის დაშვება. უფლებამოსილი

¹⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 25.

¹⁷ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-397-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 117-ე, მე-2 ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს (VwGO).

სასამართლო საკუთარი ინიციატივით, მხარის მოთხოვნისა და შუამდგომლობის გარეშე, განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა კასაცია. კასაციის დასაშვებობის საფუძვლები ერთნაირია როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოებისთვის. იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო სასამართლომ კასაცია დაუშვებლად მიიჩნია, მხარეს უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში, კასაციის დასაშვებობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაზე. საჩივრის შემტანი პირი ვალდებულია მიუთითოს და დაასაბუთოს კანონმდებლობით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობების არსებობა.

აღნიშნულ გასაჩივრების წესთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ ქართული რეალობიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელების მიზნით, ქართული კანონმდებლობით დადგენილი გასაჩივრების წესი უფრო მისაღებია, რადგან საკასაციო საჩივრის დასაშვებობა უნდა შეამოწმოს საკასაციო სასამართლომ და არა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც არის მიმართული საკასაციო საჩივარი.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კასაცია დასაშვებია უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ან კონკრეტული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გამო.²⁰

საკასაციო სასამართლო მოწინააღმდეგე მხარეს საშუალებას აძლევს, გამოთქვას მოსაზრება საჩივრის თაობაზე, თუმცა გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშეც. საჩივრის შეტანა აჩივრებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. საჩივრის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განჩინების ფორმით. განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას, რომლის მიზანია სააპელაციო სასამართლოებისათვის სახელმძღვანელო მითითებების მიცემა დასაშვებობის პრაქტიკასთან მიმართებაში, ასევე საჩივრის ავტორისათვის განმარტება, თუ რა გახდა ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზი, განჩინება შეიძლება ჩამოყალიბდეს დასაბუთების გარეშეც, თუ არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ სიცხადე იქნას შეტანილი კასაციის დასაშვებობის წინაპირობებთან მიმართებაში ან თუ საჩივარი დაკმაყოფილდა.²¹

თუ დაკმაყოფილდა საჩივარი კასაციის დასაშვებობაზე უარისთქმის შესახებ, მაშინ საჩივრის საფუძველზე დაწყებული წარმოება გადაიზრდება და გაგრძელდება საკასაციო წარმოებად. მხარისათვის განჩინების

²⁰ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 8.

²¹ იქვე გვ. 9

გადაცემის მომენტიდან იწყება დასაბუთებული საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის დენა.

საქართველოში ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას ემსახურება უფლების დაცვის სამსაფეხუროვანი სისტემა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ დავების პირველი ინსტანციით, აპელაციისა და კასაციის წესით განხილვის გზით.²²

გერმანული ადმინისტრაციული სასამართლოს სისტემის საწყისები ძვეს XIX საუკუნეში, როცა 1863 წ. ერთ-ერთ გერმანულ სახელმწიფოში - ბადენში-დაფუძნებული იყო პირველი ადმინისტრაციული სასამართლო.²³

გერმანიაში (საერთო) ადმინისტრაციული სასამართლოების წარმოება და ორგანიზება რეგულირდება 1960 წელს მიღებული კანონით ადმინისტრაციული სასამართლოების შესახებ (შემდგომში-კას). კას §2 ითვალისწინებს სასამართლო სისტემის სამ ინსტანციას. ამჟამად გერმანიაში არსებობს პირველი ინსტანციის 53 ადმინისტრაციული სასამართლო, მეორე დონეზე იმყოფება სახელმწიფოს ფედერალურ მიწებად დაყოფის პრინციპის შესაბამისად შექმნილი 16 უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო. ადმინისტრაციულ სასამართლოს სათავეში უდგას ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო.²⁴

12. კასაციის არსი და მისი განსხვავება აპელაციისგან

საქართველოში დღეს მოქმედი საკასაციო გასაჩივრების ინსტიტუტი თავისი შინაარსითა და მიზნებით არსებითად განსხვავდება, როგორც ადრე მოქმედი კასაციისაგან, ისე სააპელაციო გასაჩივრების ინსტიტუტისაგან. კასაციისაგან განსხვავებით სააპელაციო წესით გასაჩივრების მიზანია საქმის ხელახლა გადაწყვეტა, საქმის ხელმეორედ მთლიანად ან ნაწილობრივ არსებითად განხილვა.

აპელაცია გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას, კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების გზით მხარეთა უფლებების დაცვას.²⁵

²² იხ. *მ. კობაღიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელ, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 398.

²³ იხ. *Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. А. Н. Козирина и М. А. Штагной*. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: *ო. ხარშილაძე, ნ. თესანიკოვა*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 464.

²⁴ იქვე, გვ. 465.

²⁵ იხ. *შ. ქურდაძე*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2006, გვ. 9.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ხელახლა იკვლევს საქმის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს. გასხვავებით საკასაციო ინსტანციის სასამართლოსაგან, რომელიც საკასაციო საჩივარს ამოწმებს მხოლოდ სამართლებრივი, იურიდიული თვალსაზრისით.

კასაციას, გასაჩივრების სხვა სახეებისაგან განსხვავებით, შეიძლება სამართლიანად ეწოდოს შეზღუდული აპელაცია. აპელაციის მსგავსად, კასაციაც მიმართულია ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის წინაპირობაცაა საამისო უფლებამოსილი პროცესის მონაწილე პირის შესაბამისი საპროცესო ქმედება (მხარის ქმედება). გასაჩივრების ორივე სახეს აქვს სუსპენზიური ეფექტი, ანუ, იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში (მათ შორის, შესვლა) შეჩერებას. საკასაციო საჩივრის შეტანა განაპირობებს, სააპელაციო საჩივრის მსგავსად, დავის საგნის ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში განხილვას (დევოლუციური ეფექტი).²⁶ გასაჩივრების ორივე სახეზე ვრცელდება reformation in peius²⁷-ის აკრძალვა.

საკასაციო და სააპელაციო სასამართლოებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები:

აპელაციისათვის, როგორც სასამართლო დადგენილებათა გასაჩივრების საშუალებისათვის, დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. აპელაცია (სააპელაციო საჩივარი) შეიტანება კანონიერ ძალაში შეუსვლელ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.²⁸ ასეთი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება დაუშვებელია.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ე.წ. ნახტომისებურ კასაციას, რომლის თანახმად შესაძლებელია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების გასაჩივრება უშუალოდ საკასაციო სასამართლოში, როცა ასეთი საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას.²⁹

2. სააპელაციო საჩივრის საფუძველზე საქმე განსახილველად გადაეცემა ზემდგომ სასამართლოს;

²⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 23.

²⁷ იხ. reformation in peius – ის აკრძალვა. შეცვლა უარესობისკენ (უმაღლესი ინსტანციის მიერ უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება მსაჯვრდებულის საჩივრის საქმის განხილვის დროს). <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=11930>. > ბოლოს გამოსმობილია, 10.04.2016.

²⁸ იხ. **შ. ქურდაძე** ,, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2006, გვ. 9.

²⁹ იხ. **გ. ხრუსტალი** ,, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 2004, გვ. 9.

3. აპელაციის შეტანა განპირობებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანით, რაც სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის აზრით გამოიხატება ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენაში, ან კანონის არასწორად შეფარდებაში (გამოყენებაში), ან მხარეთა მიერ არასრულად წარმოდგენილ მასალაში, ამდენად საუბარია დაინტერესებული პირის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე მისი დაუსაბუთებლობისა და უკანონობის გამო;
4. საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის გადასინჯვის დროს განიხილავს როგორც ფაქტის საკითხებს, ისე სამართლის საკითხებსაც, ე.ი. მას უფლება აქვს შეამოწმოს საქმის, როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მხარეები იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც ამას ახორციელებს პირველი ინსტანციის სასამართლო;³⁰

უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლო ამოწმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას, თუმცა მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) სამართლებრივი (კანონიერების) მხარის შემოწმება შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების გარეშე, რაც გულისხმობს იმას, რომ საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, თუმცა იგი ამოწმებს ერთ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ მხარეს, ხოლო მეორე შემთხვევაში-ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობას. ამდენად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ კონსტატირებული საქმის ფაქტობრივი საფუძველი საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის სავალდებულოდ რჩება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის კანონიერება სადავოდ არის ქცეული.³¹

5. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს, სამართლებრივი შემოწმების ფუნქცია არ არსებობს და არც შეიძლება წარმოვიდგინოთ ფაქტობრივი გარემოებების გარეშე. უფრო მეტიც, შეუძლებელია ბოლომდე აიხსნას კანონიერების შემოწმების ფენომენი, თუ არ განისაზღვრა ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა კანონიერების შემოწმების პროცესში - რა გავლენას ახდენს ფაქტობრივი გარემოებები კანონიერების შემოწმების წესზე და საბოლოოდ რა კრიტერიუმები

³⁰ იხ. *შ. ქურდაძე* „სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2006, გვ. 9- 10.

³¹ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.12.2014 წლის განჩინება, საქმე № ბს-11-11(კ-14).

განსაზღვრავს საკასაციო სასამართლოს შემხებლობას ფაქტობრივ გარემოებებთან.³²

6. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმის განხილვის შედეგად როგორც წესი, არ აქვს უფლება საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, ვალდებულია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება;
7. სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება ჩერდება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს);
8. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება საქმის გადასინჯვის დროს შემოფარგლულია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით (TANTUM DEVOLUTUM QUANTUM APPELLATUM- რამდენიც საჩივარია იმდენი გადაწყვეტილებაა) და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საგნით. ახალი მოთხოვნები, რომლებიც არ ყოფილა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საგანი, არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სააპელაციო წარმოებაში.³³

სააპელაციო სასამართლოში შეიძლება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა, საკასაციო სასამართლოში ეს პრიციპულად დაუშვებელია, რადგან იგი გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას ამოწმებს.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუშვებელია დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, აგრეთვე შეგებებული სარჩელის აღძვრა, იგივე წესი მოქმედებს საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

სასამართლო გადაწყვეტილებთა გასაჩივრების ინსტიტუტი რომის სამართლიდან მომდინარეობს. მნიშვნელოვანია რესპუბლიკის პერიოდის პირველ ნახევარში რომის სამათალში გაბატონებული ორი სტადია *in jure* და *in judicio* პროცესი. აღსანიშნავია ის, რომ ამ პერიოდში ჩნდება გასაჩივრების პირველი მეთოდები - გადაწყვეტილების შესაცვლელად - *restitutio in integrum* (საწყის მდგომარეობაში აღდგენა).³⁴

ჩვენი წელთაღრიცხვის ბოლოს წარმოიშვა სამოქალაქო პროცესში ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა აპელაცია, რომელმაც თავისი საბოლოო სახე და ფორმა მიიღო იმპერატორ იუსტინიანეს მეფობის ხანაში (527-565 წ.წ.). XIV-XV ს.ს მიჯნაზე მოხდა რომის სამართლის ნორმების რეცეფცია გერმანულ სამართალში. რომის სამართლის, იტალიური პროცესის

³² იხ. თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 29.

³³ იხ. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2006, გვ.9- 10.

³⁴ იხ. გ. ქირია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 19.

რეცეფცია გერმანიაში დასრულდა 1495 წელს საიმპერიო სასამართლოს დაარსებით, რომელიც ამასთანავე ასრულებდა სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებსაც. საფრანგეთში აპელაციის ცნება გამოჩნდა XIII-ს ბოლოს. 1667 წლის ორდონანსით დამკვიდრდა კასაციის ინსტიტუტი (ფრანგული Kasser-ისგან „მსხვერვა“).³⁵

აპელაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „მიმართვას“.³⁶ იგი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების ერთ-ერთ ფორმას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ადმინისტრაციულ იუსტიციაში იგი წარმოადგენს თანამდებობის პირის მოქმედების (გადაწყვეტილების) გასაჩივრებას და დამახასიათებელია სახელმწიფო მმართველობისათვის. სასამართლოში კი მას სულ სხვა დატვირთვა აქვს, იგი გულისხმობს ერთხელ განხილული საქმის ხელახლა არსებით განხილვას სხვა ზემდგომი სასამართლოს მიერ.³⁷ საქართველოს კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ დაგების პირველი ინსტანციით, სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვის გზით.

მნიშვნელოვანი და პრინციპული სხვაობა მდგომარეობს, ერთი მხრივ, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის განსაკუთრებულ შეზღუდვებში, ხოლო, მეორე მხრივ, საკასაციო სასამართლოს სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებულ უფლებამოსილებაში, შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი გადახედვითა და გადასინჯვადი სამართლებრივი ნორმების გამოყენებითა და ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი დადგენის დაუშვებლობით. ეს ნიშნავს ახალი, ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ დაუდგენელი ფაქტობრივი გარემოებების ზოგადად გათვალისწინების შეუძლებლობას. იმავდროულად, მხოლოდ პირობითია საკასაციო სასამართლოს ბოჭვა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით და ბოჭვა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა საპროცესო დარღვევების დასაშვები და დასაბუთებული გარემოებები. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით შეუბოჭველობა უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს, თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ უფლებამოსილია, გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივარი გასაჩივრების უკანასკნელი შესაძლებლობაა, რისი შედეგიცაა საკასაციო გადაწყვეტილების გაუსაჩივრებადობა, მაშინ როცა სააპელაციო

³⁵ იხ. *გ. ქირია* „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი, დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 1998, გვ. 19.

³⁶ იხ. ЮРИДИЧЕСКИЙ ЕИЦИКЛОПЕДИЧЕСКТИ СЛОВАРЬ, М, 1984. С 23; უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი *მ. ჭაბაშვილი*, თბ, 1989, გვ. 48.

³⁷ იხ. *კ. კერესელიძე*, ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო და საკასაციო წარმოება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №3, გვ. 111.

სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებადია გარკვეული წინაპირობებით და, ამდენად, დაუყოვნებლივ არ შედის კანონიერ ძალაში.³⁸

აპელაცია და კასაცია ადმინისტრაციულ პროცესში გასაჩივრების დემოკრატიულ ფორმებს წარმოადგენს. მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპების უზრუნველსაყოფად ზემდგომ ადმინისტრაციულ ინსტანციაში გასაჩივრება მნიშვნელოვანია სამართლიანობის დადგენის თვალსაზრისით. ფრანგული ადმინისტრაციული იუსტიციის ინსტიტუტით გათვალისწინებული, სახელწიფო საბჭო, როგორც ზედა ინსტანცია, აკონტროლებს პირველი მოსამართლის გადაწყვეტილებას და აუქმებს მას თუ აშკარაა კანონის ან ხელისუფლების გადაშეშება.³⁹ აქედან გამომდინარე, ფრანგული კანონმდებლობით სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრება დაკავშირებულია კანონის დარღვევასთან და ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილების გადაშეშებასტანაც.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ასევე აპელაციისა და კასაციის მიზნები: ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელაციის მიზანია დაიცვას მხარეთა უფლებები, ძალაში შეუსვლელი სასამართლო გადაწყვეტილების როგორც ფაქტობრივი ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების გზით. საკასაციო სასამართლოს უფრო ფართო ამოცანები ეკისრება: გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების გზით უზრუნველყოს ჯერ ერთი, მხარეთა უფლებების დაცვა და, მეორე კანონმდებლობის ჭეშმარიტი აზრისა და შინაარსის ერთგვაროვნად გაგება, მართლმსაჯულების ერთიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.⁴⁰

საერთოდ საჩივარი არის გასაჩივრების არა ერთიანი საშუალება, არამედ გასაჩივრების სხვადასხვა შესაძლებლობის შემკრები ცნება, რომელთა ერთობლივი ნიშან-თვისებაა ის, რომ ისინი მიმართულია არა საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებების, არამედ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების, განსაკუთრებით კი, განჩინებების მიმართ. ეს უკვე არის კასაციასა და საჩივარს შორის პრინციპული განსხვავება. ის, თუ რამდენად კასაციისა თუ აპელაციის ანალოგიურ პრინციპებზეა დაფუძნებული საჩივარი, დამოკიდებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სახეზე. საგანგებო სტატუსი ენიჭება კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ შეტანილ საჩივარს, რომელიც აისახება საბოლოო გადაწყვეტილებაში საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის უარყოფითი და არარსებული ფორმის სახით. ამგვარად, საკასაციო სასამართლო არის

³⁸ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, unbenarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 23.

³⁹ იხ. **БОБОТОВ С.В.** ПРАВАСУДИЕ ВО ФРАНЦИИ М. 1994 Г. С .110-111.

⁴⁰ იხ. **გ. ხრუსტალი.** კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაცია თბ. 2004 , გვ.20.

იმავედროულად საჩივრის განმხილველი სასამართლოც. ამ სასაჩივრო სამართალწარმოების მიზანია, დასაშვებობის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დახურული საკასაციო ინსტანციის გახსნა.⁴¹

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარდა განსხვავებებისა სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოებას ბევრი საერთო ნიშანიც ახასიათებთ: კერძოდ, ეს ეხებათ გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტებს, ასევე გასაჩივრების ობიექტს, სამართალწარმოების იმ წესების დაცვით განხორციელებას, რაც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოებისთვის, გასაჩივრების პროცესუალური წესებს, გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლებს, სასამართლოს სხვადასხვა განჩინებების დამოუკიდებლად გასაჩივრებას და ა.შ.

1.3. სააპელაციო სამართალწარმოების თავისებურებანი ადმინისტრაციულ პროცესში

საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის (სსსკ-ის მუხ. 372-ე⁴²).

სასკ-ს 34-ე მუხლის 1¹ ნაწილის⁴³ თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლემ შეიძლება ერთპიროვნულად განიხილოს საპელაციო საჩივარი: ა) სასკ-ის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე;

გ) საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებულ დავებზე;

დ) საცხოვრებელი ბინის პრივატიზებასთან დაკავშირებულ დავებზე;

ე) ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავაზე საიჯარო ურთიერთობის თაობაზე;

ვ) სამშენებლო ურთიერთობიდან წარმოშობილ დავაზე;

ზ) კერძო საჩივარზე;

⁴¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.24.

⁴² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 372-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴³ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 1¹ ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

- თ) სასკ-ის 21²³ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ი) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის და მისი პირველი რიგის მემკვიდრისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავაზე;
- ი)¹ კონვენციის დარღვევის ან/და სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდის თაობაზე კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებულ დავაზე;
- კ) არასრულწლოვნის სკოლა-პანსიონში გაგზავნასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

სააპელაციო საჩივრის ობიექტია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები და მაგისტრატი მოსამართლეები. წერილობითი ფორმით შედგენილი სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტები განსაზღვრულია სსსკ-ის 368-ე მუხლით. სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს და დამატებით შემოსულ ყველა მასალას. თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში, მაშინ ეს უკანასკნელი საქმეს გამოითხოვს შესაბამისი სასამართლოდან.⁴⁴

ადმინისტრაციულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ: მხარეებს (მოსარჩელეს და მოპასუხეს), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეს და თანამოპასუხეს), მათი თანამონაწილეობის საფუძველებით განსაზღვრულ ფარგლებში, პირებს, რომლებიც არ მონაწილეობენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.⁴⁵

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აპელაციის ორი სახე: სრული აპელაცია და არასრული აპელაცია. სრული აპელაცია დამახასიათებელია საფრანგეთისა და იტალიისათვის, არასრული აპელაცია კი დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, როგორცაა გერმანია და ავსტრია.

⁴⁴ იხ. *მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 300-400.

⁴⁵ იქვე გვ. 400.

„სრული“ აპელაცია წარმოადგენს საქმის გადასინჯვას მთლიანად არა მხოლოდ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ნებისმიერი ახალი მტკიცებულების საფუძველზე. საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებაც (ახალი ფაქტობრივი მონაცემები, ახალი მოსაზრებები და ახსნა განმარტებები). მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები (სსსკ-ის 380-ე მუხლი⁴⁶), ამიტომ მას არა აქვს უფლება საქმე დააბრუნოს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში, არამედ თვითონ უნდა მიიღოს (გამოიტანოს) გადაწყვეტილება არსებითად, გამოკვლეული მტკიცებულებებისა და დადგენილი ფაქტების საფუძველზე. სრული აპელაციის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ამოწმებს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, არამედ თავად საქმესაც, ხელახლა განიხილავს რა მის ფაქტობრივ და სამართლებრივ მხარეებს. სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო იკვლევს საქმის ფაქტობრივ მხარეს სრული მოცულობით ე.ი. ახორციელებს იმავე მოქმედებებს საქმის გარემოებათა გამოსაკვლევად, მტკიცებულებათა შესაფასებლად რასაც პირველი ინსტანციის სასამართლო.⁴⁷

„არასრული“ აპელაცია წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვას იმ ფაქტობრივი მონაცემების საუბელზე, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი იყო საქმის მონაწილეთა მიერ. არასრული აპელაციის ზოგადი წესის მიხედვით სააპელაციო სასამართლოში სასამართლო განხილვისას ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითება (მათი წარდგენა) არ დაიშვება, მაგრამ გარკვეული პირობების არსებობისას ახალ მტკიცებულებებზე ან გარემოებებზე მითითება დასაშვებია. ამრიგად, არასრული აპელაციის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო საქმეს როგორც წესი, განიხილავს იმ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც უკვე იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგანი (ანუ რომლებიც გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ).⁴⁸

არასრული აპელაციის დროს სსსკ-ის 385-ე მუხლის 1-ლი⁴⁹ ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა არსებითად განსახილველად და გადაწყვეტილების გამოსატანად.

⁴⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 380-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴⁷ იხ. *შ. ქურდაძე*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2006, გვ. 12.

⁴⁸ იქვე, გვ. 10-11.

⁴⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 385-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო სრული აპელაციის დროს, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არსებითად, ხელახლა განიხილავს, ხოლო არასრული აპელაციის დროს ახდენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემოწმებას.

სააპელაციო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და წარდგენილი უნდა იყოს იმ სასამართლოში რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს: 1. იმ სასამართლოს დასახელებას რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი; 2. იმ პირის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე; 4. მითითებას იმის თაობაზე გადაწყვეტილება მთლიანადაა გასაჩივრებული თუ მისი რომელიმე ნაწილი; 5. მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი; 6. მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და იმ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს; 7. სააპელაციო საჩივარზე უნდა იყოს დართული წერილობითი მასალების ნუსხა; 8. მონაცემებს იმის შესახებ, ხომ არ სურს სააპელაციო საჩივრის წარმდგენს საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე;

სააპელაციო საჩივარი და ასევე დამატებით შემოსული მასალები სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეს არის საქმეში. სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილი უნდა იყოს საჩივრის შემტანი პირის ანუ აპელანტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. თუ, უფლებამოსილების განხორციელების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენლის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების განხორციელების დამადასტურებელი მინდობილობა. სსსკ-ის 368-ე მუხლის მე-5⁵⁰ ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო საჩივრის შემტან პირს ავალებს, შეავსოს ხარვეზი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა თხოვნით. თუ ამ ვადაში არ იქნა ხარვეზი შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე, რომლის გაგრძელება და აღდგენა კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული. გასაჩივრების ვადის დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების „გადაცემა“ გულისხმობს, გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის მხარისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის

⁵⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

უშუალოდ სასამართლოში ხელზე მიცემას, რაც მან უნდა დაადასტუროს თავისი ხელმოწერით. გადაწყვეტილების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში გასაჩივრების ვადა აითვლება გადაწყვეტილების ასლის ფოსტისთვის ან კურიერისთვის ჩაბარების მომენტიდან. საქმეში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა, რომ ამ წესით გაგზავნილი გადაწყვეტილების ასლი ჩაბადა ადრესატს.⁵¹

თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

სსსკ-ის 370-ე მუხლის⁵² თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ასეთი მიდგომა თითქოს ეწინააღმდეგება სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს ან მოპასუხეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება შეიტანოს სააპელაციო საჩივარი.⁵³

თუმცა, გამოთქმული მეორე საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, სააპელაციო გასაჩივრებაზე უარის თქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება მეორე მხარის კანონიერი ნდობა ამ უარზე. აქედან გამომდინარე მართებულია, რომ მხარე, რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, კარგავს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.⁵⁴

სსსკ-ის 374-ე მუხლის⁵⁵ თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლო აწარმოებს დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. უნდა შემოწმდეს დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის წარდგენის 14 დღიანი ვადა, ასევე პასუხობს თუ არა სააპელაციო საჩივრის შინაარსს და სააპელაციო საჩივრის შემტან პირს უარი ხომ არ აქვს ნათვამი სააპელაციო გასაჩივრებაზე, საქმის მასალებს თან ერთვის თუ

⁵¹ იხ. *მ. კობალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 400.

⁵² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 370-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁵³ იხ. *გ. ლორია.*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2004, გვ. 226.

⁵⁴ იხ. *მ. კობალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 401.

⁵⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 374-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

არა ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დასაშვებობის ყველა პირობა, სააპელაციო სასამართლო მიიღებს განჩინებას „სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მისი მომზადების შესახებ“. სასამართლო ნიშნავს სააპელაციო საჩივრის განხილვის დღეს“, რის შესახებაც მხარეს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას დადგინდა, რომ საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს და ეს ხარვეზი სასამართლოში დადგენილ ვადაში არ იქნა შევსებული, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება „სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ“.⁵⁶ რა დროსაც პირს მთლიანად უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

რაც შეეხება კერძო საჩივარს, სსსკ-ის 416-ე მუხლის⁵⁷ თანახმად კერძო საჩივრის შეტანა შესაძლებელია განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა დაიწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის⁵⁸ პიველი ნაწილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან (მუხ. 369-ე, 416-ე⁵⁹) განსხვავებულად აწესრიგებს გასაჩივრების ვადის დინების დაწყებას. გარკვეული პირობების დაცვის გათვალისწინებით, კერძოდ პროცესის მონაწილე პირს, სასამართლო აქტით უნდა განემარტოს: გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და გასაჩივრების წესი. ამავე კოდექსის მე-13-ე მუხლის მე-2 ნაწილით⁶⁰, მხარეს უნდა გადაეცეს სასამართლოს ყველა გადაწყვეტილების ასლი, რომელშიც მითითებული იქნება მხარეთა მიერ სასამართლო აქტების გასაჩივრების უფლების შესახებ ასკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესის გათვალისწინებით. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს

⁵⁶ იხ. *მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 401.

⁵⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 416-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁵⁸ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-12 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

⁵⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 369-416-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁶⁰ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

მიერ ამ პირობების დაუცველობა, კერძოდ, საპროცესო ნორმით დადგენილი რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების დარღვევა, თუნდაც ერთ-ერთის, არასასურველ შედეგს იწვევს, როგორც მოგებულ მხარის, ისე სასამართლოსათვის, რადგან სასამართლო გასაჩივრების ვადა იზრდება ერთ წლამდე.⁶¹ ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოტანის მომეტიდან, ასეთ შემთხვევაში მხარეს ეძლევა უფლება სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი წლის განმავლობაში.

სსსკ-ის 371-ე მუხლის⁶² თანახმად, სააპელაციო საჩივრის შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, გადაუგზავნის სააპელაციო სასამართლოს მთლიანად საქმეს, აგრეთვე დამატებით შემოსულ ყველა მასალას. სააპელაციო საჩივრის მიღებისას მის ასლებს სააპელაციო სასამართლო გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც შეიძლება დაუნიშნოს ვადა სააპელაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად. სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებისა და მომზადების შესახებ გამოტანილი განჩინება აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას მთლიანად ან იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართაც გამოტანილია განჩინება, რომელიც ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესვლამდე მის დაუყოვნებლივ აღსრულებას. სააპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად არჩერებს დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების მოქმედებას, ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს აპელანტის შუამდგომლობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ.⁶³

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს. რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში (სსსკ-ის მუხ. 376-ე⁶⁴).

⁶¹ იხ. *მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წიკვაძე*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ, 2005, გვ. 53.

⁶² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 371-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁶³ იხ. *მ. კობახიძე, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ, 2008, გვ. 402.

⁶⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 376-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს მეორე ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელმეორედ, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით (სსსკ-ის მუხ. 377-ე⁶⁵). სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი ასევე შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით, და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივარი, აღნიშნული წესი რეგლამენტირებულია სსსკ-ის 377-ე მუხლში.⁶⁶ ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განსჯადობას სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წინა ინსტანციაში წამოყენებული.

მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც ეხება სააპელაციო საჩივარზე უარის თქმას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა უარი აქვს თუ არა ნათქვამი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას გამოიყენება ის წესები რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები, თუმცა, თუ ეს ფაქტები და მტკიცებულებები შეიძლებოდა მხარის მიერ წარდგენილი ყოფილიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მარამ არ წარადგინა არასაპატიო მიზეზით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციული საქმის განხილველი სასამართლო უფლებამოსილია ინკვიზიციურობის პრინციპის

⁶⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 377-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁶⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 377-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

საფუძველზე, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ადმინისტრაციული დავის განსახილველად საჭირო ფაქტებისა და მტკიცებულებების მოპოვება. დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში დაუშვებელია (სსსკ-ის მუხლი. 381-ე⁶⁷).

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მიიღოს ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებები, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისთვის. ასევე შეუძლია გააზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ. სამართალწარმოება სააპელაციო სასამართლოში იწყება ზეპირი განხილვით, რომელიც დროსაც მოხსენებით გამოდის სასამართლოს ერთ-ერთი წევრი და წარმოადგენს საქმის გარემოებებს, პირველი ინსტანციის სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილს, ამის შემდეგ მხრებს ეძლევათ სიტყვა თავისი შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად. ამის შემდეგ იწყება მხარეთა მოსაზრებების მოსმენა. თუ საქმის ზეპირი განხილვისას დაშვებული იქნება ახალი მტკიცებულებები, რომელთა წარმოდგენაც არ გამოიწვევს საქმის განხილვის გადადებას, სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მისი მოსაზრებების წარმოსადგენად. სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს, გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან სქმე უკან დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად: ა) თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; ბ) თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; გ) თუ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; დ) თუ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია საჯაროობის წესები; ე) თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; ე¹) თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია

⁶⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 381-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი (სსსკ-ის მუხ. 385-394).⁶⁸

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება სსსკ-ის XXVI თავის დებულებები დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ პროცესში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე და გაგზავნილი აქვს შეტყობინება. ადმინისტრაციულ პროცესში დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს საქმეში არსებული მასალების საფუძველზე სსსკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების⁶⁹ საფუძველზე. ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია ადმინისტრაციული დავების განმხილველი სასამართლოს ინკვიზიციურობისა. საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსში მითითებული უნდა იყოს ის პირი, რმელმაც შეიტანა სააპელაციო საჩივარი, ასევე საჩივარში დაყენებული მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი, ასევე მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი საფუძველები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ასევე ასახული უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნა, ასევე მითითებული უნდა იყოს ხარჯების განაწილების თაობაზე, ასევე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

14. საკასაციო სამართალწარმოების განსხვავება 1 ინსტანციის სასამართლოში არსებული სამართალწარმოებისაგან

საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. საინტერესოა ის განსხვავებები რაც არსებობს ამ ორ ინსტანციის სასამართლოებს შორის.

საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის გადასინჯვის დროს, განიხილავს, როგორც ფაქტის

⁶⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 385-394-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁶⁹ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-4 და მე-19 მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

საკითხებს, ისე სამართლის საკითხებსაც⁷⁰, რაც იმას გულისხმობს, რომ მას აქვს უფლებამოსილება შეამოწმოს საქმის, როგორც იურიდიული მხარე, ისე ფაქტობრივი გარემოებები.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება ჩერდება გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს. სუსპენზიური ეფექტი მოქმედებს როგორც დავების პირველი ინსტანციით განხილვის დროს ასევე საკასაციო საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

პირველი ინსტანციის სასამართლო შეზღუდულია სარჩელით, მისი უფლებამოსილება საქმის განხილვის დროს შემოფარგლულია საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით. ახალი მოთხოვნები, რომლებიც არ ყოფილა პირველი ინსტანციის, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საგანი, არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს საკასაციო წარმოებაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ხდება ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა, საკასაციო სასამართლოში ეს პრიციპულად დაუშვებელია, რადგან იგი გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერებას ამოწმებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაუშვებელია დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის წარდგენა. ეს დაუშვებელია ასევე საკასაციო სასამართლოშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება პირველი ინსტანციის სასამართლოსა და საკასაციო სასამართლოს შორის მდგომარეობს, იმაში, რომ საკასაციო საჩივრს დასაშვებობის განსაკუთრებული პირობები, შეზღუდვები გააჩნია, ხოლო, მეორეს მხრივ, საკასაციო სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებულ უფლებამოსილებაში, შემოიფარგლოს მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი გადახედვითა და გადასინჯვადი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით და ფაქტობრივი გარემოებების ხელახალი დადგენის დაუშვებლობით. ეს ნიშნავს ახალი, ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ დაუდგენელი ფაქტობრივი გარემოებების ზოგადად გათვალისწინების შეუძლებლობას. იმავდროულად, მხოლოდ პირობითია საკასაციო სასამართლოს ბოჭვა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით და ბოჭვა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა საპროცესო დარღვევების დასაშვები და დასაბუთებული გარემოებები.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით შეუბოჭველობა უფლებამოსილს არ ხდის საკასაციო სასამართლოს, თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლო მხოლოდ და მხოლოდ უფლებამოსილია,

⁷⁰ იხ. *შ. ქურდაძე*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2006, გვ. 9- 10.

გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივარი წარმოადგენს გასაჩივრების უკანასკნელ შესაძლებლობას.⁷¹

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და საკასაციო სასამართლოს მიზნები. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიზანს წარმოადგენს მხარეთა უფლებების დაცვა, კონკრეტული განსახილველი საქმის როგორც ფაქტობრივი ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების გზით.

საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს - გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების საფუძველზე უზრუნველყოს მხარეთა უფლებების დაცვა, კანონის ნორმების, მათი შინაარსის ერთგვაროვნად გაგება, და განმარტება მართლმსაჯულების უსაფრთხოება და ერთიანობა.

1.5. ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტი და მისი თავისებურებანი

მართალია, კასაცია ტერმინოლოგიურად გასაჩივრების უკანასკნელი საშუალებაა, თუმცა, მას ავტომატურად როდი მივყავართ მესამე სასამართლო ინსტანციაში.⁷²

ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მეტად მნიშვნელოვანი ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტი. როდესაც მხრებს სურთ, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ სააპელაციო ინსტანციის გვერდის ავლით, პროცესის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე და სამართალწარმოების დაჩქარების მიზნით, მათ შეუძლიათ აირჩიონ ნახტომისებური კასაცია.

საქმეებზე რომლრბშიც ფაქტობრივი გარემოებები დავას არ იწვევს და გასარკვევია მხოლოდ სამართლებრივი ხასიათის საკითხები, აპელაცია შეიძლება შემაყოფნებელ შუალედურ რგოლად იქცეს, რომელიც მხოლოდ გაუმართლებლად აჭიანურებს უმაღლესი სასამართლო ორგანოს მიერ მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევებში პირველი ინსტანციის წესით გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელზეც დასაშვებიაა აპელაცია, შეიძლება სააპელაციო ინსტანციის გვერდის ავლით დაექვემდებაროს პირდაპირ საკასაციო ინსტანციას, რისთვისაც აუცილებელი წინაპირობებია მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა

⁷¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGO, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 23.

⁷² იქვე, გვ. 15.

და სკასაციო სასამართლოს მიერ ნახტომისებური კასაციის დასაშვებად ცნობა.⁷³

საკასაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების განხილვის მიზანს წარმოადგენს პროცესის დაჩქარება, თუ უდავოა განსახილველი საქმის გარემოებები და არ საჭიროებს შემდგომ ახსნა-განმარტებას, ასევე, თუ გადაწყვეტილება დამოკიდებულია მხოლოდ სამართლებრივი საკითხების შეფასებაზე.⁷⁴

იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სამსაფეხურიანი სასამართლო სისტემა (პირველი ინსტანცია, აპელაცია, კასაცია), საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები. მაგალითად, ავსტრიის კანონმდებლობით საკასაციო წესით შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები თუ ეს გადაწყვეტილებები საჭიროებენ ასეთ გადასინჯვას მატერიალურ-სამართლებრივი ან საპროსეო-სამართლებრივი თვალსაზრისით.⁷⁵ კანონმდებლობა გამონაკლისს არ ითვალისწინებს. ასევე საფრანგეთის კანონმდებლობით საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ წინა ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება.

შუამდგომლობა ნახტომისებური კასაციის დაშვების შესახებ და მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა განიხილება როგორც უარი აპელაციის წესით გასაჩივრებაზე. წერილობითი ფორმით გაცხადებული თანხმობის უკან გაწვევა არ დაიშვება.⁷⁶

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საკასაციო საჩივრით.⁷⁷

შუამდგომლობა წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შეტანილი საკასაციო სასამართლოში. შუამდგომლობის ავტორმა უნდა დაასაბუთოს ნახტომისებური კასაციის დასაშვებობის არსებობა. ნახტომისებური კასაცია დაიშვება თუ საქმეს არსებითი, ნიშნელობა აქვს ან სამართლის განვითარება ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფა საჭიროებს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას. ნახტომისებური კასაცია არ შეიძლება დაემყაროს საპროცესო ნორმების

⁷³ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2007, №2, გვ. 184.

⁷⁴ Zivilprozessordnung, Kommentar von *Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege*, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2002, S. 925-926.

⁷⁵ იხ. *გ. ხრუსტალი*, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 40-41.

⁷⁶ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2007, №2, გვ. 184.

⁷⁷ იხ. *Couchez G.*, procédure civile, Dalloz, 9^e édition 1996. S 352.

დარღვევას. თუ მხარე საკუთარ მოთხოვნას ამყარებს საპროცესო ნორმის დარღვევაზე, მაშინ მან ჯერ უნდა მიმართოს სააპელაციო სასამართლოს.⁷⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ორდინარული – (ჩვეულებრივი)⁷⁹ კასაციისგან განსხვავებით, ნახტომისებური კასაციის დაშვების საკითხს წყვეტს თავად საკასაციო სასამართლო.

ნახტომისებური კასაციის დაშვების შესახებ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, ხოლო თუ დაკმაყოფილდა, მაშინ სამართალწარმოება გაგრძელდება, როგორც საკასაციო წარმოება, იმ განსხვავებით, რომ გადაწყვეტილების გაუქმების შემხვევაში საქმე განსახილველად უბრუნდება პირველი ინსტანციის სასამართლოს. თუ შემდგომში გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია, თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდოს საკასაციო სასამართლოს ის სამართლებრივი შეფასებები, რაც გახდა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.⁸⁰

განსხვავებით გერმანული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისაგან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტს. საკასაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ხოლო რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მათი გასაჩივრება უნდა მოხდეს სააპელაციო წესით. მეორე საფეხურის ანუ სააპელაციო სასამართლოსათვის გვერდის ავლა და ნახტომისებური კასაციის გამოყენება დაუშვებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის განჩინებაში უთითებს, რომ საკასაციო სასამართლო განიხილავს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების საკითხს. საკასაციო სასამართლო არ განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს.⁸¹

საკასაციო სასამართლო შემოიფარგლება დავის კონკრეტული საგნის სამართლებრივი შეფასებით, რაც გამორიცხავს გადაწყვეტილების

⁷⁸ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2007, №2, გვ. 184.

⁷⁹ იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=20743>.> ბოლოს გამოსმობილია, 25.03.2016

⁸⁰ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2007, №2, გვ. 184.

⁸¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.01. 2003 წლის განჩინება, საქმე №3/1295-02.

მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რაც, თავისთავად, მოასწავებს კასაციის ცნების ნიშანს.⁸²

1.6. კასაციის მიზანი და ფარგლები

კითხვა, თუ რა არის კასაციის არსი და მიზანი, დარგობრივ ლიტერატურაში განიხილება, როგორც სავალდებულო, ხოლო, ნაწილობრივ, როგორც გარდაუვალი. განსაკუთრებული დავა მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, უნდა ემსახურებოდეს თუ არა კასაცია მხოლოდ და მხოლოდ ან უპირატესად ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების საყოველთაო ინტერესებსა თუ კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ, სწორი გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალურ ინტერესს. ეს კანონმდებლისათვის ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხი შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანია (თუმცა, არა უმნიშვნელო) სამართალგამომყენებლისათვის.⁸³

საკასაციო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა ყოველთვის შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო მოქმედების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ კასაცია, ამ სიტყვის წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, არის გადამოწმება, გადახედვა, ანუ, გადახედვის საგანზე მისაღები გადაწყვეტილება, აქ საუბარია პროცესის მონაწილე მხარის მიერ გასაჩივრების უკანასკნელ საშუალებაზე, რომლის შეტანის შესაძლებლობასაც მესამე (გარე) პირი მოკლებულია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს გააჩნია გადაწყვეტილების გადასინჯვის სამართლებრივი, ეკონომიკური (ფინანსური) თუ რაიმე სხვა სახის ინტერესი. თავად პროცესის მონაწილე მხარე, რომლის მიმართაც არ გასაჩივრებულა წინა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება, ეკრძალება საკასაციო სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მიღება.⁸⁴

გასაჩივრების სხვა შესაძლებლობა მაგალიათად საკონსტიტუციო საჩივარი, რომელიც შესაძლებელს ხდის საკასაციო გადაწყვეტილების კონსტიტუციასთან შესაბამისობის კუთხით გადახედვას, არის არა გასაჩივრების სახე, არამედ კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი, რომელიც მინიჭებული აქვს მაგალითად გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დემოკრატიული ორგანოს მიმართ.⁸⁵

საკასაციო საჩივარი შეზღუდულია როგორც დასაშვებობის, ისე გადახედვის მოცულობისა და ფარგლების მიხედვით. ეს ბოჭვა და გასაჩივრების სხვა შესაძლებლობების მიმართ მისგან გამომდინარე განსხვავება არის

⁸² იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.15.

⁸³ იქვე, გვ. 16.

⁸⁴ იქვე, გვ. 16.

⁸⁵ იქვე, გვ. 16.

სინამდვილეში საკასაციო საჩივრის ძირითადი არსი და მიზანი. ნებისმიერი სასამართლო სამართალწარმოების მიზანია კონკრეტულ დავის საგანზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შეესაბამება მოქმედ სამართალსა და რომელმაც საბოლოოდ უნდა დაასრულოს და ამოწუროს პროცესის მონაწილეთა შორის არსებული დავა. ამას განეკუთვნება გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოძიება და დადგენა, ასევე მხედველობაში მისაღები სამართლებრივი დებულებების შერჩევა და შინაარსობრივი განსაზღვრა (განმარტება), ასევე საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დასადგომი სამართლებრივი შედეგების დადგენა (სუბსუმცია - კვალიფიკაცია).⁸⁶

გადაწყვეტილების მისაღებად ფრიად მნიშვნელოვანია ყველა ეს ცალკეული ასპექტი. იმავდროულად, კანონმდებლობა შემოიფარგლება საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი გადახედვით, მაშასადამე, მოქმედი სამართლი ნორმების მართებული გამოყენებით. აქედან თვალნათლივ გამომდინარეობს, რომ საუბარია კონკრეტულ შემთხვევაში მისაღებ სამართლიან გადაწყვეტილებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს უნდა მიენიჭოს გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შეუზღუდავად გადასინჯვისა და გამოძიების უფლებამოსილება. ასეთ შემთხვევაში საკასაციო გადახედვა დაემსგავსებოდა სააპელაციო განხილვას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერების შემოწმება გულისხმობს მატერიალურსამართლებრივი და პროცესუალურსამართლებრივი ნორმების დარღვევის შემოწმებას. მაგრამ საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას გააჩნია თავისი ფარგლები, რომელსაც მოსამართლე ვერ გასცდება, კერძოდ, სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის⁸⁷ თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტში⁸⁸ მითითებული ფაქტებისა, რომლებიც მიუთითებენ პროცესუალურ დარღვევაზე.⁸⁹

⁸⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.16-17.

⁸⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 404-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁸⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁸⁹ იხ. **თ. თოდრია.**, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 25-26.

ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქართული მოდელის საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. შეიძლება საკმაოდ ბევრი ითქვას იმის შესახებ თუ რით არის განპირობებული კასაციის ასეთი მოდელის არსებობა, მაგრამ ვფიქრობთ რომ მის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც დგას საკასაციო სასამართლოს წინაშე.

საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე საკითხის დაყენება სამართალწარმოების მხარის უფლებაა, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული მსჯელობა უზენაესი სასამართლოს პრეროგატივაა.⁹⁰ საკასაციო წარმოების მთავარი ამოცანა (მიზანი) არის არა საქმის არსებითად გადაწყვეტა (განხილვა) არამედ ქვემდგომი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება.⁹¹

შემოწმების სამართლებრივი ფუნქცია არის საკასაციო სასამართლოს ამოცანებისა და მიზნების განმსაზღვრელი ერთ - ერთი ელემენტი.⁹²

კასაცია ძირითადად მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვას ემსახურება, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს, როგორც სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას ისე შეზღუდული მოცულობით მართლმსაჯულების ცალკეული საკითხების განვითარებას.⁹³

აღსანიშნავია, რომ ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით საკასაციო საჩივარი მიზნად ისახავს საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმებას, აქედან გამომდინარე იგი განიხილავს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივ მხარეს. იგი არ ამოწმებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და არ შეუძლია მოკვლევითი საქმიანობის განხორციელება. იგი არც ახალ მტკიცებულებებს განიხილავს და არც ხელმეორედ ამოწმებს მტკიცებულებებს, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში იყო წარდგენილი.⁹⁴

გარკვეული სამართლებრივი დებულებების სამართალგამოყენებითა და არაგადასინჯვადობით შემოფარგვლა და საკასაციო სასამართლოს ძალიან

⁹⁰ იხ. *თ. მამაია შვილი*, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2008, №1, გვ. 104.

⁹¹ იხ. *შ. ქურდაძე*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, თბ., 2006, გვ. 94.

⁹² იხ. *თ. მამაია შვილი*, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2008, №1, გვ. 105.

⁹³ იხ. Zivilprozessordnung, Kommentar von *Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege*, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2002, S. 895-896.

⁹⁴ იხ. *Ginchard S., Raynaud P.*, Nouveau Code de Procedure civile, Dalloz, edition 2002, S. 334-339.

მკაცრი დასაშვებობის წინაპირობები თვალნათლივ ცხადყოფს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მისაღები სამართლიანი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საკასაციო გადახედვის ერთადერთ მიზანს. ერთიანი სასამართლო პრაქტიკის (სამართლებრივი უსაფრთხოება) და სამართლის განვითარების საჯარო ინტერესი თანაგანაპირობებს კასაციის მიზანს. იმავედროულად, ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ხშირად არ არის გამორიცხული საკასაციო წესით გადასინჯვისას, რისი გათვალისწინებაც ხშირად არასაკმარისად ხდება. ფაქტობრივი გარემოებების გადახედვა აუცილებელია ასევე მათი მოქმედ სამართალთან შესაბამისობის კუთხით. თუმცა ეს საჭიროებს განსაკუთრებულ პროტესტს, რომლის დასაბუთებულობაც ათავისუფლებს საკასაციო სასამართლოს ბოჭვისაგან.⁹⁵

ვფიქრობთ, რომ კასაციის ძირითად არსზე ზეგავლენას ახდენს არა საკასაციო სასამართლოს პირობითი ბოჭვა ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, არამედ აკრძალვა, თავადვე გამოიკვლიოს და დაადგინოს გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რაც, დასაბუთებული პროტესტის შემთხვევაში, ზოგადად იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად ქვემდგომ, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დამდგენ სასამართლო ინსტანციაში გადაგზავნას.

საკასაციო სასამართლოს წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ის რომ შეამოწმოს საქმის იურიდიული მხარე, ის თუ რამდენად სწორადაა შეფარდებული სამართლის ნორმა, რამდენად სწორადაა გაგებული, იმ ნორმის (კანონის) აზრი და შინაარსი, რომელიც გამოიყენა სასამართლომ, კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს.⁹⁶ აღნიშნული წარმოადგენს კასაციის თავისებურების არსს, სამართლებრივი საშუალებების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს კასაციის თავისებურებებს წარმოადგენს სამართლებრივი მოწესრიგების მექანიზმს.⁹⁷

ფრანგული კანონმდებლობით საკასაციო სასამართლო არ განიხილავს ხელშეორედ საქმეს, რომლის მიმართაც შემოტანილი იყო საკასაციო საჩივარი. მას შეიძლება განსახილველად წარედგინოს მხოლოდ სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ამ საქმესთან დაკავშირებითაა წამოყენებული. დაუშვებელია საკასაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების წარდგენა.⁹⁸

⁹⁵ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 17.

⁹⁶ იხ. **თ. ლილუაშვილი.**, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ნაწილი 1. თბ., 2002, გვ. 165.

⁹⁷ იხ. **C.C. Alexeev.**, Общая теория права, Т. 2, М. 1982г. С. 9.

⁹⁸ იხ. **Couchez G.**, Procedure civile, Dalloz, 9^e edition 1996, S. 387-389.

ავსტრიის კანონმდებლობით საკასაციო სამართალწარმოების მიზანს წარმოადგენს ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, სამართლის როგორც მატერიალური ისე საპროცესო ნორმების შინაარსის ერთგვაროვნად გაგება, სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლის განვითარება. არ უნდა მოხდეს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან უზენაესი სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის გვერდის ავლა, მაშინ, როდესაც ასეთი ერთიანი მართლმსაჯულება ჯერ კიდევ არ არსებობს, ან თუმცა არსებობს, მაგრამ არა ერთიანი მართლმსაჯულების სახით.⁹⁹

სააპელაციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებადი საკასაციო წესით, რადგან კანონმდებლობა გარკვეულ წინაპირობებზე დამოკიდებულს ხდის საკასაციო საჩივრის დასაშვებობას. მიზანი არის საკასაციო სასამართლოების განტიერთვა სრულიად უსაგნო, უმნიშვნელო სამართლებრივი დავების განხილვისაგან და მათი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. კანონმდებლის მიერ დასაშვებობის ამ წინაპირობების შერჩევა (თუმცა, მხოლოდ აქ) მნიშვნელოვანია კასაციის მიზნის უპირატესობის საკითხის გადასაწყვეტად (საყოველთაო და ინდივიდუალური ინტერესი). ამდენად, სულ უფრო მეტად დაიძვედრა თავი დასაშვებობის პრინციპმა (საკასაციო საჩივრის ქონებრივ-სამართლებრივ ღირებულებაზე დამოკიდებულების გვერდით), განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დივერგენტულობას. ამ მიდგომით, საკასაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მაღალი ფინანსური ინტერესისა და სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი დავა. ხელმისაწვდომობის შეზღუდვები კი, განსაკუთრებით, განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დივერგენტულობის გამო დასაშვებობის აუცილებლობა, მართალია, ანგარიშს უწევს საჯარო ინტერესებს, თავიდან აარიდებს რა საკასაციო სასამართლოს არაგადასინჯვად საქმეებსა და უნარჩუნებს რა მას მაღალ ფუნქციონალურ უნარიანობას. ამდენად, მართებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური ინტერესი არ გადადის უკანა პლანზე, არამედ რჩება საკასაციო სამართალწარმოებაში კასაციის მიზნად.¹⁰⁰

უნდა აღინიშნოს რომ საკასაციო სასამართლოს შექმნის მიზანი არის ის რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება, კანონების ერთგვაროვანი გაგება. კასაციის ძირითადი მიზანი არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა მხარეთა უფლებების დაცვა საქართველოს

⁹⁹ იხ. Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von *Dr. Rudolf Stohanzl.*, 15; Auflage. Wien 2002.S.399-416.

¹⁰⁰ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 17-18.

კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო შეცდომების გამოსწორება, რომლებიც შეიძლება დაუშვან მათ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას.¹⁰¹

იმ შემთხვევაში როდესაც ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას კასაციაზე, იმავდროულად, ეს არ არის კასაციის არც ერთადერთი და არც უპირატესი მიზანი. კანონმდებელი უფრო მარტივად მიადწევდა ამ მიზანს, თუ იგი, კონკრეტული საქმის ფარგლებში გასარკვევი სამართლებრივი საკითხების მიღმა, შესაძლებელს გახდიდა კონკრეტულად გასარკვევ და დასადგენ სამართლებრივ საკითხებზე მხოლოდ პასუხების გაცემას. სამართლებრივი ერთგვაროვნებისა და სამართლის განვითარების გარდა, კასაციამ, მისი შეზღუდვების მიუხედავად, უნდა უზრუნველყოს კონკრეტული საქმის სამართლიანად გადაწყვეტა. ამაზე, უწინარეს ყოვლისა, მეტყველებს ის, რომ ქვემოთ მოხსენიებული სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილება გადახედვადია არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. კანონმდებელმა მიანიჭა პროცესის მონაწილე მხარეებს გასაჩივრების უკანასკნელი (თუმცა, შეზღუდული), ინდივიდუალური უფლებების დაცვის უფლებამოსილება, არ აქცია რა ისინი სამართლებრივი ერთგვაროვნების დამცველებად.¹⁰²

ამდენად, მისი მიზანი დიდად არც განსხვავდება სხვათა მიზნებისაგან, უზრუნველყოს სამართლებრივ დავაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება და ხელი შეუწყოს პროცესის მონაწილე მხარეთა შორის არსებული დავის საბოლოოდ დასრულებას.

ჩვენი აზრით დასაშვებობის წინაპირობების არსებულმა შეზღუდვებმა, ერთის მხრივ, უნდა უზრუნველყოს საკასაციო სასამართლოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების თავიდან აცილება, ხოლო, მეორეს მხრივ, შეზღუდონ გადასახედი გადაწყვეტილების მოცულობა. კანონმდებელი შეეცადა ამ მიზნის მიღწევას, სამოქალაქო სამაპროცესო სამართალში უწინარეს ყოვლისა, დავის საგნის ღირებულების შეზღუდვით, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსხვავებით სამოქალაქო პროცესისაგან საკასაციო საჩივარი დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება სსსკ-ის 365-ე მუხლისა და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილის¹⁰³ მოთხოვნები. (სასკ-ის მუხლი 34¹⁰⁴). კასაციის

¹⁰¹ იხ. *გ. ბრუსტლი*, კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები, კრებულში: *თ. ლილუაშვილი*, 75 წლის საიუბილეო კრებული თბ., 2003, გვ. 188.

¹⁰² იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.18.

¹⁰³ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 365-ე და 391-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

დასაშვებობასა და გადახედვის მოცულობას შორის გასხვავება ყოველთვის არ არის საკმარისად გათვალისწინებული კასაციის მიზნის საკითხზე მსჯელობისას.

მიგვაჩნია, რომ ტენდენცია აშკარად მიდის სასამართლოს განტვირთვის მიზნით სულ დასაშვებობის უფრო ვიწრო წინაპირობების დაწესებისა და საკასაციო სასამართლოს ფუნქციონალური უნარიანობის შენარჩუნებისაკენ, სამართლებრივი ერთგვაროვნებისა და სამართლის განვითარების საყოველთაო ინტერესის წინა პლანზე წამოწევისაკენ.

კანონმდებელი, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების ფარგლებში, უპირატესობას ანიჭებს სამართლებრივი ერთგვაროვნების საჯარო ინტერესის დაცვასა და ცალსახად აყენებს მას კონკრეტული საქმის სამართლიანად გადაწყვეტის ინდივიდუალურ ინტერესზე წინ. ამისდა მიუხედავად, საკაციო საჩივარი რჩება პროცესის ცალკეული მონაწილე მხარეებისათვის ინდივიდუალური უფლებების დაცვისა და განხორციელების საშუალებად. საჯარო ინტერესების დასაცავად აღმოცენებული დასაშვებობის წინაპირობის დაძლევის შემდეგ, საკასაციო სასამართლომ უნდა მიიღოს კონკრეტულ საქმეზე სამართლებრივად მართებული გადაწყვეტილება, რომელსაც არ ექნება არანაირი პირდაპირი და უშუალო სამართლებრივი ზემოქმედება სხვა, პროცესში არამონაწილე პირებსა თუ დავის სხვა საგნებზე, ამ სხვა საქმეზე მსგავსი დავის საგნისა და სამართლებრივი საკითხების არსებობის შემთხვევაშიც კი. იმავედროულად ცხადია, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ ამოხსნილი სამართლებრივი საკითხები, როგორც წონადი, უმაღლესი სასამართლო ინსტანციისა, ზეგავლენას ახდენს ქვემდგომი სასამართლო ინსტანციების სამართალგამოყენებასა და მოსახლეობის სამართლებრივ ქცევაზე.¹⁰⁵

საკასაციო სასამართლომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი სამართალდარღვევა და თავადვე გამოიყენოს ყოველი სამართლებრივი ნორმა, რომელსაც ესა თუ ის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს, როგორც არაგადახედვად დებულებას. კასატორის ვალდებულებაა კონკრეტულ კანონდარღვევაზე მითითება, რომელიც იმავედროულად არ გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს მიერ ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების კასატორის მიერ მიუთითებელი კანონდარღვევის მიუხედავად გაუქმებას. სხვა წესი ვრცელდება მხოლოდ საპროცესო საკითხებსა და, განსაკუთრებით, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცედურაზე, რომლებიც საკასაციო ინსტანციაში მართლაც გადასინჯვადია მხოლოდ კანონდარღვევების საპროცესო პროტესტის (მითითება) ფარგლებში. თუმცა აქაც არსებობს

¹⁰⁴ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹⁰⁵ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.19.

საგამონაკლისო შემთხვევები განსაკუთრებულად მძიმე საპროცესო ხარვეზებზე, რომლებიც გასათვალისწინებელია საკუთარი ინიციატივითაც.¹⁰⁶

გერმანული კანონმდებლობით, კანონმდებლობა გადახედვადი სამართლებრივი ნორმების დარღვევას აყენებს წინა პლანზე ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების გადასინჯვის წინაპირობად, სინამდვილეში საქმე ნაკლებად ეხება კანონდარღვევის გამოვლენას, რამდენადაც მეტწილად საკასაციო საგანზე სწორი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, გადასინჯვადი სამართლებრივი ნორმების გამოყენების შეზღუდვით. აქედან განსაკუთრებით გამომდინარეობს ის, რომ კასაცია შეიძლება დასაბუთებული იყოს კანონდარღვევის გარეშეც, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ძალაში შევიდა ამ კონკრეტულ საქმეში გამოსაყენებელი სამართლებრივი ნორმა, რომელსაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო ვერც გამოიყენებდა და ვერც დაარღვევდა.¹⁰⁷

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული კანონმდებლობით კანონდარღვევის არსებობა არ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობასა და არ იწვევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა არამიზეზშედგობრივია ან კიდევ გაუქმებულია სხვა რომელიმე კანონდარღვევითა და იმგვარად კომპენსირებადია, რომ გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში, მართებულია. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი ერთგვაროვნების დაცვას მიიჩნევს საკასაციო სასამართლოს უპირველეს ამოცანად. სხვა გადაწყვეტილებებში კი სასამართლომ ერთგვარად შეარბილა ეს გამონათქვამი და წამოაყენა, ერთის მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სამართლის განვითარების არგუმენტები, ხოლო, მეორეს მხრივ, მხარის დაინტერესება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.¹⁰⁸

მხარის ინტერესების დაცვის არგუმენტები არის ასევე საკასაციო საჩივრის, როგორც გასაჩივრების ნამდვილი საშუალების ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მხარის შუამდგომლობითა და ხარჯებით, ასევე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება არა ზოგად სამართლებრივ, აბსტრაქტულ საკითხზე, არამედ კონკრეტულ სამართლებრივ დავაზე, ასევე *reformatio in peius*-ის (უარესით შეცვლა) აკრძალვა და მხოლოდ პროცესის მონაწილეთა შორის მოქმედი კანონიერი ძალა. ე.ი. გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნება, გადაწყვეტილების

¹⁰⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.20.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 20.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 20-21.

შეცვლა კასატორის საწინაარმდგოდ, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალა მხოლოდ პროცესის მონაწილეებზე ვრცელდება.

ერთიანი სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის განვითარების საყოველთაო ინტერესის სასარგებლოდ კი მეტყველებს კასაციის ფუნქციონალური კომპეტენცია, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ელემენტების გადახედვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება გადასინჯვადი უფლების შეზღუდვა, საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შემოფარგვლა, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ბოჭვა და საკასაციო სასამართლოს ვალდებულება, არსებითად განიხილოს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ყველა საკასაციო საჩივარი.¹⁰⁹

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასაცია არის „საკანონმდებლო მიზანშეწონილობის წარმოდგენის შესაბამისად ჩამოყალიბებული საპროცესო წარმონაქმნი. მისი ფუნქციონალური განსაზღვრისას კი უნდა გამოვმდინარეობდეთ მოქმედი სამართლიდან“. ამ საკანონმდებლო კონსტელაციით, კასაცია არის „გასაჩივრების საშუალება, რომელიც უნდა ემსახუროდეს საყოველთაო ინტერესსაც და მხარის ინტერესებსაც“.¹¹⁰ მართალია, შეზღუდულია საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის გადასინჯვის უფლებამოსილება, თუმცა, როგორც კი ჩნდება, მისი მიზანია გადასაწყვეტი შემთხვევის სამართლებრივად მართებული გადაწყვეტილების მიღება. ეს მიზანი პირდაპირ და უშუალოდ გამომდინარეობს თავად კანონისმიერი რეგულაციებიდან, კერძოდ, კასაციის ზემოთ აღწერილი ფორმიდან, როგორც მხარის საჩივრიდან საქმეზე მართებული გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო სასამართლოს ხელმისაწვდომობის კუთხით, ძირითადად, მიზნები არ გამორიცხავს ერთმანეთს; პირიქით, ისინი ხელს უწყობენ და განავრცობენ ერთმანეთს; ცალკეული შემთხვევის გადაწყვეტის გადმოსახედიდან, მიზანია ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება და სამართლის განვითარება და ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიმართ მაკონტროლებელი ფუნქციის არსებობა. ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა კი არის კანონისმიერი რეგულაციით ცალკეული საქმის სამართლიანი და მართებული გადაწყვეტა“.¹¹¹ გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო

¹⁰⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 21.

¹¹⁰ შეად. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1978 წლის 09 სექტემბრის განჩინება 2, 831/76. BVerfGE, Beshchl. V. 9.9. 1978 – 2 BvR 831/76 – BverfGE 49, 148 ff.

¹¹¹ შეად. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 11 ივნისის განჩინება 1/79, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 54, 277, 289. BVerfGE, Beschl. des Plenums v. 11.6.1980 – IPBvU 1/79 – BverfGE 54, 277, 289.

სასამართლომ, განმარტა, რომ კასაცია, მის სხვა მიზნებთან შედარებით, ემსახურება ცალკეული საქმის გადაწყვეტის დაცვის ინტერესს.¹¹² ხაზგასმულია საკასაციო სასამართლოს ორგვარი ამოცანა: ერთის მხრივ მართლმსაჯულების ერთიანი სისტემის დაცვა და სამართლის განვითარებაზე საჯარო ინტერესი და მეორეს მხრივ, ცალკეულ სამართლიან გადაწყვეტილებებზე მხარეთა ინტერესების დაცვა.

ამოცანები და მიზნები განუყოფელია და შეიძლება ითქვას, რომ ყველა კონკრეტული ამოცანა გარკვეულწილად თვითონ წარმოადგენს მიზანს.¹¹³

საკასაციო სასამართლოს თავის მხრივ ევალება, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და დასაშვებობის ყველა წინაპირობა განიხილოს საკასაციო საჩივარი არსებითად და მიიღოს მის მიმართ შესაბამისი გადაწყვეტილება, კერძოდ იმის მიუხედავად თუ როგორი იქნება განხილვის შედეგები, დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას კასატორს საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე, მეორეს მხრივ გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა და თვით საკასაციო სასამართლოს არსებობა, წარმოადგენს რეალურ სამართლებრივ საშუალებას კიდევ ერთხელ შემოწმდეს გადაწყვეტილების სისწორე, მისი სამართლებრივი დასაბუთებულობის თავლსაზრისით, რაც იძლევა იმის იმედს, რომ შეცდომა თუ სამართლებრივ დასაბუთებაში მართლაც დაშვებულია – გასწორდეს ეს შეცდომა, გასწორდეს გადაწყვეტილება. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად გამოიკვეთა კასაციის ერთი მიზანი: მხარეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, რომელსაც სხვანაირად ინდივიდუალური ინტერესების დაცვას უწოდებენ.¹¹⁴

ჩვენი აზრით, დასაშვებობის წინაპირობების განსხვავებები და არაგადასინჯვადი სამართლებრივი ნორმები არის მხოლოდ ხარისხობრივი და არა ზოგადი ხასიათისა; ამდენად, ისინი არ ეხება კასაციის მიზანს. ეს ნამდვილად ვრცელდება, მაგალითად, იმ სხვაობაზე, რომელიც ახასიათებს შეჯიბრებითობის პრინციპს სამოქალაქო სამართალწარმოებაში და ინკვიზიციურობის პრინციპს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელიც საკასაციო ინსტანციაში გამოიხატება მხოლოდ იმ საკითხში, წარმოადგენს თუ არა საპროცესო ხარვეზს მტკიცებულებათა მოუპოვებლობა.

გადაწყვეტილების მიღების ინტერესი და ერთიანი სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის განვითარების ინტერესი, კანონმდებლის მიერ დასაშვებობის

¹¹² იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 21-22.

¹¹³ იხ. **М. А. Алискеров.**, Кассационное производство по гражданским делам: вопросы теории и практики. Изд. „норма“, 2005г. С. 42.

¹¹⁴ იხ. **თ. ლილუაშვილი.**, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005, გვ. 494.

წინაპირობების კუთხით, და ასევე საკასაციო სასამართლოს მოსამართლის წინაშე, რომელიც კანონის ძალით ვალდებულია დაიცვას, დააკმაყოფილოს და შესაბამისობაში მოიყვანოს ორივე ინტერესი ისე, როგორც ამას განსზღვრავს კონკრეტული საპროცესო კანონმდებლობა.

კასაციის მიზანი არ შეიძლება იყოს სხვა, თუ არა მხარეთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო შეცდომების გასწორება, რომლებიც შეიძლება დაუშვან მათ ამ კანონმდებლობის გამოყენებისას.¹¹⁵ საკასაციო სასამართლოს ფუნქცია უნდა იყოს კანონების ერთგვაროვნად გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.¹¹⁶

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს და გაითვალისწინოს სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელი უფლებაცდვის მოთხოვნილება, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ დასაშვები კასაციის ფარგლებში.¹¹⁷

პროცესუალური საშუალებების სწორად გამოყენებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოს წინაშე განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ერთიანობაში აღებულ სმართლებრივ საშუალებთა სისტემის მეშვეობით მოწესრიგებულია ის პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშვება საკასაციო საჩივრის აღძვრით.¹¹⁸

ამასთან ერთად ეჭვს აღარ იწვევს რომ, საქართველოში კასაციის შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო კანონების ერთგვაროვნად გაგება და ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. ასეთი მიზანი დასახულია თითქმის ყველა ქვეყნის საკასაციო სასამართლოების წინაშე, რომელსაც სხვანაირად საჯარო ინტერესების დაცვას უწოდებენ.¹¹⁹ კასაციის საქმიანობაში როგორც ინდივიდუალური ისე საჯარო ინტერესების დაცვა ერთნაირად მნიშვნელოვანია.¹²⁰

¹¹⁵ იხ. *თ. ლილუაშვილი*, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიი“, 2003, გვ. 303.

¹¹⁶ იხ. *გ. ქირია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი, ჟურნალი „სამართალი“, 1997, № 9-10, გვ. 76-78.

¹¹⁷ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 131.

¹¹⁸ იხ. *თ. თოდრაძე*, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 28-29.

¹¹⁹ იხ. *თ. ლილუაშვილი*, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიი“, 2005, გვ. 494.

¹²⁰ იხ. *გ. ხრუსტალი*, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაციის ავტორეფერატი, 2004, გვ. 9-10.

1.7. საკასაციო სამართალწარმოების პრინციპები

სამართლის სისტემა მოიცავს, როგორც სამართლის პოზიტიურ ნორმებს, ისე სამართლის პრინციპებს. პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დასაწყისს, დასაბამს. ამ ტერმინს იყენებენ რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადი ამოსავალი დებულების, ასევე ქცევის ძირითადი წესის აღსანიშნავად.¹²¹ ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის სწორად გადაწყვეტა შეუძლებელია, მხოლოდ სამართლის კონკრეტული ნორმის საფუძველზე და საჭირო ხდება სამართლის პრინციპების მოშველიება.¹²²

პრინციპებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში კონკრეტული ადმინისტრაციული დავის გაინხილვისა და გადაწყვეტის დროს. უმეტესად გვხვდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც სამართლის თითქმის ყველა დარგისთვის საერთოა, მაგრამ არსებობს დარგობრივი პრინციპები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული დარგის სამართლებრივ შინაარსს განსაზღვრავს, სამართლის დარგის განმსაზღვრელ სახელმძღვანელო¹²³ იღებს წარმოადგენს.

მატერიალური ადმინისტრაციული სამართალი მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირებისათვის წარმოადგენს სამართლებრივ საშუალებას შეაფასოს მესამე პირთა ქმედებები, მაშინ როცა ადმინისტრაციული პროცესუალური ნორმები თავად მართლმსაჯულების განმახორციელებელთა ქმედებების განმსაზღვრელია.¹²⁴

იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესი ატარებს სამძებრო, ინკვიზიციურ ხასიათს, რაც დამახასიათებელია ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის, სასამართლოს შეუძლია თვითონ, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების მოპოვება.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვა და სხვა ავტორის მიერ არაერთგვაროვნად არის ჩამოყალიბებული და განხილული პრინციპები, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში განხილულია ისეთი პრინციპები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ და ზეგავლენას ახდენენ საკასაციო სამართალწარმოებისას ადმინისტრაციულ საქმის განხილვაზე.

¹²¹ იხ. *თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014, გვ. 74.

¹²² იხ. *გ. ხუბუა*, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 164.

¹²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, „პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრანტი მოსამართლეებისათვის“, თბილისი, 2010 წ., გვ. 18.

¹²⁴ იხ. *J. Schwarze*, European Administrative Law, Sweet and Maxwell, 1992. Page.1173.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში შემდეგი მიზნები მიიღწევა: **1.** მოქალაქეთა სუბიექტური საჯარო უფლებების დაცვა (ანუ ისეთი უფლებების, რომლებიც ცალკეულ პირს გააჩნია სახელმწიფოს მიმართ); **2.** (ობიექტური) კონტროლი ადმინისტრაციაზე (რომელიც ამავდროულად შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ინდივიდუალური სარჩელების შედეგი); **3.** სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნათა განხორციელება; **4.** კანონმდებლობის დახვეწა და მისი გამოყენება ტექნიკაში, ეკონომიკაში და ოფიციალურ სფეროში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, აგრეთვე; **5.** მაგალითად გერმანიაში სამართლებრივი სტაბილურობის მხარდაჭერა.¹²⁵

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილში¹²⁶ აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ეს ნორმა ეხება სამართალწარმოების პრინციპების გამოყენების საკითხსაც, თუმცა ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულია მხოლოდ დარგისთვის დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებზეც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

1.7.1. დისპოზიციურობის პრინციპი

ცნობილი დისპოზიციურობის პრინციპი ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია. ტერმინი დისპოზიციურობა ლათინურია - „dispositivus“ და ნიშნავს „განვკარგავ“.¹²⁷

აღნიშნული პრინციპი პროცესის მხარეებს ანიჭებს უფლებას თვითონ გადაწყვიტონ სასამართლოსადმი მიმართვის, დავის საგნის განსაზღვრისა და საქმის მორიგებით დასრულების საკითხები. ამ პრინციპის თანახმად ადმინისტრაციული საქმეთა განხილვა იწყება მოსარჩელის წერილობითი განცხადების საფუძველზე. სასამართლო განიხილავს და წყვეტს საქმეს მხოლოდ სარჩელში ჩამოყალიბებული მოთხოვნის ფარგლებში. სასამართლო არაა უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. ადმინისტრაციული პროცესის მსვლელობისას სასამართლოს უფლება აქვს მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის შევსებისა თუ დაზუსტების მიზნით მისცეს გარკვეული რეკომენდაციები მხარეებს. ამ ფორმით ხდება მხოლოდ სარჩელში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების

¹²⁵ იხ. *Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. А. Н. Козирина и М. А. Штатиной*. – М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: *ი. ხარშილაძე, ნ. გსიანიკოვა*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 467.

¹²⁶ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹²⁷ იხ. *შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2012, გვ. 86.

გამოსწორება და არა ზემოქმედება სარჩელის შინაარსზე.¹²⁸ შეუძლებელია სარჩელის წარდგენა სხვა პირის უფლებების დარღვევის თაობაზე.¹²⁹

სსსკ-ის 248-ე მუხლის¹³⁰ თანახმად სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი ვიდრე იგი მოითხოვდა. იურიდიულ ლიტერატურაში, დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებად აა მიჩნეული აგრეთვე მხარეთა უფლება, გაასაჩივრონ სასამართლოს ესა თუ ის აქტი. მხარეთა საპროცესო უფლებაა - გასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილებები ან შეურიგდნენ ამ გადაწყვეტილებას, ცნონ იგი, მოითხოვონ მისი აღსრულება ან უარი თქვან მის აღსრულებაზე.¹³¹ დაინტერესებულ პირზე დამოკიდებული გაასაჩივრებს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო და საკასაციო წესით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე პირველი ინსტანციის სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის (სარჩელის საგნის) ფარგლებით და ვერ გასცდება ამ ფარგლებს, ხოლო სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით, უფრო სწორად სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მოთხოვნის ფარგლებში შეუძლია შეამოწოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა.¹³²

ფრანგი ადმინისტრაციისტი გუი ბრებანი აღნიშნავს წერილობითი საქმისწარმოების პრინციპთან დაკავშირებით, რომელშიც იგულისხმება საქმის განხილვა მხოლოდ განცხადებასა თუ სარჩელში აღნიშნული გარემოებების გამო, მხოლოდ იმ დოკუმენტებითა და მოთხოვნების გარშემო, რომლებიც საქმეშია წერილობით წარმოდგენილი, აქედან გამომდინარე სასამართლოს ამ პრინციპის თანახმად, არ შეუძლია დამატებითი გამოძიება ჩაატაროს და გადაწყვიტოს მმართველობის საკითხები ან საქმის სხვა მხარეები, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ გამომდინარეობს.¹³³

¹²⁸ იხ. *მ. კობალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 21.

¹²⁹ იხ. *Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. А. Н. Козирина и М. А. Шатиной* . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: *ი. ხარშილაძე., ნ. ვსიანიკოვა.,* საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 468.

¹³⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 248-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹³¹ იხ. *თ. ლილუაშვილი., გ. ლილუაშვილი., გ. ხრუსტალი., ზ. ძლიერიშვილი* ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014, გვ. 85.

¹³² იხ. *გ. ხრუსტალი.,* კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაცია, თბ., 2004, გვ. 109.

¹³³ იხ. *Бребан, Г.,* Французское административное право, М. 1998 стр. 447-451

დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებს საკასაციო სამართალწარმოებაშიც სსსკ-ის 404-ე მუხლის¹³⁴ თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო საჩივრის ფარგლები გულისხმობს იმას თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება მთლიანად თუ ნაწილობრივ. საკასაციო საჩივარი მოთხოვნის ფარგლებში უნდა იყოს შემოწმებული. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებას აქ საკასაციო სასამართლო არაა შეზღუდული საკასაციო საჩივრის ფარგლებით და მას შეუძლია შეამოწმოს არა მარტო ამ საჩივარში მითითებული კანონის დარღვევები, არამედ აგრეთვე კანონის სხვა დარღვევებიც.¹³⁵

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს უფლება აქვთ გააუქმონ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ საჩივრის საფუძველზე და მასში დასმული მოთხოვნის ფარგლებში.

სსსკ-ის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, დისპოზიციურობის პრინციპის საფუძველზე მხარეები ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისა და მისი დასრულების უფლებით სარგებლობენ, კანონი აწესებს გარგვეულ შეზღუდვებს კონკრეტულ შემთხვევებში. ადმინისტრაციული პროცესი შესაძლებელია არ დასრულდეს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადმინისტრაციული დავის განხილვა და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა უპირველეს ყოვლისა საჯარო ინტერესებიდან გამომდინარეობს.¹³⁶

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს რამდენად შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან ადმინისტრაციული ორგანოს უარი, მისი მხრიდან სარჩელის ცნობა, ან მისი მონაწილეობით საქმის მორიგებით დასრულება.

თუ დადგინდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი სარჩელზე, სარჩელის ცნობა ან მისი მონაწილეობით საქმის მორიგებით დამთავრება

¹³⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 404-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹³⁵ იხ. *გ. ხრუსტალი.*, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაცია, თბ., 2004, გვ. 110.

¹³⁶ იხ. *მ. კობალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 21-22.

ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს და გამოიტანს გადაწყვეტილებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს განაცხადებს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, სასამართლო გამოიტანს მის მიმართ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სასკ-ის მე-4 და მე-19-ე მუხლების გათვალისწინებით.

ადმინისტრაციული პროცესის დაწყებაც და დამთავრებაც მხარეთა ნების გამოვლენაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართლის მიხედვით, ერთ ინსტანციაში დავის დასრულების შემდეგ მხარეები თავად წყვეტენ გასაჩივრებას და დავის გაგრძელება მათ ნებაზეა დამოკიდებული, გარდა იმ შემთხვევისა როცა საჯარო ინტერესების სასარგებლოდ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტი თავად არ წარმოადგენს საჩივარს¹³⁷.

1.7.2. შეჯიბრებითობისა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ; ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ბუნება

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის არსებითად ფაქტობრივი და სამართლებრივი თვასაზრისით განმხილველი სასამართლოების მიერ ოფიციალობის პრინციპის მეშვეობით საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში არის უპირობო აუცილებლობა, ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობაზე სრულფასოვანი სასამართლო კონტროლის განხორციელებისათვის, რის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს, როგორც ღირებულებითი სიკეთით სარგებლობა შესაძლებელია ვერ მიიღწეს.¹³⁸

შეჯიბრებითობის პრინციპი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპს წარმოადგენს. ამ პრინციპის საფუძველზე ადამიანის უფლებების დაცვა სასამართლოში გარანტირებულია. პროცესის მიმდინარეობისას მოქალაქე არა ობიექტის არამედ პროცესის სუბიექტის როლში გვევლინება, რომლსაც აქვს უაფლება საკუთარი აზრისა თუ მტკიცებულებების წარმოდგენის მეშვეობით ზემოქმედება მოახდინოს ადმინისტრაციული პროცესის წარმართვასა და მის განვითარებაზე.¹³⁹

¹³⁷ იხ. *M.P. Singh*, German administrative Law in Common Law perspective, Germany 2001. Page. 224.

¹³⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს-303-299(კ-14).

¹³⁹ იხ. *მ. კოპალავიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ, 2008, გვ. 22.

ამ პრინციპის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იაქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსსკ-ის მუხლი მე-4).¹⁴⁰

სწორედ ამ პრინციპის პარალელურად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს სასამართლოს აქტიურ როლს, რომელიც უფლებამოსილია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოსადგენად. ადმინისტრაციული პროცესი გამოირჩევა **ინკვიზიციური** ბუნებით, რადგან საჯარო ნორმების დაცვაზეა ორიენტირებული, რითაც იგი განსხვავდება სამოქალაქო პროცესისგან, სადაც ხდება კერძო სამართლებრივი ინტერესების დაცვა. თუ ადმინისტრაციული დავის განხილვის პროცესში სასამართლოს არ დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ არასაკმარისია საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად იგი თავისი ინიციატივით უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოძიებასა და გარემოებების გამოკვლევას. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ სასამართლომ შეიძლება ყურადღება გაამახვილოს ისეთ გარემოებებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეებს პროცესის მიმდინარეობისას არ წარუდგენიათ სასამართლოს წინაშე.

ადმინისტრაციული სასამართლო პროცესის ერთ-ერთ თავისებურებას, რომელიც არსებითად განასხვავებს მას სამოქალაქო პროცესისაგან, წარმოადგენს გამოკვლევის პრინციპი (კას § 86). ამის შესაბამისად, ადმინისტრაციული სასამართლო თავისი მოვალეობების ძალით განიხილავს საქმის გარემოებებს. ის არაა შეზღუდული იმ განმარტებებითა და მტკიცებულებებით, რომელთაც მონაწილეები წარადგენენ.¹⁴¹

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასაბუთებს ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ოფიციალობის პრინციპის სპეციფიკურ ბუნებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესისაგან განსხვავებით ადმინისტრაციულ პროცესის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს ანიჭებს

¹⁴⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-4 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁴¹ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирова и М. А. Штатинной**. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ი. ხარშილაძე, ნ. ოვსიანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ 469.

დამატებით უფლებამოსილებას - საკუთარი ინიციატივით შეაგროვის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად. უფრო მეტიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას დასაბუთებული განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახეხებელია.¹⁴²

ადმინისტრაციულ პროცესში გადაწყვეტილების გამოტანისას დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებს.¹⁴³ სასკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,¹⁴⁴ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სადაც აღნიშნულია, რომ სასკ-ის 17.2 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს სასკ-ის მე-4 მუხლზე და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის მახასიათებელი ინკვიზიციურობის ელემენტი, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს მტკიცების ტვირთის ვალდებულებისაგან.¹⁴⁵

ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მსგავსად გერმანული ადმინისტრაციული კანონმდებლობით მოსამართლეები ასევე არ არიან შეზღუდულნი მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობებითა და მტკიცებულებებით. მოსამართლეს შეუძლია საერთოდ შეაცვლევინოს მხარეს შუამდგომლობა. იგი უფლებამოსილია არა მხოლოდ დაავალოს მხარეებს გარემოებების დადგენის მიზნით წარმოადგინონ მტკიცებულებები, არამედ იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და თავად დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები. თუმცა გარემოებების გამოკვლევის პროცესში მოსამართლეს არ შეუძლია უკან დაუბრუნოს ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხი შესასწავლად. ამასთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეს იქნებოდა ხელისუფლების გამიჯვნის პრინციპის დარღვევა და ერთი ხელისუფლების

¹⁴² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება №ბს-435-430(კ-12).

¹⁴³ იხ. *მ. სალხინაშვილი, ზ. მეიშვილი*, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბ., 2005, გვ. 61.

¹⁴⁴ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹⁴⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება №ბს-1247-1191(2კ-09).

მხრიდან მეორის საქმიანობაში ჩარევა. ინკვიზიციურობის პრინციპის მიზანს წარმოადგენს ის, რომ მოხდეს საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სრულყოფილი შესწავლა, შეფასება და ნორმების სწორი მისადაგება ფაქტობრივ გარემოებებთან. ინკვიზიციურობის პრინციპის არსი გამომდინარეობს მნიშვნელოვნად საჯარო ინტერესებიდან, რომელიც ყოველთვის თან სდევს ადმინისტრაციულ დაგებს და როგორც წესი უპირისპირდება კერძო ინტერესებს¹⁴⁶.

1.7.3. მოსამართლის მიერ პროცესის წარმართვის პრინციპი, კონცენტრაციის პრინციპი

მოსამართლის აქტიურობა და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვაზე ზედამხედველობა პრიორიტეტულია ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე.¹⁴⁷ აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული დავის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოფს წესრიგის დაცვა სასამართლო სხდომაზე, ასევე მოახდინოს საქმის განხილვა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, ხარვეზების შემთხვევაში მათი აღმოფხვრის უზრუნველყოფა და ა.შ. რაც შეეხება კონცენტრაციის პრინციპს იგი გულისხმობს სასამართლოს მხრიდან პროცესის წარმართვის კონცენტრაციას იმასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება სწრაფად და მოკლე დროში, ეფექტურად და ხარისხიანად მოხდეს საქმისწარმოების დასრულება მას შემდეგ რაც სრულად და ობიექტურად იქნება შესწავლილი და გამოკვლეული საქმესთან დაკავშირებული გარემოებები და მტკიცებულებები.

აუცილებელია მხარეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სამართალწარმოების გამარტივებული და დაჩქარებული ფორმები და ისინი დაცული იყოს ბოროტად გამოყენების ან დაყოვნებისაგან, რაც, კერძოდ, უნდა განხორციელდეს სასამართლოსათვის სამართალწარმოების უფრო ეფექტური წარმართვის უფლებამოსილებათა მინიჭების გზით.¹⁴⁸

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით მარტივ საქმეებზე გადაწყვეტილება შეიძლება ერთპიროვნულად მოსამართლემ მიიღოს, გათვალისწინებულია აგრეთვე გამარტივებული სასამართლო წარმოების შესაძლებლობა: გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს დასკვნის სახით მხარეთა მოსმენის

¹⁴⁶ იხ. *M.P. Singh*, German administrative Law in Common Law perspective, Germany 2001. Page. 223.

¹⁴⁷ იხ. *მ. კობლაიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 28.

¹⁴⁸ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, გვ. 110.

შემდეგ ზეპირი განხილვის ჩატარების გარეშე.¹⁴⁹ ასევე, პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში (სასკ-ის 28¹ მუხლი)¹⁵⁰.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მაშინ როდესაც მხარე პროცესუალურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი - რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი მოსარჩელის გამოუცდებლობის გამო, არამედ მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის ტრანსფორმირებას.¹⁵¹

საკასაციო სასამართლოში თუ დადგა სარჩელის ტრანსფორმირების საკითი, მოსამართლეს შეუძლია საქმე დაუბრუნოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვოს სარჩელის ტრანსფორმირება.

ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ინკვიზიციური ბუნება ვლინდება მესამე პირების მოწვევასთან დაკავშირებითაც. განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო თავად წყვეტს საკითხს მესამე პირთა მოწვევის შესახებ. სასამართლოს მიერ მესამე პირი საქმეში აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული, თუ იგი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი (სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი).

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოში სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები (ანუ მესამე პირები სავალდებულო მოწვევით). შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასკ-ის მუხლი 34¹ მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁴⁹ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатиной** . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ა. ხარშილაძე, ნ. თვინიანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014 , გვ. 471.

¹⁵⁰ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლი. საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹⁵¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №ბს-203-200(კ-11).

1.7.4. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია განსაკუთრებით იცავს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, უდანაშაულობის პრეზუმციას, კანონის შესაბამისად შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ განხორციელებული სამართლიანი და ღია მართლმსაჯულების უფლებას.¹⁵²

ასევე აღნიშნული პრინციპი სზაკ-ის მე-4 მუხლშია¹⁵³ განსაზღვრული, რომლის თანახმად ყველა თანასწორია კანონის წინაშე როგორც ფიზიკური და იურიდიული პირები ასევე ადმინისტრაციული ორგანოები. დაუშვებელია ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. მიუხედავად ადმინისტრაციულ სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტებს შორის არსებული სუბორდინაციისა სასამართლო ვალდებულია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის საფუძვლზე დაიცვას პროცესში მონაწილე მხარეების თანასწორობა. მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპით გამსჭვალულია პროცესის თითქმის ყველა ინსტიტუტი და ნორმა.¹⁵⁴ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.¹⁵⁵ გასათვალისწინებელია, რომ სსსკ-ის 394 მუხლის¹⁵⁶ თანახმად საქმის განხილვა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით წარმოადგენს საკასაციო საჩივრის გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

აღსანიშნავია ასევე, რომ კანონმდებლობის-კონსტიტუციური წესრიგისადმი, ხოლო აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების- კანონისა და სამართლისადმი დაქვემდებარების პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური პრინციპია.¹⁵⁷

¹⁵² იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბილისი, 2001 წ., გვ. 12.
¹⁵³ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, № 2181, 15.07.1999, [https:// matsne. gov. ge/ka/document/ view / 16270](https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270).
¹⁵⁴ იხ. *თ. ლილუაშვილი., გ. ლილუაშვილი., გ. ხრუსტალი., ზ. ძლიერიშვილი.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014, გვ. 97.
¹⁵⁵ იქვე გვ. 98.
¹⁵⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 394-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.
¹⁵⁷ იხ. პროფ. დოქ. *შ. შულცე., ნ. შმიც-იუსტენი., დოქ. პ. ტურავა., თანაავტორები: თ ზოდელავა., ა. კაპანაძე,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, მე-2 გადაამუშავებული გამოცემა, თბ., 2012, გვ. 12.

1.7.5. კანონიერების პრინციპი

კანონიერების პრინციპი გულისხმობს, რომ სამართლის ნორმებს (კანონებს) პატივს სცემს და აღასრულებს კიდევ ყველა (ხელისუფლების ორგანოები, თანამდებობის პირები, ორგანიზაციები თუ ფიზიკური პირები).¹⁵⁸ კანონის დარღვევის უფლება თვით კანონმდებელსაც კი არააქვს. კანონის დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დარღვეული ან სადაო უფლების სათანადო დაცვა, კანონით დადგენილი პროცესუალური წესების დაცვით და ასევე განახორციელოს მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. ადმინისტრაციული დავის განმხილველმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, როგორც მატერიალური სამართლის ასევე პროცესუალური სამართლის ნორმების სწორად გამოყენება. სასამართლოს მიერ განხილული კონკრეტული საქმე და ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების საფუძველზე. კანონიერების პრინციპი ნიშნავს, რომ სამართალწარმოების ყველა სახისა და სტადიის მსვლელობაში, პროცესის ყველა მონაწილის მოქმედება ხორციელდება კანონის შესაბამისად, დაუშვებელია კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა.¹⁵⁹

ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს რომ უზენაესი სასამართლო კოლეგიურობის პრინციპიდან გამომდინარე საქმეებს განიხილავს კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. დაუშვებელია საკასაციო სამართალწარმოებისას მოსამართლემ საქმე განიხილოს ერთპიროვნულად.

1.7.6. სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

აღნიშნული პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპია. სასამართლოს დამოუკიდებლობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მიერ და დაცული ქვეყნის კონსტიტუციით და კანონით. ყველა სამთავრობო და სხვა დაწესებულებათა მოვალეობაა, პატივი სცენ სასამართლოს დამოუკიდებლობას. სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ძალდატანების, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე.¹⁶⁰

¹⁵⁸ იხ. *შ. ქურდაძე*, სამოქალაქო სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში“, თბ., 2006, გვ. 83-84.

¹⁵⁹ იხ. *ა. კობახიძე*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2003, გვ. 51.

¹⁶⁰ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, გვ. 13-14.

ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ სასამართლო ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე საქმეში მონაწილე მხარეებისაგან.¹⁶¹

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო ვალდებულია უფლებამოსილება განახორციელოს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით (სსსკ-ის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი).¹⁶²

ეს იმას გულისხმობს, რომ მართლმსაჯულება კანონით დადგენილ ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს.¹⁶³

მოსამართლის დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ მან საქმე უნდა გადაწყვიტოს კანონის შესაბამისად და არა რომელიმე თანამდებობის პირის მითითებით.¹⁶⁴

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა მოსამართლემ რომლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანისათვის არის კანონიერი საფუძველები, უარი უნდა თქვას ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობაზე. საქმეში „ზანდი ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის განხილვა კანონის საფუძველზე შექმნილი ტრიბუნალის მიერ, მისი მიზანი არის ის, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სამართალწარმოება არ იყოს დამოკიდებული აღმასრულებელ ორგანოზე და ის რეგულირდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე.¹⁶⁵

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის საფუძველზე ადმინისტრაციული საქმის განხილვაში დაუშვებელია მონაწილეობდეს მოსამართლე, რომელსაც გააჩნია პირადი ინტერესი საქმის არსთან დაკავშირებით, ან თუ ისეთი გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის ობიექტურად გადაწყვეტაზე. სასკ-ი განსხვავებით სსსკ-ისგან აცილების ინსტიტუტთან დაკავშირებით ითვალისწინებს საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის დაუშვებლობის დამატებით

¹⁶¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი). www.nplg.gov.ge.

¹⁶² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-6 მუხლის, პირველი ნაწილი. საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁶³ იხ. **ა. კობახიძე**, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2003, გვ. 38.

¹⁶⁴ იქვე, გვ. 38.

¹⁶⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი). www.nplg.gov.ge.

საფუძველს, კერძოდ, სასკ-ის მე-7 მუხლის¹⁶⁶ თანახმად მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, თუ იგი ამ საქმესთან დაკავშირებით ადრე მონაწილეობდა ადმინისტრაციულ წარმოებაში (ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების, დადების ან გაუქმების მიზნით. სსკ-ის მე-2 მუხლი¹⁶⁷). ადმინისტრაციული სამართალწარმოება გულისხმობს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს.

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი უფლებას აძლევს და ავალებს სასამართლოს, უზრუნველყოს სასამართლოს საქმისწარმოების სამართლიანი მიმდინარეობა და მხარეთა უფლებების დაცვა.¹⁶⁸

1.7.7. ადმინისტრაციული პროცესის ზეპირობისა და უშუალობის პრინციპი

ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობს ზეპირი ფორმით. ზეპირი მოსმენის დროს მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს წარუდგინონ არა მხოლოდ წერილობითი დოკუმენტები, არამედ ზეპირად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და გაამყარონ არგუმენტები. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, კერძოდ, სასკ-ის 27-ე მუხლი¹⁶⁹ ასევე ითვალისწინებს მხარეთა დაუსწრებლად, ზეპირი მოსმენის გარეშე ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას გამარტივებული წესით, რომელიც დასაშვებია, მხოლოდ მხარეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ზეპირობის პრინციპთან არის დაკავშირებული უშუალობის პრინციპი. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციულ საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ სასამართლოს შემადგენლობამ ან იმ მოსამართლემ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში, ზეპირ მოსმენაში, მტკიცებულებათა მოძიებასა და განხილვის პროცესში.¹⁷⁰

¹⁶⁶ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹⁶⁷ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, № 2181, 15.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

¹⁶⁸ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბილისი 2001 წ., გვ. 14.

¹⁶⁹ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 27-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

¹⁷⁰ იხ. *მ. კობაღიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 30.

სასამართლო შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ ზეპირი განხილვის შედეგად გამოკვლეულ მტკიცებულებებს და მიიღოს გადაწყვეტილება იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რაც ზეპირ სხდომაზე იქნება განხილული.¹⁷¹

(კას §1) ადგენს, რომ ადმინისტრაციული სასამართლო წარმოება ხორციელდება დამოუკიდებელი, ადმინისტრაციული ორგანოებისაგან გამოყოფილი სასამართლოების მიერ.¹⁷²

ასევე გადაწყვეტილება საქმეზე შეუძლია გამოიტანოს იმ სასამართლომ რომელმაც უშუალოდ გამოიკვლია, შეამოწმა და შეაფასა მხარეთა მიერ წარმოდგენილი გარებობები და დამტკიცებულად ჩათვალა ამ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები.¹⁷³ უშუალოდის პრინციპის სრულყოფილად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა მოსამართლეთა უცვლელობა. მოსამართლის შეცვლა კი ზოგჯერ აუცილებელია, როდესაც იგი დაავადდება და საჭიროებს მკურნალობას, როდესაც მხარეებმა მას განუცხადეს აცილება ან თვითონ განაცხადა აცილება, როდესაც იგი კანონით გათვალისწინებული საფუძველით ჩამოაცილეს საქმის განხილვას.¹⁷⁴

მოსამართლის შეცვლის შემთხვევაში დამოუკიდებლად იმისა თუ რა საფუძველით ხდება ეს, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა გრძელდება იმ ეტაპიდან, რომელ ეტაპზეც მოხდა შეცვლა.¹⁷⁵ შეცვლილ მოსამართლეს შეუძლია მხარეთა მოსაზრებებს, ახსნა-განმარტებებს და საქმეში არსებულ სხვა მასალებს გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმში.

1.7.8. ადმინისტრაციული პროცესის საქვეყნობის პრინციპი

საქმის განხილვის საქვეყნობის პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლში, ასევე 2009 წლის ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ და სსსკ-ის მე-9 მუხლში,¹⁷⁶ ასევე სზაკ-ის მე-10 მუხლში.¹⁷⁷ იგი გულისხმობს იმას, რომ სასამართლოში ზეპირი მოსმენა უნდა ჩატარდეს საჯაროდ, საქვეყნოდ და ღიად. საქმის განხილვას პროცესის

¹⁷¹ იხ. **Walter Leisner, Aldo Piras, Massimo Stipo**, Administrative Law the problem of Justice. Vol III Western European democracies Giuffre Milan 1997. Page 203.

¹⁷² იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатинной**. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ი. ხარშილაძე, ნ. ოესიანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 468.

¹⁷³ იხ. **თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი**, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ, 2014 წ., გვ. 117.

¹⁷⁴ იქვე გვ. 118.

¹⁷⁵ იქვე გვ. 118.

¹⁷⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მე-9 მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

¹⁷⁷ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, № 2181, 15.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

მონაწილე პირებთან ერთად შეიძლება დაესწროს ნებისმიერი დაინტერესებული პირი. აღნიშნული დემოკრატიული პრინციპი ხაზს უსვამს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობას, ქმნის პირის უფლების დაცვის გარანტიას. ეს პრინციპი შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში თუ სასამართლო სხდომაზე განიხილება სახელმიფო, კომერციული, პროფესიული ან პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული იფორმაცია. ასევე მხარის შუამდგომლობით სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს დახურულ სხდომაზე, თუმცა მიღებული გადაწყვეტილება მაინც ცხადდება საჯაროდ.

მართალია გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დაშვებული მთელ სხდომაზე ან მის ნაწილზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების თვალსზრისიდან გამომდინარე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესები, სასამართლოს მიერ მკაცრად განსაზღვრულ აუცილებელ ფარგლებში განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობა საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების ინტერესებს.¹⁷⁸

გერმანიის (კას § 173) ადგენს, რომ იმ შემთხვევაში თუ (კას-ში) არაა სპეციალური პროცედურული მოწერილობანი, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზოგადი პრინციპები, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, მოქმედებს აგრეთვე ადმინისტრაციული სასამართლო პროცესის მიმართაც. მათ მიეკუთვნება, მაგალითად, სასამართლო გარჩევის საჯაროობის პრინციპი.¹⁷⁹

უნდა აღინიშნოს, რომ საქვეყნოობის პრინციპი არ მოქმედებს საქმის წინასწარი მომზადების, ან სხვა მიზნით შესრულებულ ცალკეულ საპროცესო მოქმედების დროს. ასევე, სარჩელის წარმოებაში მიღების ან ასეთ მიღებაზე უარის თქმის, საპელაციო და საკასაციო საჩივრების დასაშვებობის და ა.შ. საკითხების განხილვა- გადაწყვეტისას.¹⁸⁰

საქვეყნოობის (საჯაროობის) პრინციპის დარღვევა წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს. სსსკ-ის 394-ე მუხლის „დ“ პუნქტის¹⁸¹ თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და უნდა გაუქმდეს თუ გადაწყვეტილება

¹⁷⁸ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, გვ. 18.

¹⁷⁹ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. А. Н. Козирина и М. А. Штатиной . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: *ო. ხარშილაძე, ნ. თვინიანიკოვა*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 468.

¹⁸⁰ იხ. *თ. ლილუაშვილი., გ. ლილუაშვილი., გ. ხრუსტალი., ზ. ძლიერიშვილი.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014, გვ. 106.

¹⁸¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 394-ე მუხლის „დ“ პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები.¹⁸²

1.7.9. სახელმწიფო ენის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აფხაზური. იგივე შინაარსის მატარებელია სზაკ-ის მე-14 მუხლი¹⁸³ რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზური. უნდა ღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მათ არ იციან ენა, რომელზეც მიმდინარეობს სამართალწარმოება.

თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები, წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტრო წესით დამოწმებული თარგმანი. ამ ვადის გააშვება შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი (სზაკ-ის მუხლი 73-ე¹⁸⁴).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-10 მუხლის¹⁸⁵ თანახმად თარჯიმნის მომსახურება ანაზრაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

სხვა სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელია სხვა პრინციპებიც მათი თავისებურებებიდან გამომდინარე. მაგალითად გერმანული ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპი. ვინაიდან გერმანიაში ადმინისტრაციული დავების ხანგრძლივი განხილვა ერთ-ერთ დიდ გამოწვევას წარმოადგენდა წლების მანძილზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გერმანიის მიმართ უფლებათა დარღვევის დადგენის საფუძველზე, 1991 და 1997 წელს გატარებული რეფორმების შედეგად დავების განხილვის პერიოდები მნიშვნელოვნად შემცირდა და ეს

¹⁸² იხ. *თ. ლილუაშვილი., გ. ლილუაშვილი., გ. ხრუსტალი., ზ. ძლიერიშვილი.*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, I ნაწილი, თბ., 2014, გვ. 109.

¹⁸³ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, № 2181, 15.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

¹⁸⁴ შეად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-73 მუხლი. საქართველოს პარლამენტი, № 2181, 15.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>.

¹⁸⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2257. საქართველოს პარლამენტი, 04/12/2009. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676>.

პრინციპი გერმანული ადმინისტრაციული პროცესისთვის დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს.¹⁸⁶

ასევე საინტერესოა პრინციპი, რომელიც მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებას რასაც უნდა ეყრდნობოდეს მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას. საქმის სრულყოფილად განხილვის შედეგი უნდა იყოს ამავდროულად ასეთი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბება რაც ასევე საჭიროებს დასაბუთებას.¹⁸⁷

გერმანიაში, ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო დაცვის კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცი¹⁸⁸ ჩამოყალიბებული ნორმა: „თუ რომელიმე პირის პირადი უფლებები დარღვეულია საჯარო ხელისუფლების მიერ, მას შეუძლია მიმართოს სასამართლო დაცვას“. ამ კონსტიტუციურ ნორმას გერმანიაში უწოდებენ ძირითად საპროცესო სამართალს ან სამართლებრივი სახელმწიფოს გვირგვინს.¹⁸⁹

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს და უპირველეს ვალდებულებას წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვა, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის იდეაზეა დაფუძნებული, მასთან დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების უზრუნველყოფა რომელთა მნიშვნელობაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად აუცილებელია სამართლის პრინციპების გამოყენება, აქედან გამომდინარე ჩვენ მიზანსეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა ყველა ის პრინციპი, რაც ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის არის დამახასიათებელი, ასევე ყურადღება გავამახვილეთ უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებზე და განმარტებებზე აღნიშნული პრინციპების მნიშვნელობასა და მათ სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებებზე.

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, როდესაც მხარეს არ ეძლევა საკუთარი აზრის გამოთქმისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა, ინკვიზიციურობის, საქმის გარემოებების გამოკვლევის პრინციპების დარღვევა შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი. აღნიშნულის გათვალისწინება წაადგებოდა ქართულ კანონმდებლობასა და მართლმსაჯულებას, გააფართოვებდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველებს. აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2017 წელს განხორციელებული დამატებები.

¹⁸⁶ იხ. *M.P. Singh*, German administrative Law in Common Law perspective, Germany 2001. Page. 224.

¹⁸⁷ იქვე გვ. 226-227.

¹⁸⁸ შეად. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცი, მიღებული 1949 წლის 23 მაისს, Grundgesetz.

¹⁸⁹ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. *А. Н. Козирина и М. А. Штатной*. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: *ო. ხარშილაძე, ნ. ოვსიანიკოვა*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, ვ. 466.

1.8. სამართლიანი სასამართლო

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს უფლება ეფექტიანად აღიდგინოს უფლებები კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით კონსტიტუციის ან კანონების მიერ მინიჭებული ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. მოქალაქის ეს ძირითადი უფლება გასაჩივრებაზე ფიქსირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42.1 მუხლში,¹⁹⁰ სადაც აღნიშნულია, რომ „ყველა ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აქვე განსაზღვრულია, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. აღნიშნულ კონსტიტუციურ პრინციპს „სამართლიან სასამართლოზე“ ადამიანის „ძირითად უფლებას“ უწოდებენ.¹⁹¹ აღნიშნულ უფლებას აღიარებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ (მე-6 მუხლი).

მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას აქვს ორი ასპექტი: 1. ინტიტუციური (სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა) და 2. პროცედურული (საქმის განხილვის სამართლიანი ხასიათი). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე ქვეყნების მიერ გარანტირებული უნდა იყოს აღიარებული უფლებების დაცვა სამართლიანი და საჯარო სასამართლო განხილვით.¹⁹²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 42-ე მუხლის¹⁹³ დანაწესს „ინსტრუმენტულ უფლებად“ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მოცემული მუხლი „უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვადობას“.¹⁹⁴

კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა და არც იქნება უფლების დაცვის უფრო ეფექტიანი საშუალება, ვიდრე არის უფლების დაცვის სასამართლო საშუალება.¹⁹⁵

¹⁹⁰ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი. მიღებული 24.08.1995.

¹⁹¹ იხ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები – ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ლ. იზორია; კ. კორკელია; კ. კუბლაშვილი; გ. ხუბუა, „მერიდიანი“, თბ., 2005, გვ. 363.

¹⁹² იხ. **Gomien / Harris/ Zvaak.**, Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, Council of Europe Publishing, 1998, page 305-309.

¹⁹³ შეად. საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, №786, 24.08.1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>.

¹⁹⁴ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება # 1/2/434 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II-I).

¹⁹⁵ იხ. **შ. ქურდაძე**, გამარტივებული წარმოების არსი სამოქალაქო პროცესში, ჟურნალი „სამართალი“ №7,-8, 2002, გვ. 29.

ადამიანის ძირითადი უფლება კანონიერ სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილია. სწორედ აღნიშნული უფლებაა უზრუნველყოფილი საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლით. ადამიანის უფლებათა კონვენცია კანონიერ სასამართლოზე უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად თვლის. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „ყოველი ადამიანი აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ.

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე, როგორც უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ სამართლებრივი პრინციპი, გულისხმობს პირის პირადი უფლების განხორციელებას როგორც პირადად, ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიული პრინციპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლება ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლების ეფექტურ რეალიზაციას და იცავს უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან.¹⁹⁶

სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპებია კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა. სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში. კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე, დაუშვებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების აღრევა. უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები.¹⁹⁷

როგორც მოქალაქე აგებს პასუხს თავისი სახელმწიფოს წინაშე, ისე სახელმწიფო ხელისუფლებასაც ეკისრება პასუხისმგებლობა მოქალაქის წინაშე. მოქალაქეთა უფლებები საიმედოდ უნდა იყოს დაცული

¹⁹⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება # 1/1/403,427 სამეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. (II. პარაგრაფი 1), http://constcourt.ge/index.php?lang_id=22&id=528&action=show.

¹⁹⁷ იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6414>, „სამოქალაქო განათლების ლექსიკონი“, მოხელის სამაგიდო ლექსიკონი; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

ხელისუფლების ან მისი წარმომადგენლების ყოველგვარი თვითნებობისაგან.¹⁹⁸

პირის უფლება სამართლიან სასამართლოზე საკმაოდ კომპლექსურ ხასიათს ატარებს, მისი შინაარსი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ უფლებას აერთიანებს. თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას დაუბრკოლებლად მიმართოს შესაბამის სასამართლოს უფლების დარღვევის ფაქტზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს¹⁹⁹, რომ სასამართლო დაცვის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესის ყოველ მონაწილეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეხედულების გამოთქმისა და პოზიციის დაფიქსირების უფლება. ეს უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მიმართ, რომელიც სასამართლო განხილვის საგანია. ყოველ მხარეს უნდა ჰქონდეს საკუთარი შეფასების გამოხატვის შესაძლებლობა იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც იხილავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სიასამართლომ საქმეზე „იაკოვლევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“²⁰⁰ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია უზრუნველყოფს არა თეორიულ ან ილუზიურ უფლებებს, არამედ იმ უფლებებს, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტიანია.

გერმანული სამართლის მიხედვით ეფექტური სამართლებრივი დაცვის პრინციპი მიეკუთვნება პირის ძირითად უფლებას. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის²⁰¹ თანახმად აღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა გულისხმობს სუბიექტური უფლების უზრუნველყოფას. აღნიშნული მუხლი პირს ანიჭებს სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას ხელისუფლების ჩარევისაგან.²⁰²

გერმანიის ძირითადი კანონი უზრუნველყოფს და გზას უხსნის პირს, ხელისუფლების მხრიდან უფლების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. ეს გარკვეულ წილად საჯარო ხელისუფლების

¹⁹⁸ იხ. *გ. ლორია, მ. სალხინაშვილი*, საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები, თბ., 2001, გვ. 18.

¹⁹⁹ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება # ბს-1422-140(კ-11).

²⁰⁰ შეად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება # 72701/01, „Yakovlev vs Russia“, [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#„itemid“:\(“001-68516“](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#„itemid“:(“001-68516“)).

²⁰¹ იხ. გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი: თუ რომელიმე პირის უფლებები დაირღვა საჯარო ხელისუფლების მიერ, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. რამდენადაც დადგენილი არ არის სხვა განსჯადობა, აღნიშნულ საქმეებს განიხილავენ საერთო სასამართლოები. იხ. GG art. 19. Abs.4 (<https://dejure.org/gesetze/GG/19.html>)/

²⁰² იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი სენატის 1990 წლის 12 იანვრის განჩინება, BvL 17/59, BverfGE (10, 264).

კონტროლსაც გულისხმობს რაც გამოიხატება მათი გადაწყვეტილების შესაძლო რევიზიის საშუალებით. სახელმწიფო პასუხისმგებლობის ინსტიტუტის არსებობაც გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს არსიდან.²⁰³

როდესაც საუბარია დაცვის ეფექტურობაზე, პირველ რიგში, იგულისხმება სასამართლოს ყველა ინსტანციაში თანაბარი შესაძლებლობით მიმართვის უფლება.²⁰⁴ აღნიშნული ძირითადი უფლება იყოფა სამართლებრივი დაცვის გზის ეფექტურობად და სამართლებრივი დაცვის ნამდვილობად.²⁰⁵

იმისათვის, რომ ძირითადი უფლებების ცხოვრებაში გატარება მოხდეს და განხორციელდეს სოციალურ სინამდვილეში, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა, იზრუნოს ძირითადი უფლებების დაცვაზე.²⁰⁶ ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელია გარკვეული თავისებურებები, რომლებიც „საკუთარი თავისებური ამოცანებით, მონაწილეობის ფორმებით, სამართლებრივი წესებით და უპირველეს ყოვლისა სხვადასხვაგვარი პასუხისმგებლობებით,“ არის აღჭურვილი.²⁰⁷

ინგლისელი მეცნიერის ჯონ ლოკის აზრით, სახელმწიფო სამართლის გამოვლინებაა, რომელიც ემყარება ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს. იგი ამბობდა, თავისუფლება არის ვიმოქმედო ჩემი სურვილის შესაბამისად, როდესაც ამას არ კრძალავს კანონი. ლოკის მიერ ფორმულირებული ეს პრინციპი შემდგომში ჩამოყალიბდა, როგორც ზოგადი საკაცობრიო პრინციპი, ასეთი სახით: „ნებადართულია ყველაფერი, რაც არ არის აკრძალული კანონით და არავინ არ შეიძლება აიძულოს შეასრულოს ის, რასაც კანონი არ მოითხოვს“.²⁰⁸

საქართველოს ორგანულმა კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ“²⁰⁹ ახლებურად განსაზღვრა საქართველოს თანამედროვე სასამართლო სისტემა, რომელშიც საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უკავია. საკასაციო სასამართლო წარმოადგეს მესამე ინსტანციის სასამართლოს, რომელსაც შეუძლია არა მარტო

²⁰³ იხ. **ზ. ადვიშვილი., ქ. ვარდიაშვილი., ლ. იზორია., ნ. კალანდაძე., მ. კოპალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., პ. ტურავა., დ. ქიტოშვილი.,** ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბ., 2005, გვ. 41.

²⁰⁴ იხ. BverfGE 31, 364 (368)

²⁰⁵ იხ. **Epping, V.,** Grundrechte, Lehrbuch, Verlag Springer, Berlin, Heidelberg, Newyourk, 2007, S. 382.

²⁰⁶ იხ. **Hesse,** Bestand und Bedeutung der Grundrechte in der Bundesrepublik deutschland, in : EuGRZ 1978, S. 434; **Ossenbuhl ,** Grundrechtsschutz im und durch Verfaherensreect, in Festschrift fur Kurt Eichenberger zum 60. Geburtstag, Eicherbege, 1982, S. 183.

²⁰⁷ იხ. **In-Chin Chen.,** Das institute der Vertretung im Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, Peter Lang, Frankfurt, 2000. S. 27.

²⁰⁸ იხ. **გ. ლორია., მ. საღხინაშვილი.,** საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები, თბ., 2001, გვ. 19.

²⁰⁹ შეად. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. 2257. საქართველოს პარლამენტი, 04/12/2009. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676>.

გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს უკან ხელახლა განსახილველად, არამედ კანონთ გათვალისწინებულ შემთხვევებში თვითონ მიიღოს ახალი გადაწყვეტილება.

სწორედ საკასაციო სასამართლო უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს გარანტი სახელმწიფოში. საკასაციო სასამართლოსთან დაკავშირებული ღონისძიებების განხილვისას მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ საქმე უკვე ორ სასამართლო ინსტანციაში განხილული.²¹⁰

უზენაესი სასამართლო, რომლის კონკრეტული მიზანია სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ზოგადად, უზენაესი სასამართლოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გარანტირებული იყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა სხვა მოქალაქეებთან ან ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობაში. უზენაესმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ კონსტიტუციური ნორმების უშუალო გამოყენება და ამ ნორმების გათვალისწინებით კანონების განმარტება.²¹¹

სასამართლო ხელისუფლებისთვის სამართლის შესაბამისად მოქმედება ნიშნავს სასამართლო გადაწყვეტილებების მხოლოდ მოქმედი სამართლის ფარგლებში მიღებას. ნორმათა ინტერპრეტაცია მხოლოდ იურიდიული მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში კი მოსამართლის არგუმენტაცია მხოლოდ კონსტიტუციის იმანენტური პრინციპების შესაბამისად უნდა წარმოებდეს.²¹²

ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ორგანიზაცია უნდა პასუხობდეს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებას მისი უფლების ეფექტიან დაცვაზე. ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას ემსახურება უფლების დაცვის სამსაფეხუროვანი სისტემა. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ხორციელდება საერთო სასამართლოების მიერ დავების პირველი ინსტანციით, აპელაციისა და კასაციის წესით განხილვის გზით.²¹³

²¹⁰ იხ. *ე. ქეცბაია*, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2 გვ. 158.

²¹¹ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, გვ. 162; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ, თემაზე „უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება“, პრატა და ბრნო, 21-23 ოქტომბერი, 1988 წელი.

²¹² იხ. *ლ. იზორია*, თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, GTZ, გამომცემლობა „სიესტა“ თბ., 2009, გვ. 191.

²¹³ იხ. *მ. კოპალეიშვილი*, *ნ. სხირტლაძე*, *ე. ქარდავა*, *პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 398.

უნდა აღინიშნოს, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის” მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება არის საკმაოდ მრავალასპექტიანი და ერთ-ერთი უმთავრესი უფლებათაგანი, რადგან სწორედ მის სათანადო განხორციელებაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული სხვა ფუნდამენტურ უფლებათა დაცვა.²¹⁴

თავი 2. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

2.1. საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების პირობები (ფორმალური დასაშვებობა)

ყველა გადაწყვეტილება, რომესაც პროცესში მონაწილე მხარე ასაჩივრებს, არ ექვემდებარება საკასაციო წესით განხილვას. კანონმდებელი მხოლოდ მაშინ იძლევა სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას, თუ მიიჩნევს, რომ იგი საკასაციო წესით განხილვას ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების საგანს სამართლებრივი ან ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. კასაციის დასაშვებობა წარმოადგენს ეფექტურ ფილტრს, რომლის მეშვეობითაც საკასაციო სასამართლოები თავისუფლდებიან ისეთი საქმეების განხილვისაგან, რომლებიც საკასაციო განხილვას არ საჭიროებენ და რომელიც ხელს უწყობს საკასაციო სასამართლოთა განტვირთვას უმნიშვნელო საქმეებისაგან. ამიტომ საკასაციო სასამართლოები იხილავენ, მხოლოდ იმ საქმეებს რომლებსაც კანონმდებელი საკასაციო წესით განხილვისათვის დასაშვებად მიიჩნევს.²¹⁵

მაგალითად გერმანული კანონმდებლობით საკასაციო წესით გასაჩივრებადი არაა ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შემხებლობაშია რომელიმე მონაწილე პირთან. კანონმდებელმა განსაზღვრა გასაჩივრების ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იმ შემთხვევებისათვის, რომლებიც მან მიიჩნია სამართლებრივ დავად კასაციის ღირსად, ანუ, როდესაც დავას აქვს განსაკუთრებული სამართლებრივი ან ეკონომიკურ-ფინანსური მნიშვნელობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების საგნის გამო. ნამდვილი ფილტრი, რომელიც აარიდებს საკასაციო სასამართლოს კასაციის უღირს პროცესებს, ახდენს რა სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას, არის კასაციის დაშვება, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ იმ შემთხვევებით, რომლებიც კანონმდებელმა მიიჩნია კასაციის ღირს, გადასინჯვად საქმეებად. ძირითადად, დასაშვებობის მიზეზები უნიფიცირებულადაა მოწესრიგებული. საკასაციო სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა საქმის გადასინჯვადობის რეგულაციის მეშვეობით არ ახდენს ზეგავლენას

²¹⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი). www.nplg.gov.ge.

²¹⁵ იხ. *გ. ქეცბაია*, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოაქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება”, 2007, №2 გვ. 160.

კასაციის გადახედვის მოცულობაზე ისეთ საქმეებზე, რომელსაც კანონმდებელი მიიჩნევს გადასინჯვადად.²¹⁶

კასაციის დასაშვებობის შემოწმებისას, მხდველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ის, რომ სამართლებრივი ნორმა ან ამ ნორმიდან გამომდინარე სამართლებრივი შეფასება უშუალოდ უკავშირდებოდეს განსახილველ საქმეს, ემსახურებოდეს განსახილველი საქმის გადაწყვეტას, საფუძვლად ედოს ამ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას.²¹⁷

საკასაციო მართლმსაჯულების მიზანია როგორც პიროვნების დარღვეული უფლებების დაცვა კონკრეტულ სადავო საკითხებთან მიმართებაში, ასევე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარების ხელშეწყობა, ამ ამოცანების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა შესაძლებელი ხდება, თუ არ მოხდება საკასაციო სარჩელის დასაშვებობის შეზღუდვა.²¹⁸

საკასაციო სასამართლო უპირველეს ყოვლისა ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფორმალურ წინაპირობებს და ამის შემდეგ იღებს საკასაციო საჩივარს დასაშვებობის შესამოწმებლად.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის II ნაწილის²¹⁹ თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები საჩივრის შეტანისა, აქედან გამომდინარე, სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა გასაჩივრებას სააპელაციო და საკასაციო წესით აწესრიგებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-9 კარი, იმ შეზღუდვებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დადგენილია სასკ-ს 34-ე მუხლით.²²⁰

²¹⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGO, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 137.

²¹⁷ იხ. **თ. ლილუაშვილი.**, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიი“, 2005, გვ. 504.

²¹⁸ იხ. **მ. კობალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა** (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 398.

²¹⁹ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

²²⁰ იხ. **მ. კობალეიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა** (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 399.

სასკ-ს 34-ე მუხლის პირველი ნაწილი²²¹ უშვებს ადმინისტრაციულ დაევბზე სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობას დავის საგნის ღირებულების მიუხედავად. სამოქალაქო დაევბზე სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ ამ ღირებულების ოდენობა ეჭვს იწვევს, საკასაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს. სსსკ-ის 365 მუხლისა და 391-ე მუხლის მე-3 ნაწილის ეს მოთხოვნები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ქართული სასამართლო სისტემისაგან განსხვავებით გერმანიის სასამართლო სისტემაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს არა საკასაციო სასამართლო, არამედ სააპელაციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც არის მიმართული საკასაციო საჩივარი. კერძოდ, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 117-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი²²² განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას გადაწყვეტოს კასაციის დაშვება.

კასაციის დაშვება უნდა აისახოს შესაბამის გადაწყვეტილებაში. მასზე ვრცელდება გადაწყვეტილების მომწვერიგებელი ყველა დებულება. მაგალითად, კონსულტაცია, გადაწყვეტილების მიღება თუ ჩაბარება.²²³

კასაციის დაშვების მოთხოვნა მკაფიო უნდა იყოს გასაჩივრების სიცხადის ინტერესებიდან გამომდინარე. მართალია, შესაძლებელია მისი განმარტება, თუმცა, შეძლებისდაგვარად, უნდა იქნას შერჩეული ისეთი ფორმულირება, როგორცაა „კასაცია დაიშვება“. ასევე „კასაცია დასაშვებია“ ან კიდევ „ამ გადაწყვეტილების მიმართ დაიშვება კასაცია“.²²⁴

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ გადაწყვიტა, არ დაეშვა კასაცია, ამის მკაფიოდ ფორმულირება სავალდებულო არ არის, რადგან დაშვების არარსებობა, როგორც წესი, მოასწავებს დაუშვებლობას. ამდენად, კასაციის დაუშვებლობის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ასახვა ნამდვილად შედის მართლმსაჯულების ინტერესებში, რადგან აღარ დარჩება ეჭვის საფუძველი, იმსჯელა თუ არა სასამართლომ ამ საკითხზე. დარგობრივი ლიტერატურა საუბრობს მოსაზრებაზე, დაშვების შესახებ

²²¹ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

²²² შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 117-ე, მე-2 ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს, (VwGO), §117 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

²²³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 154.

²²⁴ იქვე, გვ. 154.

გადაწყვეტილებამ უნდა დაასახელოს ასევე კომპეტენტური საკასაციო სასამართლო. ამის საწინააღმდეგოდ, უნდა ითქვას, რომ დაშვება არის გადაწყვეტილება და არა გასაჩივრების წესის განმარტება. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა განსაზღვრავს გასაჩივრების წესის განმარტებას, იქვე უნდა იქნას მოხსენიებული კომპეტენტური საკასაციო სასამართლოს დასახელებაც.²²⁵

კასაციის დაშვება შეიძლება შემოიფარგლოს დავის საგნის ცალკეული ნაწილებით, თუ ის გამოყოფადია და შეიძლება იყოს ნაწილობრივი გადაწყვეტილების საგანი. ამდენად, ზუსტად უნდა აღიწეროს ის ნაწილი, რომელზეც ვრცელდება დაშვება. თუ ეს უკეთ გასაგებია, მაშინ შეიძლება იმ ნაწილის მოხსენიებაც, რომელზეც არ ხდება კასაციის დაშვება. დაშვების შეზღუდვა სავალდებულოა, როდესაც დავის საგნის ნაწილზე სახეზეა დასაშვებობის წინაპირობები. შეზღუდული დაშვების შესაძლებლობა და აუცილებლობა ვრცელდება დავის საგნის იმ კასაციის ღირს ნაწილებზე, რომლებიც არის დამოუკიდებელი კანონიერი ძალის უნარიანი. ამდენად, დაშვების შეზღუდვა იმ შემთხვევაშიც არ არის დამოკიდებული ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე, როდესაც გარკვეულ სამართლებრივ საკითხს გააჩნია დაშვების საფუძველი, რადგან საკასაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს დავის საგანი და არა სამართლებრივი საკითხი.²²⁶

გერმანული სამართლით სააპელაციო სასამართლოს მოჭვა გამომდინარეობს კანონმდებლობიდან სააპელაციო სასამართლოსაც აქვს სხვადასხვა შესაძლებლობა, გამოასწოროს დაუშვებელი კასაცია, ანუ, პოსტ ფაქტუმ, დაუშვას კასაცია, განურჩევლად იმისა, მკაფიოდ არის თუ არა დაუშვებლობა გამოხატული, თუ დაშვება მხოლოდ კონკლუდენტურია (დუმილი).²²⁷

გერმანული კანონმდებლობა²²⁸ იძლევა გადაწყვეტილების აშკარა უზუსტობების შეამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გასწორების შესაძლებლობას. ვინაიდან კასაციის დაშვების გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს, მასზეც ვრცელდება ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობაც. თუმცა წინაპირობები მხოლოდ იშვიათად არის სახეზე. აუცილებელია,

²²⁵ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 155.

²²⁶ იქვე, გვ. 155.

²²⁷ იქვე, გვ. 155-156.

²²⁸ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 118-ე, ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს, (VwGO), §118 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

სასამართლომ გადაწყვიტოს დაშვება. იმავდროულად, უზუსტობა უნდა იყოს ცალსახად შესამჩნევი²²⁹

სასამართლო, რომელმაც მიიღო განჩინება საჩივრის დაუშვებლობის შესახებ, ვალდებულია, დააკმაყოფილოს დასაბუთებული საჩივარი. ეს არ უნდა იყოს აუცილებლად იგივე სასამართლო შემადგენლობა, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაგრამ აუცილებლად იგივე სენატი. უბრალოდ, იბადება კითხვა, როგორ უნდა მოხდეს დაკმაყოფილება თუ ცვლილება და უნდა მიიღონ თუ არა მონაწილეობა არაპროფესიონალი მოსამართლეებმაც? ერთის მხრივ, არაპროფესიონალი მოსამართლეები მონაწილეობას იღებენ მხოლოდ საქმის ზეპირ განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 პარაგრაფი²³⁰ მეორეს მხრივ, ხდება იმ გადაწყვეტილების ცვლილება, რომელიც მიიღო არაპროფესიონალი მოსამართლეებით დაკომპლექტებულმა სასამართლო კოლეგიამ.

იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მიიღებდნენ მონაწილეობას გადაწყვეტილების შეცვლაში, მაშინ შეიძლება გადაწყვეტილების მიღების დროს მათ მიერ გადაწონილი მოსამართლეები აღმოჩნდნენ უმრავლესობაში და, ფაქტობრივად, შემოაბრუნონ სრულად დაკომპლექტებული სასამართლო შემადგენლობის გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების შეცვლა ხორციელდება მარტივი და შედარებით მოკლე ვადიანი სამართალწარმოების ფარგლებში, რათა საჩივარი, უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მაქსიმალურად სწრაფად წარედგინოს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს, აუცილებელია არაპროფესიონალი მოსამართლეების მონაწილეობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის ჩანიშნული საქმის ზეპირი განხილვა. ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი, გადაწყვეტილება უნდა იქნას გამოტანილი საკუთრივ გადაწყვეტილებისა თუ განჩინების სახით. ის გარემოება, რომ იცვლება გადაწყვეტილება, გონივრულად განიხილავს სახეცვლილი გადაწყვეტილების ფორმას. იმავდროულად აშკარა უზუსტობები ექვემდებარება გასწორებას განჩინებით. გასწორებისას იცვლება არა განჩინება, არამედ განიმარტება, რაზე იქნა მიღებული განჩინება.²³¹

საკასაციო სასამართლოს ჩვეულებრივ შემთხვევაში საჩივრის დაკმაყოფილების დასაბუთების არსებულ ვალდებულებას (გერმანიის

²²⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 156.

²³⁰ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § მე-19, ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს, (VwGO), §19 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

²³¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 158.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი²³²) ასევე, როგორც გადაწყვეტილების დადებითი შეცვლის დასაბუთების ვალდებულებად. ეს ყველაფერი იმიტომ არის საეჭვო, რომ გადაწყვეტილების სახეცვლას, საჩივარზე მიღებული უმაღლესი სასამართლოს ინსტანციის გადაწყვეტილების მსგავსად, არ ხელეწიფება კასაციის დაშვება. გადაწყვეტილების დადებითი სახეცვლა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება საკასაციო ვადის დენას, აუცილებლად უნდა შეიცავდეს გასაჩივრების წესის განმარტებას, მსგავსად კასაციის ნებისმიერი დამატებითი დაშვებისა.

გადაწყვეტილების შეცვლამდე აუცილებელია მხარეების მოსმენა. ზეპირი მოსმენის მოთხოვნა ვრცელდება ასევე სამართალწარმოების ამ ეტაპზეც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომჩივანმა გამოთქვა კასაციის დასაშვებობის საკუთარი ხედვა საჩივრის დასაბუთებაში, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა სხვა მონაწილესაც უნდა მიეცეს საკუთარი არგუმენტების მოშველიების შესაძლებლობა.²³³

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია, ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო უშვებს კასაციას. საჩივრის წარმოება ამით სრულდება, ხოლო საკასაციო წარმოება კი გრძელდება (გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი²³⁴), რის გამოც საქმე წარედგინება გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალურ სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაუშვებლად და დაუსაბუთებლად მიიჩნევს საჩივარს, მაშინ საჩივარი დაუყოვნებლივ წარედგინება საკასაციო სასამართლოს. ამის შესახებ უნდა ეცნობოს პროცესის მონაწილე მხარეებს გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 148-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის²³⁵ შესაბამისად.

მართალია, საქართველო არ განეკუთვნება ინგლისურ-ამერიკული სამართლის ოჯახის ქვეყანათა კატეგორიას, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებებს პრეცედენტული და სავალდებულო ძალა გააჩნია,

²³² შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 133-ე, მე-5 ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს, (VwGO), §133 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

²³³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 158.

²³⁴ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 139-ე, მე- 2 ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს,(VwGO), §139 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

²³⁵ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 148-ე, მე- 2 ნაწილი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს, (VwGO), §148 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც.²³⁶

ნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება უზენაესი სასამართლოს როლი მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების პროცესში. გაფართოვდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძლები როგორც ადმინისტრაციულ პროცესში, ასევე სისხლის და სამოქალაქო საქმეებთან მიმართებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შენარჩუნებულია ის მიდგომა, რომ უზენაესი სასამართლო მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს განიხილავს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან – **დივერგენტული კასაცია**; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკასაციო სასამართლოში, საჩივრების წარდგენა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ საქმეებზე, რომლებიც გადაისინჯება მესამე ინსტანციის მიერ, მაგალითად ისეთი საქმეები, რომლებმაც შეიძლება განაგრძოს სამართალი ან ხელი შეუწყოს სამართლის ერთგვაროვან ინტერპრეტაციას. ეს საქმეები შეიძლება, აგრეთვე, შეიზღუდოს იმ საჩივრებამდე, რომლებშიც საქმე ეხება საყოველთაო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამართლის ნორმას. აპელანტი ვალდებული უნდა

²³⁶ იხ. *გ. ქეცბაია*, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2 გვ. 157.

იყოს ჩამოყალიბოს ის საფუძვლები, თუ რატომ ემსახურება საქმე აღნიშნულ მიზნებს.²³⁷

2.2. საკასაციო საჩივრის ობიექტი

საკასაციო საჩივრის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილება. ასევე დასაშვებია ცალკეულ განჩინებათა საკასაციო წესით გასაჩივრება.

საკასაციო საჩივრის ობიექტი არის ყოველივე ის რაც შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით.²³⁸ საკასაციო საჩივრის ობიექტის ზუსტად განსაზღვრას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. თუ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სცილდება საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას, თუ კასატორი ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს ისეთ საპროცესო დოკუმენტს, რომლის საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ითვალისწინებს კანონმდებლობა, საკასაციო სასამართლო არ დაუშვებს ასეთ საკასაციო საჩივარს.²³⁹

საკასაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს არა მხოლოდ მთლიან გადაწყვეტილებაზე, არამედ მის ნებისმიერ შემადგენელ ნაწილზე. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება იმ ნაწილში რომელიც გასაჩივრებულია.

მაგალითად გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ საკასაციო წესით გასაჩივრებადია მხოლოდ ძირითადი გადაწყვეტილებები და არა შუალედური გადაწყვეტილებები.²⁴⁰ მაშასადამე საკასაციო საჩივრის ობიექტად მიიჩნევა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. კასაციის დასაშვებობის საკითხს ანდობს სააპელაციო სასამართლოს, რომელიც საკუთარი ინიციატივით, მხარის მოთხოვნისა და შუამდგომლობის გარეშე, განსაზღვრავს დასაშვებია თუ არა კასაცია. კასაციის დასაშვებობის საფუძვლები ერთნაირია როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოებისთვის. იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო სასამართლომ კასაცია დაუშვებლად მიიჩნია, მხარეს უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოში.

²³⁷ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, გვ. 148.

²³⁸ იხ. *თ. ლილუაშვილი*, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიი“, 2005, გვ. 495.

²³⁹ იქვე, გვ. 495.

²⁴⁰ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGO, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 129.

2.3. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე სუბიექტები და მათი შემსებლობა დავის საგანთან

საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. ამ მიზნით საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს: შემოტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი უფლებამოსილი პირის მიერ.

ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს. მხარეებად შეიძლება ჩაითვალოს ერთი მხრივ, პირები, რომელთაც გააჩნიათ კანონით დაცული უფლებები და მოვალეობები და მეორე მხრივ, პირები, ორგანო, ან ორგანიზაცია, რომელიც დგას მეორე მხარის დარღვეული უფლების საპირისპიროდ.²⁴¹

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე და მოპასუხე, თავიანთი ინტერესებით ურთიერთდაპირისპირებული მხარეები. მოსარჩელე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელმაც აღძრა სარჩელი თავისი დარღვეული ან სადავო უფლების დასაცავად, ხოლო მოპასუხე კი არის პირი, რომელმაც მოსარჩელის განცხადებით, დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება.²⁴²

ადმინისტრაციულ პროცესში მოსარჩელედ გვევლინება ის დაინტერესებული პირი, რომლის კანონიერი ინტერესიც დარღვეული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ პროცესში სავალდებულო მხარედ - მოპასუხედ ყოველთვის გვევლინება ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება.²⁴³

ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, ადმინისტრაციული პროცესის მხარეებს წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეები შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები (მაგ. არარეგისტრირებული კავშირი).²⁴⁴

²⁴¹ იხ. *Kiener., Rutsch.e, Kuhn.*, Offentliches Verfahrensrecht, Verlag Dike, Zurich, St. Gallen, 2012, S. 134.

²⁴² იხ. *მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წიკვლაძე*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, გვ. 57.

²⁴³ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-14 მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

²⁴⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 45-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, # 786, 26.06.1997, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/31702>.

საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის II ნაწილით²⁴⁵ განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულ მესამე პირებს. მხოლოდ ამ პირებს აქვთ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება.

გერმანიის კანონმდებლობა უფრო აფართოებს პროცესის მონაწილე სუბიექტთა წრეს, კერძოდ, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (VwGO)²⁴⁶ 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ პროცესში მნაწილეობენ: მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები და ფედერაციული სახელმწიფოს წარმომადგენელი ადმინისტრაციულ სასამართლოში ან საჯარო ინტერესების წარმომადგენელი.

კასაციის შეტანის უფლება აქვს არა პროცესის ნებისმიერ მონაწილეს, არამედ მხოლოდ იმას, ვის წინააღმდეგაც გამოტანილია კონკრეტული გადაწყვეტილება. ისევე, როგორც სახელმწიფო მხოლოდ იმ მოსარჩელეს აძლევს სასარჩელო მოთხოვნის წამოყენების უფლებასა და ამ სახით მისი სამართლებრივი პოზიციის სასამართლო გზით განხორციელების შესაძლებლობას, რომელსაც აქვს უფლებადაცვის მოთხოვნილება და რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი უფლების სასამართლოს გარეშე დაცვას, ის მხოლოდ იმ დაინტერესებულ პირს აძლევს მეორე (ან შემდგომი) ინსტანციით გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელსაც აქვს დახმარების მოთხოვნილება და აქვს ასევე დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი, გადაახედინოს და გააუქმებინოს სასამართლო წესით მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. ამას შეიძლება ვუწოდოთ „გასაჩივრების შესაძლებლობის დაცვის მოთხოვნილება“.²⁴⁷

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს და გაითვალისწინოს სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელი უფლებადაცვის მოთხოვნილება, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ დასაშვები კასაციის ფარგლებში.²⁴⁸

პროცესის მონაწილე სუბიექტები შემხებლობაში უნდა იყვნენ საკასაციო საჩივართან. როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უკანონოა. განურჩევლად იმისა, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობის მტკიცება/გაცხადება უნდა იყოს არა საჩივრის განუყოფელი ნაწილი, არამედ უნდა წარმოადგენდეს კასაციის

²⁴⁵ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

²⁴⁶ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. 63-ე მუხლი, (VwGO), §63 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

²⁴⁷ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 131.

²⁴⁸ იქვე, გვ. 131.

დასაბუთების ფორმალურ მხარეს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სასამართლოს სამართლებრივი შეხედულების გათვალისწინებით, მაშინ საჩივრის არსი შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეხედულება, რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, არ შეესაბამება მოსარჩელის მიერ დასახულ სასარჩელო მიზანს²⁴⁹.

შემხებლობა შეიძლება იყოს ფორმალური ან მატერიალური სახის. ფორმალური საჩივარი მდგომარეობს პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობასა და გადაწყვეტილებას შორის სხვაობაში. ფორმალური საჩივარი არის იმ მონაწილე მხარეთა წინაპირობა, რომლებიც განაპირობებენ დავის საგნის შუამდგომლობის შინაარსს. აქ საქმე უნდა ეხებოდეს შინაარსობრივ და არა მხოლოდ რედაქციულ გადახვევას. ფორმალურად მონაწილე შემხებლობაშია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაკმაყოფილდა მისი დამატებითი (დამხმარე) და არა ძირითადი შუამდგომლობა²⁵⁰.

პროცესის იმ მონაწილეთათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ და არ უნდათ შუამდგომლობით გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა, მაგალითად, მოპასუხე, მოპასუხე აპელანტი ან რომელიმე მესამე პირი, ყველაფერი დამოკიდებულია სწორედ მატერიალურ საჩივარზე, ანუ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის უარყოფითი ზეგავლენა სამართლებრივ პოზიციასზე, თუ მათ კონკრეტული შუამდგომლობით არ განუზრახავთ გარკვეული გადაწყვეტილების მიღება. ეს ნიშნავს, რომ შემხებლობა სახეზეა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადაწყვეტილების შინაარსი უარყოფით ზეგავლენას ახდენს მონაწილეზე. იმ შემთხვევაში, თუ კასატორი კასაციის შეტანის მომენტში ჯერ კიდევ არ არის შემხებლობაში, მაშინ კასაცია არ დაიშვება²⁵¹.

ერმანული კანონმდებლობით, თუ კასაციის წარდგენის შემდეგ ისეთი გარემოება იჩენს თავს, რომელიც განაპირობებს კასატორის შემხებლობას, ეს მაინც არ გამოიწვევს კასაციის დაშვებას, რადგან ახლად გამოვლენილი თუ აღმოჩენილი გარემოებები ზოგადად არ ექვემდებარება საკასაციო წარმოების ფარგლებში გათვალისწინებას. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო

²⁴⁹ შეად. გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1976 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 2 რუ 127/74 - გერმანიის ფედერალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები 43, 1, 2. (BSG,Urt. v. 27.10.1976-2 Ru 127/74-BSGE 43,1,2 ff.)

²⁵⁰ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 132.

²⁵¹ შეად. გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1959 წლის 03 ნოემბრის გადაწყვეტილება - 2 რუ 826/56 - გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები 11, 26, 27. (BSG,Urt. v. 3.11.1959-9RV 826/56-BSGE 11,26,27.)

წარმოების დროს ქრება სარჩელის უფლებადაცვის მოთხოვნისგან, მაგალითად, სასარჩელო მოთხოვნის შესრულებით, მაშინ შემსებლობა მაინც ძალაში რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილებით; კასაცია კი დაშვებულია. შესაძლოა, ამ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა აღარ დაკმაყოფილდეს უფლებადაცვის არასაკმარისი მოთხოვნისგან გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარჩელს შეიძლება გაუჩნდეს სრულიად განსხვავებული, დაცვის ღირსი მიზანი, მიუხედავად საკასაციო ინსტანციაში სასარჩელო მოთხოვნის შეცვლის აკრძალვის პრინციპისა. მსგავსი შემთხვევები გვხვდება, მაგალითად, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო, კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სასამართლო სამართალწარმოების დროს, როდესაც აღძრულია შეცვლითი სარჩელი.²⁵² კერძოდ, როდესაც ადმინისტრაციულმა ორგანომ, გააუქმა რა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოსცა მხარის მიერ მოთხოვნილი ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო მოსარჩელემ კი მოახდინა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმაცია დამატებით აღიარებით სარჩელად, რაც შესაძლებელია თვით საკასაციო სამართალწარმოების ფარგლებშიც კი²⁵³.

2.4. მესამე პირების შემსებლობა დავის საგანთან

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის II ნაწილით²⁵⁴ განსაზღვრული წესით საქმეში ჩაბმულ მესამე პირებსაც.

საკასაციო სასამართლოში სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები (ანუ მესამე პირები სავალდებულო მოწვევით). შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასკ-ის მუხლი 34¹ მუხლის მე-2 ნაწილი.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით მესამე პირი (დამხმარე ან მოწვეული პირი, სხვა რომელიმე უფლებამოსილი პირი),

²⁵² იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchtrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, ünberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 132-133.

²⁵³ შეად. გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1991 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება - 1RR 2/89 - გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები 68, 228, 229. (BSG,Urt.v.17.4.1991-1RR 2/89-BSGE 68,228,229 mwN.)

²⁵⁴ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

რომელიც არ ყოფილა აპელანტი ან სააპელაციო მოპასუხე. იმ შემთხვევაში, თუ მან სააპელაციო სამართალწარმოებისას წამოაყენა მოთხოვნები ან შუამდგომლობები, ფორმალური შემხებლობა ძალიან მარტივად იკითხება შუამდგომლობებსა და სარეზოლუციო ნაწილს შორის განსხვავებაში.

მესამე პირი იმ შემთხვევაშიც კი უფლებამოსილია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე, თუ მას არანაირი შუამდგომლობა არ წამოუყენებია სააპელაციო ინსტანციაში. მისი შემხებლობა განიხილება სასამართლო პრაქტიკის მიერ გადაწყვეტილების კანონიერ ძალასთან ბოჭვის კუთხით. იგივე კანონიერი ძალით ბოჭვა, რომელიც აქვთ პროცესის მთავარ მონაწილე პირებსაც, იმ შემთხვევაში ვერ იქნება საკმარისი მოწვეული პირისათვის, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამება მოწვეული პირის მოთხოვნას. იმისათვის, ვინც მიაღწია სასურველ გადაწყვეტილებას, არ არსებობს დაცვის ღირსი მოთხოვნილება, მიაღწიოს საჩივრის მეშვეობით მისი შუამდგომლობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას.

სხვათა შორის, გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალურმა სასამართლომ მოითხოვა მოწვეული მესამე პირების მატერიალური შემხებლობის დასადასტურებლად კანონიერი ძალის მოქმედების ფარგლებს გარეთ გამავალი უარყოფითი ზეგავლენა. გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლოს აზრით, მოწვეული მესამე პირი არ არის შემხებლობაში დავის საგანთან, როდესაც მისი ჩართულობა დაუშვებელია შესაბამისი წინაპირობების არარსებობის გამო. შემხებლობის ეს ზოგადი უარყოფა არის ერთგვარად პრობლემური, რადგან მესამე პირის ჩართულობის მიზეზი არ უკარგავს გადაწყვეტილებას მესამე პირებზე გავრცელების შესაძლებლობასაც. მართალია, ასეთ შემთხვევებში ხშირად, თუმცა არა აუცილებლად, არ იარსებებს დავის საგანთან და, მაშასადამე, შემხებლობასთან კავშირი, რაც, ცალკეულ შემთხვევაში, გადამოწმების საგანს წარმოადგენს.²⁵⁵

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია მოწვეული მესამე პირის მიმართ მაშინ იგი შემხებლობის თვალსაზრისით იმყოფება მოპასუხის მსგავს სიტუაციაში. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ან თავადვე დააკისრა მესამე პირს გარკვეული ვალდებულებების შესრულება, მაშინ ეს არის კასაციის შესატანად აუცილებელი შემხებლობა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა მესამე პირის მიმართ მიღებული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ან ძალაში დატოვა მესამე პირისათვის ვალდებულებების დაკისრებაზე უარის მთქმელი პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, მაშინ შემხებლობა შეფასებადია მოპასუხის

²⁵⁵ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.135.

მსგავსად. ამდენად, საკმარისი არაა (სხვა შემთხვევაში, საკმარისი) გადაწყვეტილების კანონიერი ძალით ბოჭვა.²⁵⁶

ვინაიდან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა (დავის დახმარება) გამოიხატება მხარის დახმარებაში დამხმარე პირი ვერ იქნება შემხებლობაში, როდესაც დახმარება აღმოჩენილი მხარეც არ არის შემხებლობაში. მისი საკასაციო საჩივარიც დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში (მისი მოთხოვნებისა და შუამდგომლობებისაგან დამოუკიდებლად), თუ დახმარება აღმოჩენილმა მხარემ წააგო სააპელაციო ინსტანცია. იმავედროულად, დამხმარე პირის შემხებლობა შეზღუდულია, თუ მან მხოლოდ ნაწილობრივ გაუწია დახმარება რომელიმე მხარეს, მაგალითად, რამდენიმე დავის საგნიდან მხოლოდ ერთ-ერთში.²⁵⁷

მაგალითად გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ საჯარო ინტერესების უფლებამოსილი წარმომადგენელი შემხებლობის გარეშეც უფლებამოსილია კასაციის შეტანაზე. ეს გამომდინარეობს მისი ფუნქციიდან, განახორციელოს საჯარო ინტერესები სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, პროცესის მონაწილე სხვა დანარჩენი პირებისაგან დამოუკიდებლად. მის განკარგულებაშია, სამართლისა და კეთილდღეობის დასანერგად დააფიქსიროს პოზიცია და, საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს მხარე. იმ შემთხვევაში, თუ მან სააპელაციო წარმოების დროს წამოაყენა გარკვეული მოთხოვნა/შუამდგომლობა, რომელიც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ, მაშინ მასაც აკლია მოთხოვნილება, საკასაციო წესით მოითხოვოს სხვა სახის გადაწყვეტილების მიღება. საჯარო ინტერესი ვერ იქნება ორიენტირებული სხვადასხვა გადაწყვეტილებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავი იჩინა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გასათვალისწინებელმა ცვლილებამ.²⁵⁸

თუ საკასაციო საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა, საკასაციო სასამართლო ვერ დაუშვებს ასეთ საჩივარს.

სარჩელის დაშვების ეტაპზე სასამართლოს მიერ იმ ფაქტის აღმოჩენა რომ სარჩელი შემოიტანა არასათანადო მოსარჩელემ, წარმოადგენს ადმინისტრაციული სარჩელის განხილვაზე უარის თქმის საფუძველს. თუ ადმინისტრაციული საქმის განხილვის დროს, სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, იგი განჩინებით შეწყვეტს საქმეს ადმინისტრაციული პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ადმინისტრაციული პროცესის ეს წესი განსხვავდება სამოქალაქო პროცესისაგან კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. კერძოდ სამოქალაქო პროცესში მოსარჩელის თანხმობით, სასამართლოს უფლება აქვს არასათანადო მოსარჩელე შეცვალოს

²⁵⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGO, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 135.

²⁵⁷ იქვე, გვ. 135.

²⁵⁸ იქვე, გვ. 135-136.

სათანადო მოსარჩელით საქმის განხილვის შეუწყვეტლად. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მოსარჩელე უარს იტყვის შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, სასამართლო სათანადო მოსარჩელეს ჩააბამს პროცესში მესამე პირად აუცილებელი მოწვევის წესით.²⁵⁹

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეებს წარმოადგენენ მხოლოდ ის პირები, რომელთაც გააჩნიათ მხარედ არსებობის უფლებაუნარიანობა, საპროცესო უფლებაუნარიანობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.²⁶⁰ ეს ცნება გულისხმობს სამართლებრივ უნარიანობას საქმე აწარმოონ თავად ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის მეშვეობით.²⁶¹

2.5. საკასაციო საჩივრის შეტანის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადა

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 21 დღე. ამ ვადის აღდგენა (გაგრძელება) არ შეიძლება, ვადის დენა იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად აითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მახარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის გადაგზავნის კანონით დადგენილი წესით (სსს-კ 397-ე მუხლის²⁶² პირველი ნაწილი). ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებიან მხარეები ან მათი წარმომადგენლები, რომლებსაც ჰქონდათ საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება, მაშინ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრების საკითხთან დაკავშირებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტად განსაზღვრას, თუ საიდან, რომელი დრიდან იწყება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის ათვლა და როდის სრულდება ეს ვადა.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დასაშვები საჩივარი ითხოვს ორ საპროცესო მოქმედებას, კერძოდ, საჩივრის შეტანასა და საჩივრის დასაბუთებას. შეტანასა და დასაბუთებაზე ვრცელდება ერთიანი ვადები, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-2 და მე-3 ნაწილებით, ამ დებულებების მიხედვით, საჩივარი უნდა იქნას შეტანილი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში და დასაბუთებული ორი თვის განმავლობაში. ადმინისტრაციული საპროცესო

²⁵⁹ იხ. *მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, კ. ტურავა* (რედ.) დმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 226.

²⁶⁰ იხ. *Walman, B., Weissenberger P.*, Praxiskomentar zum Bundesgesetz über das Verwaltungsverfahren (VwVG), SCHULTHESS VERLAG, Zü RICH, 2009 s.

²⁶¹ იხ. *Ule, C.H., Laubunger, H.W.*, Verwaltungsverfahrenrecht, 3 Auflage, C. Heimans Verlag, Berlin, Boom, Munchen, 1986, S. 135.

²⁶² შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 397-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

კოდექსი განსაზღვრავს დამოუკიდებელ, შეტანის ვადისაგან განსხვავებულ, დასაბუთების ვადებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჩივარი შეტანილია ერთოვიანი ვადის ამოწურვამდე, შესაძლებელია დასაბუთების ერთოვიანი ვადის სრულად გამოყენება.²⁶³

ვადის დენა იწყება ყოველთვის სრულყოფილი გადაწყვეტილების ჩაბარებით, რისი შემადგენელი ნაწილიცაა ასევე გასაჩივრების წესის შესაბამისი განმარტება. ერთგვაროვნების ინტერესებიდან გამომდინარე, მხარეები შესაბამისად უნდა იყვნენ წარმოდგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლო ინსტანციაში. დაცული უნდა იყოს ასევე ვადები კონკრეტული დოკუმენტის დროული შესვლით შესაბამის სასამართლოში. განსხვავებულადაა მოწესრიგებული საკითხი, თუ რომელ სასამართლოში უნდა იქნას შეტანილი საჩივარი. კონკრეტული დოკუმენტის არაშესაბამის სასამართლოში შეტანა არ აჩერებს ვადის დენას, რადგან, დაუშვებლად ცნობის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, არ არსებობს ვადის დენის შეჩერების დებულება²⁶⁴, სხვა საკითხია, შესაძლებელია თუ არა არაკომპეტენტურ სასამართლოში კონკრეტულ შემთხვევაში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის წამოყენება.

თუ რომელია საჩივრის მიღებაზე პასუხისმგებელი სასამართლო, უნდა გადაწყდეს ფორმასთან ურთიერთკავშირში. ვადის ათვლის დაწყების, გაანგარიშებისა და დასრულების საკითხები ეფუძნება იმავე პრინციპებს, როგორც კასაციის შეტანა და დასაბუთება, რის გამოც შეიძლება მათზე მითითება.

2.6. საკასაციო საჩივრის შინაარსი

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეესაბამება თუ არა საკასაციო საჩივრის შინაარსი სსსკ-ის 393-ე და 396-ე მუხლების მოთხოვნებს:

სსსკ-ის 396 მუხლი²⁶⁵ განსაზღვრავს იმ მონაცემებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს საკასაციო საჩივარი. ამ მონაცემების ერთობლიობა ქმნის საკასაციო საჩივრის შინაარსს.

საკასაციო საჩივარი შეიტანება წერილობითი ფორმით იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სსსკ-ის 400-ე მუხლის²⁶⁶ თანახმად საკასაციო საჩივრის შემოსვლის შემდეგ სააპელაციო სასამართლო დაუყოვნებლივ გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს.

²⁶³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 178.

²⁶⁴ იქვე, გვ. 178.

²⁶⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁶⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 398-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

სსსკ-ის 401-ე მუხლის²⁶⁷ საფუძველზე საქმის განსახილველად მიღების შემდეგ საკასაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლები უნდა გადაეგზავნოს მეორე მხარეს, რომელსაც საკასაციო სასამართლო დაუნიშნავს ვადას საჩივარზე წერილობითი პასუხის გასაცემად.

საკასაციო საჩივრის სავალდებულო რეკვიზიტები განსაზღვრულია სსსკ-ის 396-ე მუხლით²⁶⁸ იგი უნდა შეიცავდეს: 1. იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი; 2. იმ პირის დასახელებასა და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი; 3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე; 4. მითითებას იმის თაობაზე თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული; 5. მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძველებს (კასაციის მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი); 6. მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება; 7. საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას; 8. საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

სსსკ-ის 396-ე მუხლის 2-ე ნაწილით²⁶⁹ წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.

აქედან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ უწინარეს ყოვლისა უნდა შეამოწმოს, რამდენად პასუხობს თვითონ საკასაციო საჩივარი კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მაგალითად საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღება, თუ მასში არაა მითითებული გადაწყვეტილების რომელ ნაწილს ასაჩივრებს კასატორი, ან კიდევ რა მოცულობით და რა საფუძველით საჩივრდება გადაწყვეტილება (კასაციის მიზეზი), რას მოითხოვს კასატორი გადაწყვეტილების გაუქმებას თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი) და ა.შ.

თუ წერილობითი ფორმით შედგენილი საკასაციო საჩივარი არ პასუხობს სსსკ-ის 396-ე მუხლის მოთხოვნებს, საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ და ნიშნავს ვადას ამისათვის. თუ ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული საკასაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

²⁶⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 400-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁶⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁶⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლის 2-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით საკასაციო საჩივარი და მისი დასაბუთება უნდა წარადგინოს გერმანიის უზენაეს ფედერალურ სასამართლოში დაშვების უფლებამოსილების მქონე პირმა. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 67-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი.²⁷⁰

საკასაციო საჩივრის შეტანა და დასაბუთება უნდა მოხდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ამ ფორმას ზოგადად შეესაბამება მხოლოდ წერილობითი, საკუთარი ხელმოწერით გაფორმებული დოკუმენტი. იმავდროულად უმაღლესი სასამართლო ინსტანციების სასამართლო პრაქტიკამ, გაითვალისწინა რა მონაცემთა მიმოსვლის სფეროში არსებული ტექნიკური პროგრესი, აღიარა ასევე ნების გამოვლენის სხვა ფორმებიც, რომლებიც სრულად შეესაბამება წერილობით ფორმასა და, ძირითადად, თანაბარზომიერია²⁷¹.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საჩივარში აღწერას. საჩივარი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იწყებოდეს მომჩივანის პერსონალური მონაცემებითა და ნებით, გაასაჩივროს კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინება. კანონმდებლობა განსაზღვრავს საჩივარზე გადაწყვეტილების ეგზემპლარისა თუ დამოწმებული ასლის თანდართვის აუცილებლობას. ვინაიდან საუბარია იმპერატიულ ნორმაზე, ამის გაუთვალისწინებლობა ჯერ კიდევ არ განაპირობებს საჩივრის დაუშვებლობას. იმპერატიული ნორმის გაუთვალისწინებლობისა და საჩივარში გადაწყვეტილების მოუხსენიებლობის შემთხვევაში კი, საკასაციო სასამართლოსათვის სრულიად უცნობი რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი (ყოველ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ფარგლებში). ამდენად, საჩივარი დაუშვებელია.²⁷²

საჩივრის შეტანა არ უნდა უკავშირდებოდეს რაიმე სახის წინაპირობებს. კასაციის პარალელურად წარდგენილი დამხმარე საჩივარი ისევე დაუშვებელია, როგორც, საჩივრის პარალელურად მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში შეტანილი კასაცია, რადგან საჩივარი არ უნდა იყოს, გასაჩივრების ნებისმიერი სხვა სახის მსგავსად, დამოკიდებული გარკვეულ წინაპირობებზე.²⁷³

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჩივრის დასაბუთების შინაარსს. საჩივრის დასაბუთება უნდა მოიცავდეს დაშვების საფუძვლის დეტალურ

²⁷⁰შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. 67-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი (VwGO), &67 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

²⁷¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 179.

²⁷² იქვე, გვ. 179.

²⁷³ იქვე, გვ. 180.

აღწერას, რომელსაც ეფუძნება დაშვების ნება. ამას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან საჩივრის განმხილველმა სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ საჩივრის დასაბუთებაში მითითებული დაშვების საფუძველი და დაშვების სხვა ფაქტობრივი გარემოებები იმ შემთხვევაშიც უნდა დატოვოს გაუთვალისწინებელი, როდესაც ისინი სახეზეა. დაშვების საფუძვლის დეტალური აღწერის ვალდებულებამ განაპირობა მოცულობითი კაზუსტიკური სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ვერ წარმოინდობა ყველა ცალკეული დეტალის სახით. იმავდროულად ყოველთვის სწორად არ ხდება განსხვავება დაშვების საფუძვლის აღწერასა და მის არსებობას შორის. არასაკმარისი აღწერა ან დასახელება განაპირობებს საჩივრის დაუშვებლობას, მაშინ როცა მისი არარსებობა იწვევს დაუსაბუთებლობას. საკასაციო სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს მხოლოდ დროულად შეტანილ დასაბუთებაში ასახული ან კიდევ დასაბუთების ვადაში წერილობით დამატებული დასაბუთება. დაგვიანებით, ანუ, დასაბუთების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი საფუძველი ვერ გაამართლებს საჩივრის ვერც დასაშვებობასა და ვერც დასაბუთებულობას.²⁷⁴

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ეფუძნება სამართლებრივი დავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, , საკმარისი არაა მხოლოდ მითითება იმაზე, რომ სააკვეციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ დარღვევებზეა დაფუძნებული. უწინარეს ყოვლისა, უნდა იქნას ფორმულირებული და დასაბუთებული კონკრეტული სამართლებრივი საკითხი, თუ რატომ არის ის გარკვევისუნარიანი და აუცილებლად გასარკვევი და რატომ სცილდება მისი მნიშვნელობა კონკრეტულ შემთხვევას²⁷⁵.

იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სამართლებრივი საკითხი უკვე გადაწყვეტილია უმაღლესი სასამართლო ინსტანციის დონეზე, მომჩივანმა უნდა მიუთითოს საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ეს საკითხი, ამისდა მიუხედავად, გასარკვევად აუცილებელია ან ხელახლა გასარკვევი. იმ შემთხვევაში, თუ სამართლებრივი საკითხის საეჭვობა, მნიშვნელობა და მოქმედება ხელისგულზეა გამოტანილი, სრულიად ზედმეტი იქნებოდა, მომჩივანისათვის მოგვეთხოვა დამატებითი არგუმენტაცია ისედაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული წინაპირობების პარალელურად. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანმა დეტალურად ვერ მოახდინა დასაბუთება, თუ რატომ აქვს სამართლებრივ დავას განსაკუთრებული მნიშვნელობა, მაშინ საჩივარი არის არა დაუშვებელი, არამედ დაუსაბუთებელი, თუ სახეზე არ არის რომელიმე ობიექტური წინაპირობა. საკასაციო სასამართლო არ უნდა მიეცეს ცდუნებას, დაასაბუთოს საჩივრის დაუშვებლობა ნორმის დეტალური განმარტებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ასაბუთებს გარკვევის

²⁷⁴ . **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 180-181.

²⁷⁵ იქვე, გვ. 181.

არასაკმარის აუცილებლობას ნორმისა ან სამართლებრივი ცნების შინაარსით, როგორც წესი, ეს მეტყველებს იმაზე, რომ თავად ნორმა საჭიროებს დაზუსტებას.²⁷⁶

2.7. პროცესის ხარჯები

ყველა სახელმწიფოს საპროცესო კანონმდებლობა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრინციპიდან გამომდინარე ითვალისწინებს სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან გადავადების შესაძლებლობას მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი²⁷⁷ სასამართლოს უფლებას ანიჭებს, მოქალაქე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებისაგან. ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით²⁷⁸ კი გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მხარისათვის ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადება, ანდა მათი ოდენობის შემცირება. აღნიშნული ნორმები ქმნის საფუძველს, რომ სახელმწიფო ბაჟის წინასწარ, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გადაუხდელობამ, მატერიალური უსახსრობის გათვალისწინებით არ შეაფერხოს და არ დააბრკოლოს, მხარე და არ წაართვას მას დარღვეული უფლების აღდგენისა და პროცესუალური საშუალებებით დაცვის შესაძლებლობა. აღნიშნული ნორმების საფუძველზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლოს ხარჯებისაგან გათავისუფლების, გადავადების ან შემცირების შესახებ, თუ რა თქმა უნდა მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს ბაჟის გადახდის შეუძლებლობის შესახებ.

სასამართლოს კანცელარია ამოწმებს ერთვის თუ არა საკასაციო საჩივარს ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტი არ ერთვის, შუამდგომლობების გრაფაში მითითებულია თუ არა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადავადების ან შემცირების შესახებ. სასამართლოს კანცელარია ფორმალური უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მოსარჩელეს მის წარმომადგენელს მიუთითებს უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

²⁷⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, unberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 181.

²⁷⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 47-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁷⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 48-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

თუ მოსარჩელე გამოარკვევს რომ საკასაციო საჩივარი შემოტანილია სსსკ-ის 178-ე და 179-ე²⁷⁹ მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით, ან სახელწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, გამოიტანს განჩინებას ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შეახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ (სსსკ-ის 396-ე მუხლის²⁸⁰ მესამე ნაწილი) (საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.)²⁸¹

მაგალითად გერმანული კანონმდებლობით მოქმედებს ე.წ. „პროცესის ხარჯების შემწეობის სისტემა“. ამგავრი დახმარების მიღებისათვის არსებობს ორი წინაპირობა 1.მოდარე მხარეს არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა, რათა აწარმოოს პროცესი და 2.სასამართლოს შეფასებით მხარეს უნდა ჰქონდეს წარმატების შანსები. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მხარე თავისუფლდება სასამართლო ბაჟისა და ადვოკატის ჰონორარის გადახდისაგან. ორივე ხარჯი იფარება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ მხარე წააგებს პროცესს, იგი მართალია თვისი ხარჯებისაგან კვლავ თავისუფალია, მაგრამ ვალდებულია, მოწინააღმდეგე მხარეს აუნაზრაუროს ყველა დანახარჯი.²⁸²

2.8. საკასაციო გასაჩივრებაზე წერილობითი უარის არარსებობა

სსსკ-ის 370-ე მუხლი²⁸³ ამკვიდრებს დებულებას, რომლის თანახმად თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე წერილობითი ფორმით განაცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება. იგივე წესი მოქმედებს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე უარის თქმისას, რადგან სსსკ-ის 399-ე მუხლის²⁸⁴ თანახმად საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში მოქმედებს იმ

²⁷⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 178-ე და 179-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁸¹ იხ. *მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 297.

²⁸² ²⁸² იხ. *შ. პაპუაშვილი*; სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, (მომხსენებელი ლადოჭანტურია), ჟურნალი - „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 6 №4 2003, გვ. 466.

²⁸³ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 370-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁸⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 399-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის.

ამრიგად, უარის თქმას საკასაციო გასაჩივრებაზე უკავშირდება სერიოზული სამართლებრივი შედეგი: თუ მიუხედავად იმისა, მხარე მაინც გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას საკასაციო წესით, ამ საჩივარს საკასაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს მისი დაუშვებლობის გამო. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოიხსნას ასეთი შედეგი: თუ მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც არ განუცხადებია უარი საკასაციო გასაჩივრებაზე გაასაჩივრებს გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში მხარეს, რომელმაც უარი თქვა საკასაციო გასაჩივრებაზე შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი (სსსკ-ის 405-ე მუხლი²⁸⁵), მიუხედავად იმისა აქვს თუა არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე.

გერმანიის ადმინისტრაციული კანონმდებლობით იმ შემთხვევაში, თუ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, მოწინააღმდეგე მხარის საჩივრისაგან დამოუკიდებლად, შეიტანს ე.წ. დამოუკიდებელ შეგებებულ კასაციას, ეს არის მოწინააღმდეგის კასაციასთან გათანაბრებული საჩივარი.²⁸⁶

გერმანიის კანონმდებლობა განსაზღვრავს საკასაციო მოპასუხის მიერ შეგებებული კასაციის გარკვეული ვადის ფარგლებში ადვოკატის შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში, თუ მან თავადვე უარი თქვა კასაციის შეტანაზე. მიუხედავად იმისა, რომ „არადამოუკიდებელი შეგებებული კასაცია“ არ წარმოადგენს საჩივარს, არამედ არის მოწინააღმდეგე მხარის კასაციის წინააღმდეგ წამოყენებული მოქმედი შუამდგომლობა, მისი წინაპირობაა შეგებებული კასაციის შემტანი პირის შემხებლობა, რომელიც, მაგალითად, არ არის სახეზე იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მიზანია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუშვებლობით, ნაცვლად მისი დაუსაბუთებლობისა.²⁸⁷

2.9. საკასაციო სასამართლოს ბოჭვა, დაშვების მოცულობა და მოქმედება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, საკასაციო საჩივარი შედის გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, რომელიც საქმეს თან დართულ მასალებთან ერთად უგზავნის საქმის განხილველ საკასაციო სასამართლოს.

გერმანიის კანონმდებლობით მიწის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო ექსკლუზიურად წყვეტს კასაციის დასაშვებობის საკითხს. გერმანიის

²⁸⁵ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 405-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

²⁸⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 136.

²⁸⁷ იქვე, გვ. 136.

უზენაესი ფედერალური სასამართლო მოკლებულია ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას. დაშვების ბოჭვის გამო, ფედერალური სასამართლო იმ შემთხვევაშიც ვალდებულია, საკასაციო წარმოების დროს გაითვალისწინოს მიწის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხორციელებული დაშვება, როდესაც შინაარსობრივად არასწორია ან განხორციელებულია საპროცესო დარღვევებით.²⁸⁸

კანონმდებლობა ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს მიერ კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების გადახედვის შესაძლებლობას პროცესის მონაწილის საჩივრისა და გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. მაგალითად გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადატვირთვის მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც შეიძლება განაპირობოს კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების გასაჩივრების უფლების შემოღებამ, ნაწილობრივ მაინც დაკომპენსირდებოდა იმით, რომ ბევრი დღესდღეობით არსებული კასაცია არც კი დაიშვებოდა დასაშვებობის წინაპირობების არარსებობის გამო. მეორეს მხრივ, კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ შეტანილი საჩივარი შემოიფარგლებოდა დასაშვებობის წინაპირობების გადამოწმებით, ხოლო, დაკმაყოფილების პერსპექტივის გადასინჯვა, საერთოდ არ მოხდებოდა.²⁸⁹

2.9.1. საკასაციო საჩივრის დაშვების მოცულობა

კასაციის დასაშვებობა აუცილებლად არ უნდა ჯდებოდეს მთლიანი გადაწყვეტილების კონტექსტში. ნებისმიერ შემთხვევაში, დაშვება უნდა შემოიფარგლოს გადაწყვეტილების იმ გამოყოფადი ნაწილებით, რომლის მიმართაც არსებობს დასაშვებობის წინაპირობები. ეს შეზღუდვა არ არის სასამართლოსათვის მინიჭებული „შესაძლებლობა“, არამედ ვალდებულებაა და, ამდენად, არ წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას²⁹⁰.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება განიხილავს ერთიან, არაგამოყოფად დავის საგანს, მაშინ, დასაშვებობის წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, კასაცია დასაშვებია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს გარემოება არც საჭიროებს განსაკუთრებულ ხაზგასმას, რადგან დაშვება (შეზღუდვის არარსებობის შემთხვევაში) ვრცელდება მთელ გადაწყვეტილებასა და ყველა მონაწილეზე. ის წინაპირობები, რომელთა საფუძველზეც დასაშვები და რეალურია დაშვების შეზღუდვა.²⁹¹

გერმანული კანონმდებლობით აუცილებელია საკასაციო საჩივრის დასაშვებობისას ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

²⁸⁸ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 159.

²⁸⁹ იქვე, გვ. 159.

²⁹⁰ იქვე, გვ. 159.

²⁹¹ იქვე, გვ. 160.

- რამდენიმე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნიდან ერთ-ერთით შემოფარგვლა;
- ერთი მთლიანი მოთხოვნიდან ერთ-ერთი რომელიმე გამოყოფადი ნაწილით შემოფარგვლა, რომელიც შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან შუალედური გადაწყვეტილების საგანი;
- შემოფარგვლა, რომელიც ეხება დავის საგნის დამოუკიდებელ ან გამოყოფად ნაწილს;
- ძირითადი გადაწყვეტილების დავის საგნით შემოფარგვლა.²⁹²

ასაციის დაშვების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების ნაწილები წარმოადგენს ნაწილობრივი გადაწყვეტილებისა და დამოუკიდებელი კანონიერი ძალის საგანს. ვინაიდან კასაციის დასაშვებობა ცალკე შეფასების საგანია ყოველ ნაწილობრივ გადაწყვეტილებაზე, ეს გაყოფა უნდა მოქმედებდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადაწყვეტილებაში განხილულია გამოყოფადი, მოცილებადი ნაწილებიც.²⁹³

ამდენად, დაშვება ვერ შემოიფარგლება ნამდვილად სამართლებრივი საკითხებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხოლოდ ისინი ქმნიან დაშვების საფუძველს. ვინაიდან საკასაციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კასაციის მეშვეობით გასაჩივრებულ დავის საგანზე და არა ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე, დაშვება ვერ შეზღუდავს გადაწყვეტილების მოცულობას. სამართლებრივი საკითხებით, როგორც დაშვების საფუძველით, შემოფარგვლა, პრაქტიკულად, ნიშნავს სამართლებრივი საკითხების წარდგინებას. იმ შემთხვევაში, თუ დაშვება გავრცელდა გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე, მაშინ შეზღუდვა ბათილია იმ შედეგით, რომ დაშვება ვრცელდება მთელ გადაწყვეტილებაზე. თუმცა განმარტებამ ან მნიშვნელობის შეცვლამ შეიძლება განაპირობოს ის, რომ დაშვება გავრცელდეს გადაწყვეტილების იმ ნაწილებზე, რომლებიც ეფუძნება დაშვების განმაპირობებელ სამართლებრივ საკითხებს, კერძოდ, მათ ამოხსნას.²⁹⁴

დაშვება ასევე ვერ შემოიფარგლება მოთხოვნის რამდენიმე კონკურირებადი საფუძველიდან ერთ-ერთით. მოთხოვნის საფუძველი არის ერთიანი და არაგამოყოფადი მოთხოვნის მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთება. დაშვების შეზღუდვა მოთხოვნის რამდენიმე კონკურირებადი საფუძველიდან ერთ-ერთით იქნებოდა სამართლებრივი საკითხებით შემოფარგვლის მსგავსი.²⁹⁵

²⁹² იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 161.

²⁹³ იქვე, გვ. 161.

²⁹⁴ იქვე, გვ. 161.

²⁹⁵ იქვე, გვ. 161.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს წარმოადგენს რამდენიმე დავის საგანი, უნდა შემოწმდეს, თუ რომელს გააჩნია დაშვების საფუძველი. მხოლოდ ასეა შესაძლებელი კასაციის დაშვება. ეს ნაწილი გადაწყვეტილებაში იმდენად ზუსტად უნდა აღიწეროს, რომ პროცესის მონაწილეებმაც და საკასაციო სასამართლომაც ზუსტად გაიგონ დაშვების მოცულობა. დავის რამდენიმე საგნის მსგავსად, კასაციის დაშვება უნდა და შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ, მრავალი სუბიექტური სასარჩელო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დაშვების საფუძველი იარსებებს მხოლოდ ცალკეული საპროცესო თანამონაწილეებისათვის.²⁹⁶

მაგალითად გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო დასაშვებად და ნამდვილად მიიჩნევს დაშვების შემოფარგვლას გარკვეული საპროცესო წინაპირობებით. თუმცა ამ მოსაზრების წინააღმდეგ არსებობს გარკვეული ეჭვები, რადგან მსგავსი მიდგომა მიგვიყვანდა იქამდე, რომ კასაცია გადაწყვეტდა მხოლოდ სამართლებრივ საკითხსა და არა დავის საგანს ან გამოყოფად/გამიჯვნად ნაწილს. მართალია, შუალედური გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საპროცესო წინაპირობებზე. კასაციაზე გადაწყვეტილება კი მიიღება, მათ შორის, შეზღუდული დაშვების დროს, საბოლოოდ გადაწყვეტილების მეშვეობით, რომელიც არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საპროცესო წინაპირობით. იმ შემთხვევაში, დაშვება ნამდვილი რომ იყოს დაშვების საფუძვლის წარმოქმნელი საპროცესო წინაპირობით, მაშინ საკასაციო სასამართლო უნდა წყვეტდეს მხოლოდ ამ საკითხს, და არა დავის საგანს. შედეგად გვექნებოდა ის, რომ კასაციის ერთადერთი საგანი გახდებოდა შუალედური დავა, მიუხედავად იმისა, რომ ეს თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული შუალედური გადაწყვეტილებების დამოუკიდებელი გასაჩივრებით.²⁹⁷

კასაციის დაშვების პროცესის მართვის უფლებამოსილებით შემოფარგვლა განიხილება, როგორც სარჩელის დასაშვებობის შეზღუდვა, რის გამოც, სავარაუდოდ, აუცილებელია სხვა საპროცესო წინაპირობების გადამოწმებაც.²⁹⁸

დაშვების შეზღუდვა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მთლიანად მოიცავს სარჩელის დასაშვებობასაც და არ გამორიცხავს სხვა საპროცესო წინაპირობების გადახედვას. იმ შემთხვევაში, თუ დავის რამდენიმე საგანი იმდენადაა დამოკიდებული ერთმანეთთან, რომ ერთს მეორისათვის აქვს პრეიუდიციარული მნიშვნელობა, რომ არა მხოლოდ

²⁹⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 162.

²⁹⁷ იქვე, გვ. 162-163.

²⁹⁸ იქვე, გვ. 162-163.

ორივეს საჩივრის დასაშვებობაა ერთგვაროვნად შესაფასებელი, არამედ დაშვების შემოფარგვლაც რამდენიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთით.²⁹⁹

2.9.2. საკასაციო საჩივრის დაშვების მოქმედება

კასაციის დაშვებას აქვს კონსტიტუციური მოქმედება, როდესაც გამოცხადებით იქმნება კასაციის დასაშვებობის წინაპირობა. ის ვერ ანაცვლებს დასაშვებობის სხვა წინაპირობას, მაგალითად, მონაწილეობასა და საპროცესო უნარიანობას, გადაწყვეტილების სახის გასაჩივრებადობას, შემხებლობასა და ა.შ., და ვერც ზედმეტად აქცევს ამ წინაპირობებს. კონსტიტუციური მოქმედება არსებობს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არსებობს ან გაუქმებულია დასაშვებობის წინაპირობები. საკუთარი კონსტიტუციური მოქმედებით, კასაციის დასაშვებობა მხოლოდია საკასაციო სასამართლოსათვის. ის მოქმედებს ყველა მონაწილის მიმართ, განურჩევლად იმისა, თუ ვის სასარგებლოდაა ამოხსნილი დაშვების განმაპირობებელი სამართლებრივი საკითხი ან გადაწყვეტილი სამართლებრივი დავა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტური სასარჩელო მოთხოვნები შესაძლებელს ხდის დავის საგნის გამოყოფას, დაშვება შეზღუდვადია მისი მოქმედების თვალსაზრისით.³⁰⁰

2.9.3. საკასაციო საჩივრის დაშვების, განმხილველი სასამართლოს ბოჭვა

სრულიად მეორეხარისხოვანია, კასაცია დაშვებულია *judex a quo*-თი, დაუშვებლად ცნობის საჩივრითა თუ *judex ad quem*-ით. ნებისმიერ შემთხვევაში, დაშვების განმხილველი სასამართლო შებოჭილია დაშვების გადაწყვეტილებით. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს გარკვეული საკუთარი გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით, როდესაც ისინი საპროცესო დარღვევებითაა მიღებული ან სულაც ბათილია.³⁰¹

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლომ დაუშვა განჩინებით კასაცია, ის ვეღარ გააუქმებს მისსავე გადაწყვეტილებას, არამედ შებოჭილია მისი მოქმედებით, რის გამოც ის არაუფლებამოსილია, არ მიიღოს და დაუშვებლად სცნოს კასაცია არასაკმარისი ან არასწორი დაშვების გამო.³⁰²

საკასაციო სასამართლო, ძირითადად, შებოჭილია ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ კასაციის დაშვებით; მან არ უნდა გადასინჯოს, სახეზეა თუ არა დაშვების კანონიერი საფუძველი, რომლის აშკარა არარსებობის შემთხვევაშიც, საჩივარი, მიუხედავად დაშვებისა, მსგავსად საპროცესო

²⁹⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 163.

³⁰⁰ იქვე, გვ. 164-165.

³⁰¹ იქვე, გვ. 165.

³⁰² იქვე, გვ. 165.

დარღვევებით მიღებული დაშვებისა, უნდა იქნას დაუშვებლად ცნობილი და არ იქნას მიღებული წარმოებაში. საინტერესოა სასამართლო პრაქტიკაში ხომ არ არსებობს ბოჭვიდან გადახვევის შემთხვევები. სასამართლო პრაქტიკის მიერ დაშვების ბოჭვის მანამდე გაკეთებული შეზღუდვა, აშკარა კანონდარღვევის შემთხვევაში, ეწინააღმდეგება საჩივრის სიცხადის პრინციპსა და მოსარჩელის კანონიერი ნდობის ინტერესებს. კასაციის დაშვების კანონისმიერი წინაპირობები ყოფილა კანონმდებლის მხოლოდ მითითება დაშვების განმხილველი სასამართლოსადმი, რომლის შეუსრულებლობაც საკასაციო სამართალწარმოებაში ვერ განაპირობებდა კასაციის დაუშვებლობას.³⁰³

მხოლოდ დაშვების გადაწყვეტილების ბათილობა განაპირობებს მის გაუთვალისწინებლობას იმ შედეგით, რომ კასაცია დაუშვებელია. თუმცა ბათილია გადაწყვეტილება არა ნებისმიერი უხეში შინაარსობრივი ან ფორმალური ნაკლოვანებისა თუ ხარვეზის გამო, რომელთაც შედეგად აქვთ კანონსწინააღმდეგობა/უკანონობა. თვით უმძიმესი საპროცესო ხარვეზები, რომელსაც კანონი განსაკუთრებულად აწესრიგებს, როგორც აბსოლუტურ საკასაციო საფუძველსა და წარმოების განახლების საფუძველს, არ იწვევს გადაწყვეტილების ბათილობას, არამედ ასაბუთებს მის გაუქმებადობას მისი კანონისმიერი წინაპირობების საფუძველზე. სასამართლო გადაწყვეტილებები ძალაშია მათ გაუქმებამდე, ბათილობის საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი და აქვს მოქმედება, რომელიც, საჩივრის დასაშვებობის შემთხვევაში, მდგომარეობს იმაში, რომ ეს წინაპირობა სახეზეა დასაშვებობისათვის.³⁰⁴

ვინაიდან დასაშვები კასაციის წინაპირობაა მხოლოდ ნამდვილი დაშვება, დაშვების წინაპირობა ვერ გახდება საკასაციო სამართალწარმოების საგანი. კასაციის დაშვება ასევე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები გადაწყვეტილება, ამდენად, საკასაციო სასამართლო არაუფლებამოსილია, გააუქმოს დაშვება ან გაუთვალისწინებელი დატოვოს გაუქმება. დაშვებით ბოჭვა გამომდინარეობს ჯერ მხოლოდ ზოგადი სამართლებრივი პრინციპებიდან, კონკრეტული სამართლებრივი დებულების გარეშე. საკასაციო სასამართლოს ბოჭვის ნორმების მიზანია კანონმდებლის მიერ მცდარად მიჩნეული სასამართლო პრაქტიკის შეცვლა, ისინი უბრალოდ აფიქსირებს არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას.³⁰⁵

საკასაციო სასამართლოს არ აქვს უფლება, უყურადღებოდ დატოვოს დაშვება თვით აშკარა ხარვეზის არსებობის შემთხვევაშიც კი, დაშვება ბათილია, როდესაც პროცესის მონაწილე მხარეებს ეს შეიძლებოდა და უნდა სცოდნოდათ დაშვების ხარვეზიანობის სახისა და სიმძიმის საფუძველზე. ეს

³⁰³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 167.

³⁰⁴ იქვე, გვ. 167.

³⁰⁵ იქვე, გვ. 167-168.

სამართლებრივი მოსაზრება ცდილობს, გაუწიოს ანგარიში კანონიერი ნდობის პრინციპს.³⁰⁶

აღსანიშნავია, რომ კასაცია არ უნდა იქნას დაშვებული არაგადასინჯვადი სამართლებრივი საკითხების გამო, რის გამოც ხარვეზიანია დაშვებაზე მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა ეს არაფერს ცვლის დაშვების ნამდვილობისა და ბოჭვის თვალსაზრისით. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლებრივად უმნიშვნელოა კასაციის დაშვების სამართლებრივი საკითხი. ორივე შემთხვევაში საქმე ეხება კანონსაწინააღმდეგო, ნამდვილ (არაბათილი) გადაწყვეტილებას. დაშვების განხილველი სასამართლო ისედაც ვალდებულია, დაასაბუთოს დაშვება.³⁰⁷

2.9.4. საკასაციო სასამართლოს ბოჭვის მოცულობა, ფარგლები

საკასაციო სასამართლოს დაშვებით ბოჭვის ფარგლები მხოლოდ დაშვებისა და მისი მოქმედების ფარგლების ტოლფასია. კასაციის შეუზღუდავი დაშვების დროს კი მთლიანი გადაწყვეტილება მოცულია ამით. იმ შემთხვევაში, თუ დაშვება მკაფიოდ შემოიფარგლება დავის საგნის მოცილებადი, გამოყოფადი ნაწილებით, მაშინ ამავე შეზღუდული მოცულობით დასაბუთებადია დასაშვებობის წინაპირობები. ამ შემთხვევაში კასაცია არ დაიშვება გადაწყვეტილების დანარჩენი ნაწილებისათვის. მართალია, საკასაციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ სამართლებრივი საკითხის შეფასებით, რომლის გამოც დაშვებულია კასაცია. გადასინჯვის მოცულობის მსგავსი შეზღუდვა არც იმ შემთხვევაშია სახეზე, როდესაც კასაცია დაშვებულია მხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი საკითხის ირგვლივ.³⁰⁸

თუ კასაციის დაშვების გადაწყვეტილება არ მოიცავს მკაფიო შეზღუდვას, მაშინ ის სახეზეა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაშვების გადაწყვეტილების დასაბუთება დასაშვებად მიიჩნევა შეზღუდვას. იმავდროულად, დაშვება შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში განიმარტოს დასაბუთების დახმარებით, რომ დაშვება შემოიფარგლოს დავის საგნის გამოყოფადი, მოცილებადი ნაწილით. უხეშად კანონსაწინააღმდეგო დაშვებით აბსოლუტური ბოჭვა შედეგის თვალსაზრისითაც გონივრულია, და მისაღებაც კი, რადგან ის ყველაზე უკეთ ამკაყოფილებს კანონმდებლის მიერ გასაჩივრების წესის დასახულ მიზანსა და კანონიერი ნდობის ინტერესს. ამ კონტექსტში უკანა პლანზე უნდა გადავიდეს საქმის არსებითად

³⁰⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 167-168.

³⁰⁷ იქვე, გვ. 171.

³⁰⁸ იქვე, გვ. 172.

განმხილველი სასამართლოს ინტერესი, თავიდან აიცილოს კასაციის არაღირსი სამართალწარმოება.³⁰⁹

მაგალითად გერმანული კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ შეტანილი საჩივარი საბოლოოდ მაინც განაპირობებს კასაციის დაშვებას, იქნება ეს მიწის ადმინისტრაციულ საქმეთა უმაღლესი სასამართლოს მიერ ხარვეზის გამოსწორებისა თუ ამ საჩივარზე გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მაშინ დასრულებული სამართალწარმოება გრძელდება საკასაციო სამართალწარმოების სახით.³¹⁰

2.9.5. საკაციო საჩივრის დაუშვებლობის მოქმედება

კასაცია დაუშვებელია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ცალსახად და მკაფიოდ ამას ამბობს, არამედ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება არ შეიცავს გასაგებ და მკაფიო დაშვებას. გადაწყვეტილება არაგასაჩივრებადია, როდესაც სახეზე არ არის კასაციის დასაშვებობის წინაპირობები. კანონიერი ძალის შეჩერება ხდება საჩივრის დროული შეტანით, რის გამოც ვადა ვერ გავა. დაუშვებელი, თუმცა, დროულად შეტანილი საჩივარი, მისი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, შედის კანონიერ ძალაში. იგივე წესი მოქმედებს დაუშვებლობის შემთხვევაშიც, რადგან, როგორც წესი, საჩივარი გამორიცხული არ არის. მხოლოდ გადაწყვეტილება ცხადყოფს, აუცილებელია თუ არა დაშვება.³¹¹

გერმანული კანონმდებლობით სამართალწარმოებებზე, სადაც კასაციის დაუშვებლობა გასაჩივრებადია საჩივრის მეშვეობით. მანამ, სანამ დაუშვებლობა არ გამოასწორა არც სააპელაციო სასამართლომ შესწორების, დამატებისა ან შეცვლის გზით, ან კიდევ საჩივრის საფუძველზე აღადგინა საკასაციო სასამართლომ, კასაცია, დაუშვებლობის გამო, ვერ განაპირობებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არსებით გადასინჯვას. ამდენად, დაუშვებელია ის კასაცია, რომელიც საჩივართან ერთად შეტანილია დაუშვებლად ცნობის განჩინების წინააღმდეგ.³¹²

³⁰⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 172.

³¹⁰ იქვე, გვ. 172.

³¹¹ იქვე, გვ. 173.

³¹² იქვე, გვ. 173.

თავი 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები

3.1. სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შეტანილი დამატებების შედეგად განისაზღვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის მიღების საფუძვლები.³¹³

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის³¹⁴ თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ნებისმიერ საქმეს, რომელიც სასამართლოში განიხილება, შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისით, მაგალითად, საქმეს აქვს მნიშვნელობა კასატორისათვის ან საერთოდ მხარეებისათვის მათი მოთხოვნის (დავის საგნის) გადაწყვეტის შედეგის თვალსაზრისით. საქმის გადაწყვეტას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა ეკონომიკური ზნეობრივი, მორალურ- პოლიტიკური, ისტორიული თუ სხვა რაიმე მოსაზრებითაც.³¹⁵

თუ რისთვის ან რა თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს საქმეს მნიშვნელობა, რათა დაშვებულ იქნეს ამ საქმეზე კასაცია, ამას განსაზღვრავს თვითონ კანონმდებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კანონმდებელი განსაზღვრავს იმ ძირითად სფეროებს (მიმართულებებს) რომლებსთვისაც საქმეს უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, რათა დაშვებულ იქნას კასაცია ამ საქმეზე. როგორც აღვნიშნეთ ეს სფეროებია (მიმართულებებია): სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. თუ საქმეს აქვს მნიშვნელობა

³¹³ იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიჰენბერგი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის განვითარება- სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4. 2005, გვ. 72-81.

³¹⁴ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

³¹⁵ იხ. *თ. ლილუაშვილი*, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიი“, 2001, გვ. 503.

სამართლის განვითარებისთვის ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის – კასაცია დაშვებულ უნდა იქნეს.³¹⁶

ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს საყოველთაო ინტერესი სამართლის კონკრეტული ნორმის ერთგვაროვნად გაგებისათვის და ეს პრობლემა არ ყოფილა სასამართლოს განსჯადი (ან ქვემდგომი სასამართლოების ინტერპრეტაცია საჭიროებს შემდგომ შეფასებას), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის.³¹⁷

ამ კუთხით საინტერესოა ქართული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, გერმანულ ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ნორმა კასაციის დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ გერმანული კანონმდებლობა დაფუძნებულია ეკონომიურობის პრინციპზე. საკასაციო სასამართლოს თუ წინასწარ შეუძლია განსაზღვროს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა აღარ განიხილავს საკასაციო საჩივარის დასაშვებობის საფუძველზე. აღნიშნული ნორმის შინაარსი გამომდინარეობს იქიდან, რომ უზენაესი სასამართლო არ გადაიტვიტოს სრულიად უსაგნო და უმნიშვნელო ადმინისტრაციული კატეგორიის დაგებისაგან, მხარეს არ გაუჩნდეს ფუჭი მოლოდინი საქმის მოგებით დამთავრებასთან მიმართებაში და ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით, მხარეს არ მოუწიოს ზედმეტი ხარჯის გაღება სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო საქმეზე გ. გ. - ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის სამხედრო გამწვევი კომისიის წინააღმდეგ. მოცემულ შემთხვევაში მიიჩნია, რომ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით განსაზღვრული გ. გ.-ს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველი, ვინაიდან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ.-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განჩინებაზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის

³¹⁶ იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიკენბეკერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება- სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძველების განმარტებისათვის, *ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4. 2005, გვ. 72-81.

³¹⁷ იქვე, გვ.72-81.

თქმის ნაწილში განსახილველად უნდა იქნეს დაშვებული და განხილულ იქნეს მხარეთა დასწრებით.³¹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო თავის დასაბუთებაში საფუძვლიანად არ განმარტავს თუ რატომ არის კონკრეტული საქმე თავისი არსით მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

იმისათვის, რომ საკასაციო საჩივარი იყოს დასაშვები, სამართლებრივ დავას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობა. დაშვების ეს საფუძველი შესაძლებლობას აძლევს საკასაციო სასამართლოს, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება სადავო სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებით და განავითაროს სამართალი. კასაციის დასაშვებობამ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საქმეებზე, რომელთაც აქვთ რეზონანსული ზეგავლენა ზოგადი სამართალგამოყენების პროცესზე.³¹⁹

ცნება „სამართლებრივი საქმე“ არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ყველაფერი დამოკიდებულია სამართლებრივი დავის მთლიან მნიშვნელობაზე, დავის საგანსა და მის შედეგზე. უფრო მეტად საქმე ეხება სადავო სამართლებრივი საკითხების გარკვევას, რომელთაც პასუხი უნდა გაეცეს გადაწყვეტილების მიღებისას. ეს უკვე გამომდინარეობს იქიდან, რომ საკასაციო სასამართლო შეზღუდულია სამართალგამოყენებით კონკრეტული კასაციის ფარგლებში. ამის წინაპირობა, უწინარეს ყოვლისა, არის ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და სამართალგამოყენებას შორის არსებული ზუსტი განსხვავება.³²⁰

3.1.1 საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის

მოცემული ფორმულირება „სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“, არ გულისხმობს, რომ აუცილებელია ორივე წინაპირობის ერთდროულად დაკმაყოფილება, არამედ საკმარისია ერთ-ერთის არსებობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ კრიტერიუმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია, რამდენადაც, როდესაც საქმე მნიშვნელოვანია

³¹⁸ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17. 01. 2013 წლის განჩინება, საქმე № ბს-722-707(2კ-12).

³¹⁹ იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიჰენბეჰერი., შ. პაპუაშვილი.*, სამართლის გავითარება- სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4. 2005, გვ. 72-81.

³²⁰ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 138.

სამართლის განვითარებისათვის, იგი ასევე მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და პირიქით.³²¹

კასაციის დაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც საკასაციო სასამართლომ შეიძლება გაარკვიოს სადავო სამართლებრივი საკითხი, ანუ, როდესაც აუცილებელია პასუხი გადაწყვეტილების შედეგის დასასაბუთებლად. საკასაციო სასამართლოს კი არ აქვს სამართლებრივად უმნიშვნელო საკითხების გარკვევის არც უფლება და არც შესაძლებლობა.³²²

საკასაციო სასამართლო საქმეზე მ. გ. - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინააღმდეგ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით (07.07.11წ. განჩინება საქმე №ბს-51-50(კ-11)). ამასთან, საკასაციო საჩივრის

³²¹ იხ. *მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 405.

³²² იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 141.

განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.³²³

ვინაიდან საკასაციო სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ გადასინჯვადი სამართლის გამოყენებით, არაგადასინჯვადი სამართლის საკითხები ვერ გაამართლებს კასაციის დასაშვებობას. გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხებიც მხოლოდ იმ შემთხვევაშია გადამწყვეტი კასაციის დასაშვებად, თუ ისინი რელევანტურია გადაწყვეტილების მისაღებად.³²⁴

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს შეხედულებაზე და მოსამართლის შინაგან რწმენაზე, მის გამოცდილებაზე, კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული, რადგან სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად არის საქმე სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი. სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საქმე გულისხმობს სამართლებრივი პრეცედენტის შექმნას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს კანონის განმარტებას, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ კონკრეტული ურთიერთობის დასარეგულირებლად.³²⁵

ფიქრობთ, უმჯობესია ეს საკითხები საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს კონკრეტული ნორმების საფუძველზე.

საკმარისი არაა საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის არსებობა მხოლოდ მახრისათვის, უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლოს მიერ გამოსატანი გადაწყვეტილების ნაწილი ზოგადსამართლებრივ პრინციპს უნდა მოიცავდეს, რომელიც გადასაწყვეტი საკითხის მიმართ სამართლებრივი მართლშეგნების (სამართლებრივი სიზუსტის) განმტკიცებას შეუწყობს ხელს.³²⁶

რაც შეეხება საქმის მნიშვნელობას სამართლის განვითარებისათვის, აქ გადამწყვეტია ის წინაპირობა, რომ აღნიშნულ საკითხზე არ უნდა არსებობდეს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. რაც შეეხება კრიტერიუმის

³²³ შვად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17. 01. 2013 წლის განჩინება, საქმე №ბს-771-755(კ-12).

³²⁴ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, unbenarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 141.

³²⁵ იხ. **ქ. ქეცბაია**, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2 გვ. 167.

³²⁶ იხ. **Jauernig, O.**, Zivilprozessrecht, Verlag C.H. Beck, 2003, S. 268.

შინაარსსა და მასშტაბს, აქ შეიძლება მივმართოთ გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც სამართლის განვითარებისათვის კასაცია დასაშვებია, თუ ცალკეული საქმე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს ცალკეული მატერიალური ან საპროცესო ნორმის განმარტების ზოგადი პრინციპები ან მოხდეს კანონის ხარვეზის აღმოფხვრა. შესაბამისად სამართლის განვითარება შემთხვევათა ორ ჯგუფს მოიცავს. კერძოდ: 1. ცალკეული საქმის საფუძველზე ხდება მატერიალური ან საპროცესო ნორმის განმარტების ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება ან 2. აუცილებელია კანონის ხარვეზის აღმოფხვრა. პირველით მოიაზრება ის შემთხვევები, როდესაც მაგათად, სააპელაციო სასამართლომ მოახდინა კანონის დებულებათა (ახლებური) განმარტება, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ ჯერ არც აღიარებულია და არც უარყოფილი. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გადასაწყვეტი სამართლებრივი საკითხი იძლეოდეს ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მეორე შემთხვევა მოიცავს ყველა იმ სამართლებრივ დავას, რომელთა გადასაწყვეტად საჭიროა კანონის ხარვეზის აღმოფხვრა და ეს ჯერ არ მომხდარა უზენაესი სასამართლოს მიერ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროება და შესაბამისად, არც კასაცია იქნებოდა დასაშვები.³²⁷

გერმანული კანონმდებლობის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კანონი ითვალისწინებს კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ საჩივარს, რომლის განხილვის დროსაც საკასაციო სასამართლომ საკუთარი გადმოსახედიდან უნდა შეაფასოს საქმის განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშვნელობა, ის არ უნდა მიეცეს იმის ცდუნებას, კასაციის დასაშვებობის საკითხის განხილვისას წინასწარვე იმსჯელოს ასევე კასაციის შინაარსზე, რაც პრაქტიკაში არც თუ იშვიათი შემთხვევაა.³²⁸

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება დამოკიდებულია გასარკვევად აუცილებელი და უნარიანი სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაზე, კასაცია არ უნდა დაიშვას, თუ ამ სამართლებრივ საკითხს აკლია განსაკუთრებულობა.³²⁹

აღსანიშნავია, რომ გერმანიული კანონმდებლობით, დიდი სენატისადმი მიმართვა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი

³²⁷ იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიჰენბეკერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4. 2005, გვ. 75-76.

³²⁸ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGO, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.142.

³²⁹ იქვე, გვ. 142.

სამართლებრივი საკითხი ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას ან ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფას. სამართლებრივი დავის განსაკუთრებულობა დამოკიდებულია არა კანონდარდვევის სიმძიმის ხარისხზე, რომლის არსებობაც უნდა გადამოწმდეს დასაშვები კასაციის ფარგლებში. ყველაფერი დამოკიდებულია პასუხის მოქმედების მოსალოდნელ მასშტაბებზე, სადავო და გასარკვევად აუცილებელ თუ უნარიან სამართლებრივ საკითხზე. იმ შემთხვევაში, თუ სრულიად ცალსახაა ფედერალური კანონის გვერდის ავლა ან რომელიმე სხვა მძიმე კანონდარდვევა, მაშინ პასუხგასაცემი არ არის სადავო სამართლებრივი საკითხი.³³⁰

მართალია, გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „აშკარა უკანონობის“ დროს საჩივარი დასაშვებია ავტომატურად. გამომდინარე იქიდან, რომ ეს გახლავთ სრულიად განსხვავებული სამართლებრივი მიდგომა, სასამართლო პრაქტიკას არ ხელეწიფება, ცვლილებებითა და დამატებებით ჩაერიოს კანონმდებლის მიერ შექმნილ დასაშვებობის სისტემაში. ცალკეულ შემთხვევაში, მხოლოდ უნდა შემოწმდეს, არის თუ არა კონკრეტული კანონდარდვევა ანტიკონსტიტუციური ხასათის, და, ამგვარად, არის თუ არა გადაწყვეტილება ბათილი. თუმცა, ამას მაინც ვერ ექნებოდა შედეგად საჩივრის დასაშვებობა ან კიდევ ავტომატური დასაშვებობა. კონსტიტუციის დარღვევისა და შესაბამისი საკონსტიტუციო საჩივრის არსებობის შემთხვევაში, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (და არა საკასაციო სასამართლო) უფლებამოსილია, გააუქმოს კონკრეტული გადაწყვეტილება. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ კი შეიძლება ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილების ხელახალი გადასინჯვის სრულიად სხვა წარმოდგენა, თუ დამატებით გასათვალისწინებელია კონსტიტუციური პრინციპი ან, განსაკუთრებით, ზეპირი მოსმენის ფუნდამენტალური პრინციპი³³¹.

ეს აძლევს ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს შესაბამის უფლებამოსილებასა და ვალდებულებას, შეცვალოს კონკრეტული გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შესაბამისი წინაპირობები.

დამკვიდრებული აზრის თანახმად, საქმეს არსებითი მნიშვნელობა აქვს, თუ გადასაწყვეტია სამართლებრივი სკითხვი, რომელიც საჭიროებს

³³⁰ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 142-143.

³³¹ იქვე, გვ. 143.

გარკვევას და რომელიც შეიძლება წამოიჭრას სხვა მრავალი საქმის განხილვის დროს.³³²

საქმე მნიშვნელობას იძენს სამართლის განვითარებისათვის და საჭიროებს საკასაციო ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, თუ ცალკეული შემთხვევა სასამართლოს უბიძგებს ჩამოაყალიბოს სახელმძღვანელო პრინციპები: მატერიალური ან საპროცესო კანონის ნორმათა განმარტებისათვის, ან კანონში ხარვეზის შევსებისათვის.³³³

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს მისი ერთგვაროვანი განმარტება. „ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შექმმა მნიშვნელოვანია როგორც სასამართლოსთვის ასევე - საზოგადოებისთვისაც.“³³⁴

სასამართლო პრაქტიკას ხან აიგივებენ პრეცედენტთან, ხან უმაღლესი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებებთან, ხან ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, სასამართლო პრაქტიკა, როგორც სამოსამართლო საქმიანობის შედეგი, არის კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას ნორმის განმარტების რეზულტატი. ეს რეზულტატი ხსნის და აღრმავებს გამოყენებული ნორმის შინაარსს აკონკრეტებს ნორმას ერთგვარ ნორმატიული ხასიათის ფორმებში- სამართლებრივ (правоположение) სასამართლო პრაქტიკა ის სამოსამართლო საქმიანობაა, რომელსაც შედეგად მოსდევს ამ სამართლებრივი დებულებების შექმნა. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ სამოსამართლო პრაქტიკას მიეკუთვნება არა მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც აყალიბებს ახალ სამართლებრივ თეზისს არამედ ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც კონკრეტიზირდება თუნდაც ნათელი და მკაფიო კანონის ნორმები ყოველგვარი განმარტების და ანალოგიის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან რთული იქნებოდა იმ კრიტერიუმების შემუშავება, რომლითაც სასამართლოს ერთ გადაწყვეტილებას მივაკუთვნებდით სასამართლო პრაქტიკას და მეორეს – არა.³³⁵

სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, შეიძლება გამოვლინდეს არსებული ნორმის შინაარსის განმარტებაში, რასაც ინგლისელები უწოდებენ „declaratory precedent“ ან ნორმის ან ჩვეულების

³³² იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიკენბეკერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4. 2005, გვ.74.

³³³ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2, გვ. 185-186.

³³⁴ იხ. *თ. მამიაშვილი*, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2008, №1, გვ. 5.

³³⁵ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2, გვ. 186.

არარსებობის შემთხვევაში – ახალი ნორმის შემქმნელად, რასაც ინგლისელები უწოდებენ - „original precedent.”.³³⁶

სასამართლო პრაქტიკა ეს არის ცალკეულ საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას შექმნილი წესები. სასამართლო პრაქტიკის სავალდებულო ძალა არა თავდ მასშია, არამედ სახელმწიფო ნებაში, რომელსაც შეუძლია სასამართლო გადაწყვეტილებები აიყვანოს ან არ აიყვანოს სამართლის ფორმის რანგში.³³⁷

3.1.2. სამართლებრივი საკითხების სასამართლოსათვის ქვემდებარეობა და საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა

საქმე მნიშვნელოვანია, როდესაც მოსალოდნელია, რომ მასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ან სამართლის შემდგომ განვითარებას, სამართლის ნორმათა ერთგვაროვან გაგებას ან სამართლის შემდგომ განვითარებას.³³⁸ ამის პირველი აუცილებელი წინაპირობაა, რომ ეს სამართლებრივი საკითხი ექვემდებარებოდეს გარკვევას, საჭიროებდეს გარკვევას და იყოს მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტისათვის³³⁹ ანუ საქმე უნდა ეხებოდეს სამართლის ისეთ ნორმას, რომელიც ექვემდებარება გადასინჯვას. საკასაციო წესით გადასინჯვას ექვემდებარება მხოლოდ ის სამართლებრივი საკითხები, რომელიც მოიცავს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, ასევე ის საკითხები, რომელზედაც სააპელაციო სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება. მის საპირისპიროდ ის სამართლებრივი საკითხები არ შეიძლება განხდეს საკასაციო სასამართლოს განსჯის საგანი, რომლებიც წამოიჭრებოდა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. საკასაციო წესით გადასინჯვა მოიცავს სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ სამართლებრივ საკითხებს და მის მნიშვნელობას აწმყოში და არა იმას, რომ

³³⁶ იხ. *კ. ყიფიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2, გვ. 186.

³³⁷ იხ. *Шершеневич Г.Ф.*, *Общая теория права*. Том 2, Москва, издание Бр. Башмаковых 1910. С 46.

³³⁸ იხ. *მ. კობალეიშვილი*, *ნ. სხირტლაძე*, *ე. ქარდავა*, *პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 404.

³³⁹ იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიჭენბეგერი*, *შ. პაპუაშვილი*, სამართლის განვითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძველების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2005, გვ. 74-75.

სააპელაციო სასამართლოს სხვაგვარ გადაწყვეტილებას „არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა“.³⁴⁰

გერმანული კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, როდესაც სადავოა ევროკავშირის სამართლის განმარტება, სააპელაციო სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა, მიმართოს ევროკავშირის (ლუქსემბურგი) სასამართლოს. იმავედროულად, სააპელაციო სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, თავადვე გასცეს პასუხი დასმულ კითხვაზე. მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია კითხვაზე პასუხის გაცემის უფლებამოსილება, არამედ ის ვალდებულია, წარდგინებით მიმართოს ევროკავშირის სასამართლოს, კასაცია უნდა იქნას დაშვებული, რადგან ევროკავშირის სასამართლოსადმი წარდგინებით მიმართვის საკითხი სამართლებრივად მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან მხოლოდ ამ გზით ხდება საკითხის გარკვევა. ნორმის კონსტიტუციურობის საკითხმაც შეიძლება დაასაბუთოს კონკრეტული საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა. მართალია, ამ შემთხვევაში აუცილებელია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, როდესაც საქმის განმხილველ სასამართლოს სურს, გამორიცხოს კონკრეტული ნორმის ანტიკონსტიტუციურობა. ხოლო, სერიოზული ეჭვის მიუხედავად, ნორმის კონსტიტუციურობის დადასტურების შემთხვევაში კი, ხდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტა, რის გამოც კასაცია უნდა დაიშვას.³⁴¹

3.1.3. სამართლებრივი საკითხების გარკვევის საჭიროება

საქმის მნიშვნელობის განსაზღვრის მეორე მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომ სამართლებრივი საკითხი საჭიროებს გარკვევას.³⁴² საკითხი არ საჭიროებს გარკვევას, როდესაც ის უდავოა, რამდენადაც პასუხი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამომდინარეობს კანონის ტექსტიდან. საკითხი ასევე არ საჭიროებს გარკვევას, როდესაც მასთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა ეს უკანასკნელი შემთხვევა არ გამორიცხავს საკითხის შემდგომი გარკვევის საჭიროების წარმოშობას, როდესაც უზენაესი სასამართლოს

³⁴⁰ იხ. *მ. კობალევი შვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ, 2008, გვ. 404.

³⁴¹ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 139.

³⁴² იხ. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე *ც. რაიზენბერგი, შ. პაპუა შვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4. 2005, გვ.75.

პრაქტიკა გახდება ფართო მეცნიერული განსჯის საგანი და მოსამართლეებისა და მეცნიერების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები უბიძგებს უზენაეს სასამართლოს საკუთარი მოსაზრებების გადამოწმებისაკენ.³⁴³

საკითხის გარკვევის აუცილებლობა იხსნება სხვადასხვა პასუხის არსებობისას იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული კითხვა პასუხგაცემულია უმაღლესი ინსტანციების სასამართლო პრაქტიკით, განურჩევლად იმისა, თუ კონკრეტულად რომელმა უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა სამართლებრივი საკითხი. ამ კონტექსტში საკმარისი არაა რომელი პირველი ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. გერმანული კანონმდებლობით, სადავო საკითხი უნდა გადაწყვიტოს უმაღლესი ფედერალური სასამართლო ინსტანციების ერთობლივმა სენატმა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ან ევროკავშირის სასამართლომ. საკითხის გარკვევის აუცილებლობა შეიძლება სახეზე იყოს ერთჯერადად გადასაწყვეტ საქმეზეც კი. საქმე არ უნდა ეხებოდეს „მუდმივმოქმედ“ უმაღლესი ინსტანციების სასამართლო პრაქტიკას. ასევე აუცილებელი არ არის, კონკრეტული საკითხის გამრკვევი გადაწყვეტილების გამოქვეყნება.³⁴⁴

იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასამართლო ინსტანციების სასამართლო პრაქტიკა გადააწყვეტა რაიმე სახის წინააღმდეგობას დარგობრივ ლიტერატურასა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებში (შესაძლოა, მხოლოდ *obiter dictum*-ის სახით), მაშინ შეიძლება გაჩნდეს გარკვეული კითხვის ნიშნები მის მიმართ და წარმოიშვას მისი გადახედვის აუცილებლობა. წინააღმდეგობა შეიძლება ეფუძნებოდეს სერიოზულ არგუმენტაციას. საკმარისი არაა გაკვრითი, ზედაპირული აზრის გამოსატყობა.³⁴⁵

უკვე გარკვეული სამართლებრივი საკითხი შეიძლება დადგეს ხელახალი გარკვევის აუცილებლობის წინაშე. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება სამართალი. ამ შემთხვევაში უარსაყოფია ძველი სამართლის საფუძველზე უკვე გადაწყვეტილი სამართლებრივი საკითხის იდენტურობა და სახეცვლილი სამართლიდან გამომდინარე სამართლებრივი საკითხი. უკვე გადაწყვეტილი სამართლებრივი საკითხის გარკვევის აუცილებლობამ შეიძლება არ განაპირობოს სამართლებრივი ნორმის ცვლილება, მაგრამ შეცვალოს ზოგადი ფაქტობრივი ურთიერთობები, რაც განაპირობებს

³⁴³ იხ. *მ. კობაღიშვილი., ნ. სხირტლაძე., ე. ქარდავა., პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 404.

³⁴⁴ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 140.

³⁴⁵ იქვე, გვ. 140.

სამართლის განვითარების ხელახალ გარკვევას.³⁴⁶ მეორეს მხრივ, საკითხის გარკვევის აუცილებლობა შეიძლება არ არსებობდეს თუნდაც დასაბუთებული ეჭვის დროს, როდესაც, მაგალითად, შეზღუდულია სამართლებრივი ნორმის დროში გამოყენების სფერო. ეს განსაკუთრებით ეხება გარდამავალ დებულებებს, როდესაც მათი გამოყენება არ შეეხება დიდი რაოდენობის შემთხვევას.³⁴⁷

3.1.4. საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის³⁴⁸ თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-157-155 (კ-17)³⁴⁹ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და განმარტა, რომ აღნიშნული საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ

³⁴⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.140.

³⁴⁷ იქვე, გვ. 140.

³⁴⁸ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

³⁴⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-157-155 (კ-17).

საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ე) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანმადე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასაევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეტებულ სამართლებრივ შეფასებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახლველად.

3.1.5. საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის³⁵⁰ თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-139-137 (კ-17)³⁵¹ საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას

³⁵⁰ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

³⁵¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინება საქმეზე №ბს-139-137 (კ-17).

და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასაევე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეტილ სამართლებრივ შეფასებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახლველად.

3.2. დივერგენტული კასაცია

3.2.1. საქმის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: დ)სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს

სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან – დიფერენცული კასაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო მართლმსაჯულების განხორციელება მიზნად ისახავს არა მარტო სამართლებრივი დავების გადაწყვეტას და მოსარჩელის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, არამედ ერთგვროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კასაციის დასაშვებობის ეს კრიტერიუმი ყურადღრებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკას შორის შეუსაბამობაზე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი და იგივე სამართლის ნორმის საფუძველზე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებაში ხდება ამ ნორმის განსხვავებული ინტერპრეტაცია.³⁵²

თუ საკასაციო წესით გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტლება განსხვავდება ადრე დამკვიდრებული პრაქტიკისაგან მხედველობაშია იმავე ან სხვა სააპელაციო სასამართლოების, აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა.³⁵³

კასაციის დასაშვებობის ამ კრიტერიუმის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის არსებობა, რომელიც არ გულისხმობს საქმეზე დიდი პალატის გადაწყვეტილების არსებობის აუცილებლობას, საკმარისია ერთი კონკრეტული ყველაზე ახალი გადაწყვეტილების არსებობა. ამ ნიშნით კასაციის დაშვება მიზნად არ ისახავს „ურჩი“ სააპელაციო სასამართლოს დასჯას, არამედ ზრდის სააპელაციო სასამართლოს როლს სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმეში. სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული გადაწყვეტილება, რომელიც ჯეროვნად არის გააზრებული და დასაბუთებული, არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. უზენაესი სასამართლო ვალდებული ხდება სათანადოდ შეაფასოს სააპელაციო სასამართლოს განსხვავებული შეხედულება, აღიაროს ის ან მეცნიერულად დაასაბუთოს საკუთარი უპირატესობა. ყოველივე ეს ბიძგს აძლევს მართლმსაჯულების პრაქტიკის სრულყოფას.³⁵⁴

³⁵² იხ. *მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 405.

³⁵³ იხ. *ც. რაიკენბეკერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(6) 2005, გვ. 72-81.

³⁵⁴ იხ. *მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 405-406.

კასაციის დაშვება სამართლის ერთგვაროვანი განმარტების (დივერგენცის) გამო ემსახურება ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დაცვას (ანუ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფას) გარკვეული სამართლებრივი ნორმების განმარტებისას.³⁵⁵

ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის კასაცია დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლო პრაქტიკაში მკვეთრი განსხვავებების დანერგვა ან მათი შემდგომი არსებობა, თუმცა გადამწყვეტია ასევე ისიც, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ზოგადად სასამართლო პრაქტიკისათვის. ამ კრიტერიუმით, უზურველეს ყოვლისა, იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ე.წ. დივერგენციასთან, ანუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების განსხვავებასთან ზედა ან იმავე დონის ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი³⁵⁶ ცალკე გამოყოფს დივერგენციას უზენაესი სასამართოს გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, ამიტომ, ამ ქვეპუნქტში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც განსხვავებას ადგილი აქვს სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის.³⁵⁷

გარდა ამისა, ამ კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის, რომ სასამართლომ ერთ კონკრეტულ საქმეზე მცდარი გადაწყვეტილება მიიღოს, თუნდაც ეს სამართლებრივი შეცდომა აშკარა იყოს. თუმცა, აღიარებულია, რომ კანონის ნორმათა განმარტებისას ან გამოყენებისას დაშვებული შინაარსობრივი ან ფორმალური შეცდომა მაშინ სცდება ცალკეული შემთხვევის ფარგლებს და სერიოზულად ავნებს საზოგადო ინტერესებს, როდესაც შეცდომა მაშტაბურია და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მის საფუძველზე შეირყეს ნდობა მართლმსაჯულების მიმართ. აღნიშნულ კრიტერიუმთან დაკავშირებით პრინციპულია ის გარემოება, რომ აქ გადამწყვეტია არა მხოლოდ ცალკეული სამართლებრივი დავის ბედი, არამედ მისი მნიშვნელობა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, რაც თავის მხრივ უშუალო კავშირშია საზოგადო ინტერესებთან.³⁵⁸

³⁵⁵ იხ. *ც. რაიპენბეგერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, *ქურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4.(6) 2005, გვ. 77.

³⁵⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁵⁷ იხ. *ც. რაიპენბეგერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, *ქურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4.(6) 2005, გვ. 76.

³⁵⁸ იქვე, გვ. 76.

ქართული სასამართლო სისტემისაგან განსხვავებით გერმანიის სასამართლო სისტემაში საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს არა საკასაციო სასამართლო, არამედ სააპელაციო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც არის მიმართული საკასაციო საჩივარი, ამ თვალსაზრისით ქართულ სასამართლო სისტემაში დამკვიდრებული მოდელი უფრო მისაღებია.

სამართლის ნორმის განმარტება არის პროცესი და არა ერთჯერადი აქტი, საკასაციო სასამართლო ახდენს ნორმის დინამიურ განმარტებას. ყოველივე ეს ბიძგს აძლევს მართლმსაჯულების პრაქტიკის სრულყოფას.³⁵⁹

კასაციის დასაშვებობამ შესაძლებლობა უნდა მისცეს საკასაციო სასამართლოს, სამართლებრივი დავის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, გამოარკვიოს კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი სადავო სამართლებრივი საკითხები, რომელთაც უმაღლესი ინსტანციის სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება ჰქონდეთ ზეგავლენა, მათ შორის, კონკრეტული საქმის მიღმა არსებულ ზოგად სამართალგამოყენებაზე. ამდენად, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ანალოგიური სამართლებრივი საკითხის შემცველი საქმეა განხილვის სტადიაში საკასაციო სასამართლოსა თუ ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოში. ასევე გასათვალისწინებელია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არსებული ან კიდევ მოსალოდნელი გამოყენების შემთხვევები. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ვერ უპასუხებს ამ სამართლებრივ საკითხს, მაშინ მას, უკიდურეს შემთხვევაში, მოუწევს მტკიცებულებების მოპოვება სანდო პროგნოზის გასაკეთებლად.³⁶⁰

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით, კასაციის დაშვების განმაპირობებელი გადახვევა სახეზეა შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

- ორივე გადაწყვეტილებამ უნდა ამოხსნას სამართლებრივი საკითხი;
- ამოხსნილი სამართლებრივი საკითხები უნდა იყოს იდენტური ორივე გადაწყვეტილებაში;
- სამართლებრივი საკითხები უნდა გამომდინარეობდეს გადასინჯვადი სამართლიდან;
- სამართლებრივი საკითხის ამოხსნა სამართლებრივად რელევანტური უნდა იყოს ორივე გადაწყვეტილებისათვის;
- პასუხები არ უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;

³⁵⁹ იხ. *მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წიკვაძე*, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ., 2005, გვ. 209.

³⁶⁰ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 143.

- ამას უნდა დაემატოს გასახივრებული გადაწყვეტილებიდან გადახვევის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.³⁶¹

სამართლებრივი საკითხი სააპელაციო სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს საქმის გადასაწყვეტად, ანუ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში უნდა იყოს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან. ეს კრიტერიუმი არ არის მოცემული, როდესაც, მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ალტერნატიულად ეყრდნობა აგრეთვე სხვა დასაბუთებას, რომლის ფარგლებშიც საერთოდ არ ისმის ისეთი სამართლებრივი საკითხი, რომელიც გარკვევას საჭიროებს. თუ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი მაინც არ არის მოცემული, მაშინ კასატორის სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა არსებობს.³⁶²

გადახვევის საკითხი არაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად შესაბამისობაშია ერთმანეთთან მოსაყვანი შესადარებელი გადაწყვეტილებები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არ გამოიხატება კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, საქმე უნდა ეხებოდეს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ფარგლებში არსებულ სამართალგამოყენებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სააპელაციო სასამართლო სრულიად სხვა დასაბუთებით მივა იგივე შედეგამდე, როგორც შესადარებელი გადაწყვეტილება, საქმე ეხება დივერგენტულობის შემთხვევას, რომელშიც შეიძლება არ არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. გადამწყვეტია ორივე გადაწყვეტილებაში შესული სამართლებრივი წინადადებები, რომლებიც ასაბუთებს გადაწყვეტილებას.³⁶³

3.2.2. სამართლებრივი საკითხების იდენტურობა

გადამწყვეტია არა დავის საგნის, არამედ პასუხვაცემული სამართლებრივი საკითხების იდენტურობა. დივერგენტულობაზე საუბარი არის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და სხვადასხვა დავის საგანზე ერთი და იგივე სამართლებრივი საკითხების ამოხსნას ეხება. სამართლებრივი საკითხები იდენტურია არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ეხება ერთი და იგივე სამართლებრივი

³⁶¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 143.

³⁶² იხ. **ც. რაიზენბერგი, შ. პაპუაშვილი.**, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4.(6) 2005, გვ.75.

³⁶³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.146.

ნორმიდან გამომდინარე ერთსა და იმავე სამართლებრივ ცნებას, არამედ მაშინაც, როცა სხვადასხვა სამართლებრივი ნორმებიდან მომდინარე ერთი და იგივე სამართლებრივი ცნებები შეიცავს მოწესრიგების ერთსა და იმავე შინაარსს.³⁶⁴ იდენტურობის დადგენა შეიძლება რთული იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ მან შეიძლება აუცილებელი გახადოს მოწესრიგების შინაარსის დადგენა და სამართლებრივი ტერმინის განმარტება.³⁶⁵

3.2.3. გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხები

განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მხოლოდ გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხები ამართლებს დივერგენტულობის მოტივით კასაციის დაშვებას, რადგან საკასაციო სასამართლო შეპოჭილია ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ არაგადასინჯვადი სამართლის დადგენითა და გამოყენებით. თუ სასამართლო ვერ უპასუხებს ასეთ კითხვებზე, მაშინ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ შეუწყობს ხელს ერთიანი სასამართლოს პრაქტიკის განვითარებას. ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო არ განიხილავს და არ ადგენს არაგადასინჯვადი სამართლებრივი საკითხების შინაარსს. კასაციის დაშვების წინაპირობაა მოსალოდნელი საკასაციო გადაწყვეტილებით განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სამართლებრივ საკითხებზე პასუხის გაცემა.³⁶⁶

3.2.4. გადასინჯვადი საკითხების სამართლებრივი მნიშვნელობა

სამართლებრივი საკითხების ამოხსნა, როდესაც საკითხი არაა დამოკიდებული შესაძარებელ გადაწყვეტილებებზე, არ განაპირობებს დივერგენტულ დაშვებას. სრულიად უმნიშვნელოა ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც არ განაპირობებს გადაწყვეტილების შედეგს. ეს ეხება როგორც ადრინდელ, უმაღლესი სასამართლო ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ისე გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. უნდა განვასხვავოთ ორივე გადაწყვეტილების სამართლებრივი მნიშვნელობის და მისხედვით. ადრინდელ გადაწყვეტილებაზე კანონი არ შეიცავს არანაირ მითითებას სამართლებრივი მნიშვნელობის აუცილებლობაზე. თუმცა ის გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ზედმეტი სამართლებრივი ფორმულირებები უნდა განიხილოს არარსებულად. ეს პრინციპი მოქმედებს მაშინაც, როდესაც მაგალითად, ისეთი შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებაში სამომავლოდ იგეგმება სასამართლო პრაქტიკის შეცვლა

³⁶⁴ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.147.

³⁶⁵ იქვე, გვ. 147.

³⁶⁶ იქვე, გვ.147.

ან ხდება მინიშნება, თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ დავა ანალოგიურ შემთხვევებში.³⁶⁷

თუმცა სამართლებრივი მნიშვნელობა აქ ვრცელდება არა სამართლებრივი პრინციპის მიზეზ-შედეგობრიობაზე გადაწყვეტილების შედეგისათვის, არამედ იმაზე, იყო თუ არა სამართლებრივი საკითხის ამოხსნა სავალდებულო ნაწილი საქმის განმხილველი სასამართლოს მოსაზრებებში.³⁶⁸

ამდენად, საკმარისია, როდესაც გადაწყვეტილება არ შეიცავს სამართლებრივი საკითხის საკმარისად ამოხსნას, როდესაც ის მხოლოდ აზრობრივადაა წარმოდგენილი მასში. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე კი მოქმედებს განსაკუთრებული სპეციფიკა, რომ საპროცესო კანონები მოითხოვს გადახვევის დასაბუთებასა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.³⁶⁹

3.2.5. შეუსაბამობა სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებს შორის

კასაცია დაიშვება ყოველთვის, როდესაც ერთმანეთისაგან განსხვავდება ამოსახსნელი სამართლებრივი პრინციპები, ანუ, როდესაც ისინი შეუსაბამობაშია ერთმანეთთან. კონგრუენციის სავალდებულო შემოწმება ვრცელდება არა სიტყვასიტყვით თუ სარედაქციო თანხვედრაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შინაარსობრივი დამთხვევისა და გადახვევის საკითხზე. შედარების საგანია არა მთლიანი სამართლებრივი ნორმის შინაარსის განსაზღვრა, არამედ აუცილებლად სამართლებრივი ტერმინის მთლიანი დეფინიცია. უფრო ზუსტად, უნდა შემოწმდეს ორი კონკრეტული სამართლებრივი პრინციპი/ფორმულირება მათი შინაარსობრივი თანხვედრის მიხედვით, რომლებიც ეხება სამართლებრივი ტერმინის ნაწილობრივ ასპექტებს.³⁷⁰

გერმნული კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლომ ჩამოაყალიბა სხვადასხვა გადაწყვეტილებაში ერთსა და იმავე საკითხზე განსხვავებული სამართლებრივი ფორმულირებები, კასაცია ყოველთვის უნდა დაიშვას, განურჩევლად იმისა, თუ რომელ გადაწყვეტილებას არ ემთხვევა სააპელაციო სასამართლოს

³⁶⁷ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 147.

³⁶⁸ შეად. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს გაერთიანებული დიდი სენატები, 1994 წლის 05 მაისის განჩინება - 1-4/93 - გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები 126, (BGH Vereinigte Große Senate, Beschl. V. 5,5 1994 – VGS 1-4/93-BGHZ 126.

³⁶⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 147.

³⁷⁰ იქვე, გვ. 147.

გადაწყვეტილება.³⁷¹ სხვა პრინციპი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლომ შეცვალა მისი ადრინდელი ხედვა, ან კიდევ როდესაც ამ გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი გადაფარა დიდი სენატისა (პალატა) ან ფედერალური სასამართლო ინსტანციების გაერთიანებული სენატის გადაწყვეტილებამ. იმ შემთხვევაში, თუ დაძლეულია დივერგენტულობის საფრთხე დამაზუსტებელი გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლოც შეიძლება შეუერთდეს ამ გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც ეს შეიძლება გააკეთოს საკასაციო სასამართლოს სენატმა ფედერალური სასამართლო ინსტანციების გაერთიანებული სენატისადმი მიმართვის გარეშე.³⁷²

აუცილებელი არ არის, რომ სააპელაციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ერთი და იგივე ნორმას ეხებოდეს. საკმარისია, რომ სხვადასხვა ნორმას საფუძვლად ერთი და იგივე სამართლებრივი პრინციპი ედოს.³⁷³

გერმანული კანონმდებლობით, განურჩევლად იმისა, უმაღლესი სასამართლო ინსტანციის ადრინდელი გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია თუ რაიმე სხვა ფორმითაა ცნობილი, შეიძლება, სააპელაციო სასამართლომ დაუშვას კასაცია, როდესაც მისთვის უცნობია ადრინდელი გადაწყვეტილება. თუმცა ეს არ არის სამართლებრივად გადამწყვეტი კრიტერიუმი.³⁷⁴

3.2.6. მიზეზ-შედეგობრიობა

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ცალსახად განსაზღვრავს დივერგენციის დაშვებისათვის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს გადახვევას/სახეცვლას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, ის, რომ უმაღლესი სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილის მნიშვნელობა იმ შემთხვევაშიც ვერ გაითვალისწინებს სამართლებრივი საკითხების სხვადასხვაგვარად ამოხსნას, თუ, კონკრეტულ შემთხვევაში, სხვადასხვა საფუძველს მიყვავართ სრულიად განსხვავებულ შედეგამდე. და პირიქით, სააპელაციო

³⁷¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 147.

³⁷² იქვე, გვ. 147.

³⁷³ იხ. **ც. რაიზენბერგერი, შ. პაპუა შეილი.**, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4.(6) 2005, გვ.77.

³⁷⁴ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 148.

სასამართლოს გადაწყვეტილებების მოტივაცია ხშირად შეიცავს, მათი დაბალი გარე ზემოქმედების გამო, ისეთ სამართლებრივ ფორმულირებებს, რომლებიც შეუსაბამოა უმაღლესი სასამართლო ინსტანციების სასამართლო პრაქტიკასთან.³⁷⁵

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან წინააღმდეგობა (დივერგენტულობა) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის უნდა იყოს ობიექტური და ფაქტობრივად კაუზალური. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სარეზოლუციო ნაწილს და წარმოადგენს გადაწყვეტილების საფუძველს. ვინაიდან საპროცესო დარღვევების მიზეზ-შედეგობრიობა ხშირად ვერ დგინდება გადაწყვეტილების შედეგისათვის, კანონმდებელმა მხოლოდ მცირედი შესაძლებლობა გაითვალისწინა. დივერგენტულობა კი ნიშნავს იმას, თუ როგორ გადაწყვეტდა სამართლებრივ საკითს სააპელაციო სასამართლო, რომ გაითვალისწინებინა უმაღლესი სასამართლო ინსტანციის სასამართლო პრაქტიკა.³⁷⁶

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი არ ითვალისწინებს, რომ უზენაესი სასამართლო პრაქტიკასთან წინააღმდეგობასა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას შორის უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ეს თავისთავად გამომდინარეობს კასაციის სამართლებრივი დაცვის საჭიროებიდან და კასაციის დანიშნულებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ ექნებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ სამართლებრივი საკითხის განხილვას, ვინაიდან აღნიშნული განხილვის შედეგი არ იქნებოდა მნიშვნელოვანი საქმის გადასაწყვეტად.³⁷⁷

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლომ ალტერნატიულად დაასაბუთა გადაწყვეტილება, მაშინ მხოლოდ ერთ-ერთი ალტერნატიული გადახვევა განაპირობებს კასაციის დაშვებას, რადგან სხვა ალტერნატივა მარტო ვერ განაპირობებს გადაწყვეტილებას. იმავდროულად, კუმულაციური დასაბუთებისას დივერგენტულობის მიზეზ-შედეგობრიობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იგარაუდება, როდესაც ორივე დასაბუთება არ ემთხვევა უმაღლესი სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილებებს, რადგან ერთ-

³⁷⁵ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.149.

³⁷⁶ იქვე, გვ. 149.

³⁷⁷ იხ. **ც. რაიკენბერგერი, შ. პაპუაშვილი**, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4.(6) 2005, გვ. 78.

ერთი დასაბუთების გაუქმებისას მეორე ამართლებს გადაწყვეტილების შედეგს.³⁷⁸

3.3. სამართაწარმოების თავისებურება ისეთ საქმეებზე, რომლებიც განხილულია სააპელაციო სასამართლოს მიერ მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. არსებული პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: **ესააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;**

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება, რომელსაც კასატორი ასაჩივრებს კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული თუ რომელი კანონია დარღვეული და რაში გამოიხატება ეს დარღვევა.

სსსკ-ის 393-ე მუხლით³⁷⁹ სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: 1. არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; 2. გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; 3. არასწორად განმარტა კანონი. აღნიშნული ნორმა მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების სამართლებრივ მხარეს, რომლის თანახმად სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა. იგივე წესი მოქმედებს პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე მხოლოდ 393ე მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით.³⁸⁰

სსსკ-ის 393 მუხლის³⁸¹ 3-ე ნაწილით საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველ მუხლში მითითებულ დანაწესებს უკავშირდება ფაქტობრივ გარემოებებთან შემხებლობის პრობლემატიკა,

³⁷⁸ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 149.

³⁷⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 393-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

³⁸⁰ იხ. **თ. თოდრია**., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 19.

³⁸¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 393ე მუხლის, 3-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

რაც წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს ქართული მოდელის იურისდიქციის განსაზღვრის ხერხემალს.³⁸²

საკასაციო საჩივარი რომელიც ემყარება არა კანონის დარღვევას, არამედ მხოლოდ გადაწყვეტილების ფაქტობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, არაა საკასაციო საჩივარი, ამიტომ იგი დაუშვებელია, მაგრამ კანონი ასეთ საჩივარს განიხილავს, როგორც საკასაციო საჩივარს, რომელსაც აქვს ხარვეზი. საკასაციო სასამართლომ უნდა დაავალოს კასატორს შეავსოს ეს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ეს ხარვეზი ამ ვადაში არ იქნება შევსებული საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.³⁸³

საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული საკასაციო მოთხოვნის დასაბუთებულობა, მთლიანად განპირობებულია კასაციის მიზნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემყარებოდეს კანონის დარღვევას. ასევე ნაჩვენებია უნდა იყოს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კანონის დარღვევა.³⁸⁴

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება უნდა მოიცავდეს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივ, ასევე პროცესუალურ-სამართლებრივ მხარესაც.³⁸⁵ საკასაციო საჩივრის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონით დარღვევის გამოტანაზე მითითება. აღნიშნული დანაწესი, უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს კასატორის უფლების შინაარსს, რაც განპირობებულია საკასაციო ინსტანციის იურისდიქციის თავისებურებით, მისი ინსტანციურობიდან გამომდინარე.³⁸⁶

პროცესუალური დარღვევა რომ გახდეს სააკასაციო საჩივრის დასაბუთების საფუძველი, აუცილებელია ამ დარღვევას ჰქონდეს ისეთი ხასიათი, რომ აშკარა იყოს მისი უარყოფითი ზეგავლენა საქმის განხილვის შედეგზე. პროცესუალური დარღვევის ხარისხის განსაზღვრის ორ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ქართველი კანონმდებელი თვითონ ახდენს იმ საპროსესო დარღვევების განსაზღვრას, რომლებიც აუცილებლად იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას. სსსკ-ის 394-ე მუხლით³⁸⁷ განსაზღვრული საკასაციო საჩივრის გაუქმების აბსოლუტური საფუძველები არის საკასაციო საჩივრის დასაბუთების კანონმდებლის

³⁸² იხ. *თ. თოდრია*., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა სასაკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 19.

³⁸³ იხ. *გ. ხრუსტალი*., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, იხ. დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004, გვ. 15.

³⁸⁴ იქვე, გვ. 15.

³⁸⁵ იხ. *თ. თოდრია*., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა სასაკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 18.

³⁸⁶ იქვე, გვ. 18.

³⁸⁷ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 394-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

მიერ იმპერატიულად დადგენილი ნორმა, აქ სასამართლოს მიხედულებისათვის ადგილი არ რჩება.³⁸⁸

მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევებში აუცილებლად უნდა ვიგულისხმოდ, ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევა.³⁸⁹

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნორმა წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების იმ აუცილებელ წინაპირობას, რომლითაც უზრუნველყოფილია კანონიერების დაცვის პროცესუალური პრინციპები.³⁹⁰ გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ:

- ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ე) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ე¹) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ვ) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ზ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ;
- თ) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

³⁸⁸ იხ. *მ. კობალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა* (რედ.) ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, (kas), (gtz), თბ., 2008, გვ. 406.

³⁸⁹ იხ. *ც. რაიკენბეგერი, შ. პაპუაშვილი*, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმართებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(6) 2005, გვ. 80.

³⁹⁰ იხ. *თ. თოდროსა*, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა სასაკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 21.

ზემოთ აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავია და საკმარისია ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა, რათა საკასაციო სასამართლომ გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია საფრანგეთის კანონმდებლობა, სადაც გათვალისწინებულია მსგავსი საპროცესო ნორმები. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 604-ე მუხლის თანახმად, საკასაციო გასაჩივრება შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. საფრანგეთის საკასაციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ სამართალთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ეხება ფაქტს, კერძოდ არ აკონტროლებს ფაქტის შეფასების სისწორეს.³⁹¹

ფრანგული კანონმდებლობით სამართლის ნორმის დარღვევაში იგულისხმება კანონის დარღვევა, არაკომპეტენტურობა, უფლებამოსილებების გადამეტება, დებულებათა შეუთავსებლობა, ფორმის დაუცველობა და სამართლებრივი საფუძვლების არ არსებობა. კანონის დარღვევაში იგულისხმება კანონის არასწორი გამოყენება, განმარტება და უარი კანონის გამოყენებაზე.³⁹²

უნდა აღინიშნოს, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 132-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-3 ქვეპუნქტი,³⁹³ ითვალისწინებს კასაციის დასაშვებობას საპროცესო ხარვეზის ან დარღვევის გამო, რომელიც მოცემულია და რომელსაც შეიძლება ეფუძნებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილება. კოდექსი მოითხოვს არა მხოლოდ საპროცესო ხარვეზის არსებობას, არამედ უშუალოდ მოთხოვნის წამოყენებას. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ორიენტირებულია ნებისმიერ საპროცესო დარღვევაზე და რა მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევაზე, როგორც ეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლშია მოცემული.

საპროცესო დარღვევის გამო კასაციის დაშვება უპირველეს ყოვლისა ემსახურება სამართლებრივი სახელწიფოს პრინციპებზე დამყარებული სასამართლო პროცესის უზრუნველყოფას ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას.³⁹⁴

თუ შეუძლებელია ნორმის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის შემოწმება, საფრანგეთის საკასაციო სასამართლო არ გაიზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში გამოთქმულ მოსაზრებას და გააუქმებს

³⁹¹ იხ. **J. Boré L. Boré.**, La cassation en matière civile. Dalloz, 2008. P. 242-248.

³⁹² იხ. **J. Boré L. Boré.**, La cassation en matière civile. Dalloz, 2008. P. 258-263. ასევე, **G Couchez.**, Procédure civile. Paris. 1998, p. 345.

³⁹³ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 132-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მე-3 პუნქტი. მიღებული 21.01.1960. (VwGO), §132.

³⁹⁴ იხ. **ც. რაიპენბეგერი., შ. პაპუა შვილი.**, სამართლის გავითარება - სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4.(6) 2005, გვ. 78.

განხილვას. საკასაციო სასამართლოს უპირველესი მოვალეობაა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სამართლებრივი ნორმების სწორად განმარტებას.³⁹⁵

საკასაციო სასამართლომ არა მხოლოდ უნდა განახორციელოს საჯარო ინტერესები, არამედ პროცესის ცალკეული მონაწილეების ინტერესებში იზრუნოს კანონის უზენაესობაზე, სამართლიან სასამართლოზე. უზენაეს სასამართლოს ენიჭება სააპელაციო სასამართლოზე პროცესუალური ზედამხედველობის ფუნქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესუალური ნორმების დაცვა და საპროცესო სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი გამოყენება.³⁹⁶

3.3.1. საპროცესო ხარვეზის/დარღვევის ცნება

საპროცესო შეცდომასა და მატერიალურ შეცდომას შორის გამოიყენა შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში რთული იყოს. თუმცა ყოველთვის საქმე უნდა ეხებოდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩადენილ კანონდარღვევას. საპროცესო ხარვეზი არის სააპელაციო სასამართლოს საპროცესო დებულების დარღვევა. როგორც წესი, ესაა რომელიმე საპროცესო კოდექსის დებულებები. ესა თუ ის მატერიალური კანონიც შეიძლება, გამონაკლისის სახით, შეიცავდეს ისეთ დებულებებს, რომლებიც აწესრიგებს არა მატერიალურ სამართალურითერთობებს, არამედ სამართალწარმოების მიმდინარეობას. თუმცა იმავდროულად ნებისმიერი საპროცესო ნორმის დარღვევა ავტომატურად არ არის საპროცესო ხარვეზი. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია ასე, როდესაც საპროცესო დებულების გამოყენებლობამ ან არასწორმა გამოყენებამ დაახარვეზა სამართალწარმოების მიმდინარეობა.³⁹⁷

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა შეიცავს ნორმებს, რომლებიც არ ეხება გადაწყვეტილებამდე მიმავალ გზასა და გადაწყვეტილების ჩაბარებას, არამედ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნას მიღებული შინაარსობრივი გადაწყვეტილება, მაშინ მათი დარღვევა არის არა საპროცესო ხარვეზი, არამედ გადაწყვეტილების შინაარსობრივი ხარვეზი. მართალია, საპროცესო ხარვეზი ახდენს ზეგავლენას გადაწყვეტილების შინაარსზე, რაც უკვე გამომდინარეობს იქიდან, რომ მისთვის კასაციის დაშვება მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება შეიძლება ამას ეფუძნებოდეს. აქ საქმე ეხება მხოლოდ არაპირდაპირ ზეგავლენას, რომელიც ეფუძნება არასწორად განვლილ საპროცესო გზას.³⁹⁸

ბუნებრივია, კასაციის დაშვებისათვის გადამწყვეტია მხოლოდ გადასინჯვადი საპროცესო ნორმები, რადგან არაგადასინჯვადი სამართლის

³⁹⁵ იხ. *Breton, L.*, arrêt de la Cour de de cassation, Toulouse, 1975, t. é, p. 6.

³⁹⁶ შეად PP Pirtzner, in Schoch/ Schmidt-ABmann/Pietzner, VwGO, § 132, Rn. 83.

³⁹⁷ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 150.

³⁹⁸ იქვე, გვ.150.

დებულებების დარღვევა სრულიად მეორეხარისხოვანია დაშვებული კასაციის პირობებში.

სააპელაციო სასამართლოს სამართალწარმოება ხარვეზიანია, თუ განხორციელდა საპროცესო მოქმედება, რომელიც, არ უნდა განხორციელებულიყო ან არ უნდა განხორციელებულიყო ამ სახით, ან კიდევ როდესაც არ განხორციელებულა აუცილებელი საპროცესო მოქმედება. პროცესის მონაწილის მცდარი საპროცესო მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაშია საპროცესო ხარვეზი, ანუ, სასამართლოს მიერ ჩადენილი კანონდარღვევა, როდესაც სასამართლომ ყურდღება არ მიაქცია ნაკლოვანებას, რის გამოც სამართალწარმოება სრულიად სხვა მიმართულებით წავიდა. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრების საფუძვლის არსებობისას არაფერია დამოკიდებული გარკვეულ საპროცესო მოქმედებაზე, განუხორციელებელი ან არასწორად განხორციელებული საპროცესო მოქმედება იმ შემთხვევაშიც არ არის საპროცესო ხარვეზი, თუ საკასაციო სასამართლო არ მიიჩნევს მას მისი გადმოსახედიდან მნიშვნელოვნად.³⁹⁹

3.3.2. გამორიცხული საპროცესო ხარვეზი

გერმანული კანონმდებლობით, საპროცესო ხარვეზები, რომელსაც კასატორი ვეღარ გაასაჩივრებს საკასაციო წესით არ ამართლებს კასაციის დაშვებას. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე უარს აცხადებს საპროცესო ნორმის გამოყენებლობის გასაჩივრებაზე, ან კიდევ დროულად არ ან ვერ ასაჩივრებს იმ საპროცესო ხარვეზს, რომელიც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა. ამდენად, ეს წესი ვრცელდება მხოლოდ უარსაყოფ, მაგრამ არა ისეთ საპროცესო ხარვეზებზე, რომლებიც გასათვალისწინებელია საკუთარი ინიციატივით. თუმცა ეს არ გამორიცხავს ასევე ისეთი სახის საპროცესო ხარვეზების გამოყენებას, რომლებიც განაპირობებენ კასაციის დასაშვებობას. გამოყენების აუცილებლობა ცხადყოფს, რომ კასაციის დაშვების დებულებები, საპროცესო ხარვეზის გამო, მორგებულია არა სააპელაციო სასამართლოს დაშვებაზე, არამედ კასაციის დაუშვებლად ცნობის საჩივარზე.⁴⁰⁰

ერთის მხრივ, სააპელაციო სასამართლო მხოლოდ უკიდურეს გამონაკლის შემთხვევებში დაუშვებს კასაციას მის მიერ დაშვებული საპროცესო ხარვეზის გამო, რადგან ის, როგორც წესი, გამომდინარეობს ჯეროვნად განხორციელებული სამართალწარმოებიდან. მეორეს მხრივ კი, მონაწილეებმა შეიძლება საჩივრის მეშვეობით გაასაჩივრონ ისეთი საპროცესო ხარვეზები, რომლებმაც თავი იჩინეს მხოლოდ სამოტივაციო ნაწილში ან საქმის ზეპირი განხილვის დროს. საპროცესო ხარვეზის

³⁹⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 150-151.

⁴⁰⁰ იქვე, გვ. 151.

გასაჩივრების აუცილებლობა არის ფაქტობრივი გარემოების ნიშანი კასაციის დაუშვებლად ცნობის საჩივრის დასაშვებად და საჩივრის ფორმის დასაშვებად. ანუ, მას აქვს ორმაგი დატვირთვა. ⁴⁰¹

მაგალითად გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს კასაციის დაშვებას გარკვეული საპროცესო ხარვეზებისათვის. უწინარეს ყოვლისა, სააპელაციო სასამართლოს ვალდებულების დარღვევა, არ დააკმაყოფილოს შუამდგომლობა და არ დაჰკითხოს ექიმი, როგორც ექსპერტი. სასამართლოს თავისუფალი რწმენის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების, დარღვევაც არ ამართლებს კასაციის დაშვებას. ძირითადად, აქ საქმე ეხება მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა თავისუფლად შეფასებას. დაბოლოს, ინკვიზიციურობის პრინციპის დარღვევამაც შეიძლება განაპირობოს კასაციის დაშვება, როდესაც სასამართლომ საკმარისად არ განიხილა კონკრეტული შუამდგომლობა. განსაკუთრებულად რთულია ინკვიზიციურობის პრინციპისა და მტკიცებულებათა თავისუფლად შეფასების პრინციპის ურთიერთქმედება. ⁴⁰²

3.3.3. საპროცესო ხარვეზის არსებობა

საკმარისი არა არის ხარვეზების მხოლოდ მოხსენიება, არამედ საპროცესო ხარვეზები მართლა სახეზე უნდა იყოს, რეალურად უნდა არსებობდეს. საკმარისია თუ არა უბრალოდ გასაჩივრება თუ სახეზე რეალურად უნდა იყოს კონკრეტული საპროცესო ხარვეზი? ინტერესთა იდენტური სიტუაციის დროს, საკმარისია მხოლოდ საპროცესო ხარვეზის მოხსენიება. სავალდებულო არაა კანონის შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ვინაიდან ხარვეზის არსებობის საკითხი ეხება მხოლოდ საპროცესო ხარვეზს, ეს წინაპირობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მხოლოდ კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ საჩივრის განხილვის ფარგლებში. ⁴⁰³

3.3.4. მიზეზ-შედეგობრიობა

კანონმდებლობის მოთხოვნაა, კასაციის დასაშვებად საპროცესო ხარვეზის არსებობის პარალელურად, ასევე ის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ამას. მაშასადამე, მოთხოვნაა არა ფაქტობრივი მიზეზ-შედეგობრიობა, არამედ საკმარისი შესაძლებლობა, რომ სასამართლო შეიძლება კანონდარღვევის გარეშე მივიდეს სრულიად სხვა შედეგამდე. ⁴⁰⁴

⁴⁰¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 151.

⁴⁰² იქვე, გვ. 152.

⁴⁰³ იქვე, გვ. 153.

⁴⁰⁴ იქვე, გვ. 153.

ეს განპირობებულია იმით, რომ ხშირად არადადგენადია, თუ როგორ გადაწყვეტდა სამართლებრივ საკითხს სააპელაციო სასამართლო სამართალწარმოების ნორმალური მიმდინარეობისას. განსაკუთრებით, როდესაც საპროცესო ხარვეზი, როგორც ეს ხშირად ხდება, ეხება ფაქტობრივი გარემოებების დადგენას. ამდენად, საკმარისია, პროცესის მონაწილეებს რომ ებიძგათ მათი შუამდგომლობებითა თუ სხვა არგუმენტებით სააპელაციო სასამართლოსათვის, დამატებითი მოკვლევის ჩატარება, რომელიც, შესაძლოა, მიგვიყვანდა სრულიად სხვა გადაწყვეტილებამდე. აქ უნდა ამოვიდეთ, როგორც საერთოდ საპროცესო ხარვეზის საკითხის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრებიდან, რადგან ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტდა სწორედ სააპელაციო და არა საკასაციო სასამართლო. ეს უკანასკნელი უნდა ამოვიდეს ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაგები მატერიალურ-სამართლებრივი მოსაზრებიდან მაშინაც კი, თუ არ იზიარებს მას. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ერთ-ერთ რომელიმე აბსოლუტურ საკასაციო მიზეზს მაშინ, კანონის ძალით, მიზეზ-შედეგობრიობა ივარაუდება. მაშასადამე, აუცილებელი აღარაა მიზეზ-შედეგობრიობის შესაძლებლობის კონკრეტულად შემოწმება და დადგენა.⁴⁰⁵

3.4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის⁴⁰⁶ თანახმად, საქართველოს უზენესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ე) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინებაში ადმინისტრაციულ საქმეზე №ბს-136-134(კ-17)⁴⁰⁷ საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების

⁴⁰⁵ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 154.

⁴⁰⁶ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

⁴⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-136-134(კ-17).

შედგება მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოთა სისტემის- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპრეტენზიო კომისიის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, კერძოდ აღნიშნული ნორმის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთან, არ არსებობს საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ასავე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ამასთან საქმის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეცებულ სამართლებრივ შეფასებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახლველად.

3.5. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი სსსკ-ის 396-ე მუხლის⁴⁰⁸ მოთხოვნათა დაცვით. მაშასადამე არსებობს თუ არა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ყველა წინაპირობა. თუ ეს წინაპირობები არსებობენ – საკასაციო სასამართლო მიიღებს საკასაციო საჩივარს მისი დასაშვებობის შესამოწმებლად, ან თუ ასეთი წინაპირობები არ არსებობენ – საკასაციო სასამართლო უარს ეტყვის კასატორს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დაუშვებელია, მაშინ ის არ უნდა იქნას მიღებული წარმოებაში, ხოლო დაუსაბუთებელი საჩივარი კი არ უნდა დაკმაყოფილდეს. საუბარია საჩივარზე „უარის თქმაზე“.⁴⁰⁹

საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა ზეპირი განხილვის გარეშე, სსსკ-ის 391-ე მუხლის⁴¹⁰

⁴⁰⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴⁰⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 187.

⁴¹⁰ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

დაფუძველზე, დასაშვებობის შემოწმების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. იგივე ვადას ითვალისწინებს სასკ-ის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.⁴¹¹

გერმანიის მიწის სასამართლოსა და უმაღლესი მიწის სასამართლოს სააპელაციო გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს ფედერალურ სასამართლო პალატაში. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 პარაგრაფის მე-3 პუნქტის⁴¹² თანახმად ფედერალური პალატის სენატები, რომელიც შედგება ხუთი პროფესიონალი მოსამართლისაგან ამოწმებენ გადაწყვეტილებას მხოლოდ სამართლებრივი თვალთახედვით. ამასთან ერთად საქმის გადასინჯვა შეიძლება, თუ ეს დაშვებულია სააპელაციო გადაწყვეტილებით, ან თუ თვითონ ფედერალური პალატა დააკმაყოფილებს დაინტერესებული მხარის მოთხოვნას. ასევე განიხილავს კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ შეტანილი საჩივრის საკითხს, როდესაც ჩანიშნულია სასამართლოს მთავარი სხდომა, ხოლო ასეთის ჩაუტარებლობის შემთხვევაში კი, საქმეს განიხილავს სამი პროფესიონალი მოსამართლით დაკომპლექტებული სასამართლო კოლეგია. საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად ვრცელდება ზოგადი საპროცესო პრინციპები, განსაკუთრებით კი, ფარული კონსულტაცია, გადაწყვეტილების უმრავლესობის წესით მიღება, გადაწყვეტილების გამოცხადება და მისი ეგზემპლარის ჩაბარება.⁴¹³

გერმანიის ფედერალურ სასამართლოში კასაციის დაშვების შემდეგი კრიტერიუმებია განსაზღვრული. კერძოდ, სამართლებრივ დავას უნდა ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა ან ხელს უნდა უწყობდეს სამართლის შემდგომ განვითარებას ან უნდა ემსახურებოდეს სამართალწარმოების ერთიანობის გაძლიერებას. სამართლებრივი დავა განიხილება სამართლებრივი ასპექტების კუთხით, ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დაადგინა გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ სავალდებულოა მესამე ინსტანციის სასამართლოსათვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აღნიშნული გასაჩივრებულია დასაშვები და დასაბუთებული წესით.⁴¹⁴

რაც შეეხება რუსეთის საკასაციო სასამართლოს უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მარტო სამართლებრივ მხარეს, არა მარტო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების გამოყენების სისწორეს, არამედ ფაქტობრივ მხარესაც.⁴¹⁵

⁴¹¹ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

⁴¹² შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. (VwGO), §10 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

⁴¹³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 186.

⁴¹⁴ იქვე, გვ. 187.

⁴¹⁵ იხ. **Н.М. Коршунов., Ю. Л. Мареев.**, Гражданский процесс, М. 2004, с. 508.

საინტერესოა იტალიის კანონმდებლობა, რომლის თანახმად, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს გვერდის ავლით.⁴¹⁶ ნახტომისებური კასაციის ინსტიტუტის გამოყენება, რაზეც ზემოთ დაწვრილებით ვისაუბრეთ. თუ საჩივრდება მხარეთა შეთანხმებით მხოლოდ გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე.

სასკ-ის 34-ე მუხლის 4-ე ნაწილის⁴¹⁷ საფუძველზე, ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადაა 6 თვე.

თუ სასამართლო საკასაციო საჩივარს დაუშვებლად მიიჩნევს პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი.

სსსკ-ის 402 მუხლის⁴¹⁸ თანახმად, თუ არსებობს საკასაციო საჩივრის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია საკასაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. იმ შემთხვევაში თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ საკითხთან დაკავშირებით განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნეს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიებით.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილი,⁴¹⁹ ითვალისწინებს საჩივრის შეტანით კანონიერი ძალის მოქმედების შეჩერებას, (სუსპენზიური ეფექტი). კანონიერი ძალის გადაღება ამ შემთხვევაში ხდება საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში საჩივარზე უარის თქმით. სუსპენზიური ეფექტი აქვს ასევე დაუშვებელ საჩივარსაც.⁴²⁰

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-6 ნაწილის⁴²¹ შესაბამისად, ამავე კოდექსის 132-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მე-3 ქვეპუნქტით⁴²² გათვალისწინებულ შემთხვევებზე (გადაწყვეტილების

⁴¹⁶ იხ. *თ. თოდრია...*, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა სასაკასაციო სასამართლოში, თბ., 2011, გვ. 24-25.

⁴¹⁷ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 4-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

⁴¹⁸ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 402-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴¹⁹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. (VwGO), §133. <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

⁴²⁰ იხ. *May A.*, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 176-177.

⁴²¹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. (VwGO), §133. <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

⁴²² იქვე, (VwGO), §132.

დაფუძნება საპროცესო ხარვეზზე). გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლო უფლებამოსილია, გააუქმოს გადაწყვეტილება და განჩინებით ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს მიწის ადმინისტრაციულ საქმეთა უმაღლეს სასამართლოს, რის გამოც გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალურმა სასამართლომ ასევე უნდა მიიღოს საჩივარი დავის საგნის გადაწყვეტილებაზე.⁴²³

სსსკ-ის 402¹-ე მუხლის⁴²⁴ საფუძველზე საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ, საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის მოთხოვნა უნდა დაასაბუთოს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს წარუდგინოს საქმესთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვის შესახებ მან უნდა აცნობოს მხარეებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. სსსკ-ის 34-ე მუხლის 3¹ და მე-4 ნაწილებით⁴²⁵ გათვალისწინებული ვადის დინება ჩერდება.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ იღებს განჩინებას და განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც უნდა გაუგზავნოს შეტყობინება მხარეებს შესაბამისი განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივარის ფარგლებში. მას არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტისა, კერძოდ „მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე,

⁴²³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 176-177.

⁴²⁴ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 402¹-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴²⁵ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის 3¹ და 4-ე ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება“.⁴²⁶

საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი ასევე შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, საქმე ექვემდებარება თუ არა უწყებრივად სასამართლოს და აქვს თუ არა მას საერთაშორისო კომპეტენცია მოცემულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა მაშინ არის დასაშვები როდესაც იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას არ ყოფილა წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, ასევე შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა.

სსკ-ის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის⁴²⁷ საფუძველზე საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები, მხოლოდ იმ გრემოებებთან დაკავშირებით, რა საფუძველითაც დაუშვა საჩივარი საკასაციო სასამართლოში.

გერმანული კანონმდებლობით ნებისმიერ შემთხვევაში, პროცესის ყველა მონაწილეს უნდა მიეცეს შეხედულების გამოთქმის შესაძლებლობა. ეს კი გამომდინარეობს საქმის ზეპირი მოსმენის პრინციპიდან. ამდენად, პროცესის ყველა დანარჩენ მონაწილეს უნდა მიეცეს საჩივრისა და მისი დასაბუთების გაცნობის შესაძლებლობა. მათ ეძლევათ პოზიციის გამოსახატავად გონივრული ვადა. ამ ვადის გასვლამდე საჩივარზე გადაწყვეტილება ვერ მიიღება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დაუშვებელია, დაუსაბუთებელი ან დასაბუთებული.⁴²⁸

⁴²⁶ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴²⁷ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34¹-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352, 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

⁴²⁸ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 186.

საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის იმ ახსნა-განმარტებებზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში.⁴²⁹

საკასაციო სასამართლოში სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება ჩაებან მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს.⁴³⁰

სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედაგება).⁴³¹

საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იწება საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც სასამართლოს მოახსენებს საქმის ვითარებას, გააცნობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლებს. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა წარმოთქვან თავიანთი სიტყვა, გააკეთონ განცხადებები დასაბუთების მიზნით.

საკასაციო სასამართლოს შეუძლია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს გადაწყვეტილება და ამის შესახებ მხარეებს უნდა აცნობოს წინასწარ.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 101-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი, ითვალისწინებს იმ სახის გადაწყვეტილებების ზეპირი მოსმენის გარეშე მიღების უფლებამოსილებას, რომლებიც არ წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებებს. მაშასადამე, სასამართლოს მთავარი სხდომა წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამგვარად, სასამართლოს მთავარი სხდომის ჩასატარებლად უნდა არსებობდეს სერიოზული არგუმენტები, რაც უკავშირდება ხარჯებსა და დროის დიდ დანახარჯს.⁴³²

თუ საჩივარი დასაშვებია, მაშინ ის დასაბუთებულია, როდესაც სახეზეა კასაციის დაშვების წამოყენებული საფუძველი. საჩივრის დაუშვებლობა (ხანდახან გავრცელებული პრაქტიკის მსგავსად) ვერ იქნება დასაბუთებული

⁴²⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 407-ე, მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴³⁰ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>.

⁴³¹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 407-ე, მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴³² შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 101-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი. მიღებული 21.01.1960. (VwGO), &101.

იმით, რომ არასაკმარისია საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის არგუმენტის მოშველიება, რადგან თავად სამართლებრივი დავა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ დავას გარკვევის აუცილებლობის, უნარიანობისა და მოქმედების არარსებობის გამო. მხოლოდ ამ საკითხების არასაკმარისი და არაამომწურავი განხილვა ამართლებს საჩივრის დაუშვებლობის ვარაუდს, მაგრამ არა არგუმენტაციის დამაჯერებლობის არარსებობა (დაუსაბუთებლობა). ძალზე მნიშვნელოვანია საჩივრის დასაშვებობასა და დასაბუთებულობას შორის განსხვავება, რადგან, გადაწყვეტილების ერთი და იგივე სამართლებრივი მოქმედებისდა მიუხედავად, შესაძლოა, ამან ზეგავლენა იქონიოს სასამართლოს შემადგენლობაზე.⁴³³

საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო შებოჭილია ასევე დაშვებული საჩივრის დროს წამოყენებული არგუმენტებით. იმ შემთხვევაში, თუ რეალურად არ არსებობს მომჩივანის მიერ წამოყენებული დაშვების საფუძველი, მაშინ საკასაციო სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს საჩივარს იმ სხვა საფუძველით, რომელიც არ წამოუყენებია მომჩივანს. განსხვავებული წესი მოქმედებს მხოლოდ საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დივერგენტულობის მოტივით დაშვების შემთხვევაში. ადმინისტრაციული საპროცესო, კოდექსით გათვალისწინებულ საპროცესო ხარვეზების სამართალწარმოებაში, საკუთარი ინიციატივით ვერ გადაისინჯება საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა და დივერგენტულობა.⁴³⁴

საჩივრის განხილველმა სასამართლომ არ უნდა გადასინჯოს (გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს კასაციის წარმოებაში მიუღებლობის გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, არსებობს თუ არა კასაციის დაკმაყოფილების პერსპექტივა, არამედ შემოიფარგლოს იმით, არსებობს თუ არა რეალურად საჩივრის დასაბუთებაში მოხსენიებული დაშვების საფუძველი. უწინარეს ყოვლისა, სასამართლომ უნდა გაუძლოს ცდუნებას, საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებით არ გააკეთოს ასევე კასაციაზე წინასწარი დასკვნები. იმ შემთხვევაში, თუ დაშვების საჩივარში მითითებული საფუძველი რეალურად არსებობს, კასაცია იმ შემთხვევაშიც უნდა იქნას დაშვებული, როდესაც არ არსებობს კასაციის დაკმაყოფილების შესაძლებლობები. საჩივარი ხშირად არ დაკმაყოფილდება იმის გამო, რომ მასში წამოყენებული სადავო სამართლებრივი საკითხი არ არის გარკვევის უნარიანი მნიშვნელობის უქონლობის გამო ან კიდევ არსებულ დივერგენტულობასა და საპროცესო ხარვეზს აკლია მიზეზ-შედეგობრიობა გადაწყვეტილების შედეგისათვის.⁴³⁵

⁴³³ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 184-185.

⁴³⁴ იქვე, გვ. 185.

⁴³⁵ იქვე, გვ. 185.

იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი დასაშვები და დასაბუთებულია, მაშინ საკასაციო სასამართლო უშვებს კასაციას. ბუნებრივია, დაშვება შემოიფარგლება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილით, როდესაც სახეზეა მხოლოდ დაშვების წამოყენებული საფუძველი.⁴³⁶

თუ საკასაციო სასამართლო ზღუდავს დაშვებას, აუცილებელი არ არის საჩივარზე უარის თქმა. ამ შეზღუდვიდან გამომდინარეობს გადაწყვეტილების გამოყოფადი ნაწილის დაუშვებლობა შესაბამისი შედეგებით. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი შემოიფარგლა საჩივარსა და მის დაშვებაში გადაწყვეტილების გამოყოფადი, გამიჯვრადი ნაწილით, მაშინ სასამართლო უნდა შემოიფარგლოს დაშვებისას სწორედ ამ მოთხოვნით. ამდენად, სახეზეა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან განსხვავება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკუთარი ინიციატივით, შუამდგომლობით ბოჭვის გარეშე, დაშვების საკითხი. საჩივარზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ასევე გასაჩივრების წესსაც, რადგან, მისი ჩაბარებით, იწყება საკასაციო ვადის ათვლა.⁴³⁷

როგორც წესი, საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა იქნას დასაბუთებული გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილის ⁴³⁸შესაბამისად. შეიძლება უარი ითქვას დასაბუთებაზე, იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთება ხელს ვერ შეუწყოს დაშვების წინაპირობების გარკვევას. დასაბუთება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ორიენტირებულია ცალკეულ შემთხვევებზე. განჩინება არ უნდა დასაბუთდეს, როდესაც საჩივარი ერთხმად არ დაკმაყოფილდება ან უარი ეთქმება. ამ შემთხვევაში, მომჩივანს უნდა ეცნობოს მისი საჩივრის დასაშვებობისა თუ დასაბუთებულობის მიმართ ეჭვები იმ მითითებით, გამოთქვას საკუთარი შეხედულება შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში. განჩინებას ხელს აწერენ განხილვაში მონაწილე მოსამართლეები. ⁴³⁹ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო დასაბუთებული საჩივრით დაუშვებს კასაციას, მაშინ საჩივარზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილების ჩაბარებისთანავე, იწყება საკასაციო ვადის ათვლა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით საჩივარზე დაწყებული წარმოება გრძელდება საკასაციო

⁴³⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 187.

⁴³⁷ იქვე, გვ. 187.

⁴³⁸ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. 133-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი, (VwGO), §133 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

⁴³⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 188-189.

სამართალწარმოების სახით (გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი⁴⁴⁰).

საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ საკასაციო სასამართლოსათვის, განურჩევლად იმისა, დადებითია ის თუ უარყოფითი. საკასაციო სასამართლო ვერც შეცვლის მას და ვერც გაუთვალისწინებელს დატოვებს საკასაციო სამართალწარმოებაში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა თუ შეცვლის შესაძლებლობა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ შეიძლება განაპირობოს გადაწყვეტილების გადასინჯვა და ხელახალი გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დამატებით ხდება კონსტიტუციური პრინციპის, მათ შორის, ზეპირი მოსმენის პრინციპის გათვალისწინება.⁴⁴¹ ამ შემთხვევაში, პროცესის მონაწილე არ არის აუცილებლად დამოკიდებული საკონსტიტუციო საჩივარზე.

3.6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სავალდებულო ელემენტია. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის მოთხოვნას ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაც. მაგალითად გერმანული კანონმდებლობის მიხედვით საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობისათვის აუცილებელია იმ გარემოებებზე მითითება, საიდანაც მომდინარეობს სამართლდარღვევა, როგორც მატერიალური ისე პროცესუალური თვალსაზრისით. ამასთან ამ გარემოებებზე მითითება ზუსტად და ამომწურავად უნდა მოხდეს. დასაბუთება მიმართული უნდა იყოს იმ გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ საფუძვლების წინააღმდეგ და გასაქარწყლებლად, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ემყარება.⁴⁴²

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ: 1. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; 2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; 3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება

⁴⁴⁰შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. 139-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, (VwGO), §139 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

⁴⁴¹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 189-190.

⁴⁴² იხ. **Thomas H., Reichold K., Putzo H., Hüsstege R.**, Zivilprozessordnung, Kommentar, Verlag C.H. Beck, München, 2002. S. 896; იხ. **Lüke .W.**; Zivilprozessrecht, Beck, 7; Auflage, München, 1999. S. 323-324.

არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.⁴⁴³

საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი და გლისხმობს არა მხოლოდ კანონს არამედ სხვა კანონქვემდებარე აქტებსაც, რომლებიც კანონის რეალიზაციის მიზნითაა მიღებული შესაბამისი ორგანოების მიერ, აგრეთვე საპროცესო სამართლის ნორმებს, რომელთა დარღვევა შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, როდესაც ასეთ დარღვევას შეეძლო გამოეწვია საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა უნდა ემსახურებოდეს კანონის - მატერიალური თუ საპროცესო სამართლის ნორმების დაღვევის ჩვენებას, ასეთი დარღვევის არსებობის დადასტურებას⁴⁴⁴

იმის დადგენა ჰქონდა თუ არა ადგილი კანონის დარღვევას ან დარღვეულია თუ არა კანონი სასამართლოს მიერ, რომელზეც იგი ამყარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, ეს არის საკითხი რომელიც უნდა გაირკვეს და გადაწყდეს საკასაციო საჩივრის მიღებისა და არსებითად განხილვის შედეგად. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმება ხდება საკასაციო საჩივრის დაშვებისა და მისი განსახილველად მიღების შემდეგ. ამიტომ საკასაციო საჩივრის დაშვებამდე კიდევ რომ ჩანდეს, რომ მასში მითითებულ კანონის დარღვევას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, საკასაციო სასამართლო ვერ ჩათვლის ამ საჩივარს დაუშვებლად, ვერ დატოვებს მას განუხილველად.⁴⁴⁵

უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლო არ არის შებოჭილი საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევის შემოწმების ფარგლებით. მას შეუძლია და ვალდებულიცაა შეამოწმოს კანონის დარღვევის სხვა შემთხვევებიც თუ ადგილი ჰქონდა ასეთი სახის დარღვევებს. მნიშვნელოვანია და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობა, როდესაც ეს საჩივარი ეფუძნება საპროცესო ნორმების დარღვევას. იმის გათვალისწინებით თუ რომელი კონკრეტული საპროცესო ნორმის დარღვევას ემყარება საკასაციო საჩივარი, შეიძლება საჭირო გახდეს საქმეში არსებული მასალების მათ შორის მტკიცებულებების შემოწმება და შეფასება.⁴⁴⁶

მაგალითად გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმება არა ფაქტობრივი არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. დაუშვებელია ახალი ფაქტების წარდგენა.

⁴⁴³ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 410-ე, მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴⁴⁴ იხ. **გ. სრუსტალი**, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 57.

⁴⁴⁵ იქვე, გვ. 58.

⁴⁴⁶ იქვე, გვ. 60.

გადაწყვეტილების გადასინჯვა სორციელდება მხარეთა იმ ახსნა-განმარტების საფუძველზე, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან სხდომის ოქმშია ჩამოყალიბებული. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს ატარებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფაქტების დაგენისას ადგილი ჰქონდა პროცესუალურ დარღვევებს. საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტების წარდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც მათი საშუალებით ხდება პროცესუალური ნაკლის დარღვევის დასაბუთება. ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც საჭიროა საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების დასაშვებობის წინაპირობის დადასტურება.⁴⁴⁷

ქართული კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია საკასაციო სასამართლოში ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა.⁴⁴⁸

საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ: 1. საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; 2. არსებობს სსს-კის 396 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები გარდა „გ“ და „ე“ პუნქტებისა. კერძოდ: 1. საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; 2. სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; 3. გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; 4. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; 5. გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი; 6. გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ; 7. საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით საჩივარზე უარის თქმის, მათ შორის, ქვემდგომ სასამართლო ინსტანციაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს

⁴⁴⁷ იხ. *Lüke .W.*, Zivilprozessrecht, Beck, 7; Auflage, München, 1999. S. 314-324

⁴⁴⁸ იხ. *შ. ქურდაძე*, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2006, გვ. 86.

გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 133-ე პარაგრაფის მე-5 ნაწილი. რადგან დასაშვები კასაცია ვეღარ შეიტანება.⁴⁴⁹

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ საქმე საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად უკან უბრუნდება საქმის განმხილველ სასამართლოს.

გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლოს საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებაში. იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 132-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები (საპროცესო ხარვეზი), მაშინ გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილებაა, დაუშვას კასაცია ან კიდევ გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კასაციის დაშვების გარეშე და ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს საქმე სააპელაციო სასამართლოს.⁴⁵⁰

ამ შემთხვევაში, საქმის უკან დაბრუნება არ განიხილება, საკასაციო სასამართლოს, ხარვეზის მიუხედავად, ამომწურავად რომც შეეძლოს გადაწყვეტილების მიღება. მსგავსი შემთხვევა დასაშვებია მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სხვა მოტივით სწორია მიზეზ-შედეგობრივი საპროცესო ხარვეზისდა მიუხედავად. ამ შემთხვევაში, კასაცია უნდა იქნას დაშვებული (დასაბუთებული საჩივრის მსგავსად), ხოლო საჩივარზე წარმოება კი უნდა გაგრძელდეს საკასაციო სამართალწარმოების სახით (გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი⁴⁵¹). კანონი ერთგვარად ამოკლებს სავალდებულო კასაციასა და მიზნად ისახავს სამართალწარმოების საპროცესო-ეკონომიური მოტივით შემოკლებას. კასაციის დაშვებას ბევრად უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა ვადებისა და განსახორციელებელი საპროცესო მოქმედებების გამო.⁴⁵²

⁴⁴⁹ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 189.

⁴⁵⁰ იქვე, გვ. 189.

⁴⁵¹ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 21.01.1960. 139-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, (VwGO), §139 <http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/BJNR000170960.html>.

⁴⁵² იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 188.

საინტერესოა საკითხი, რომელიც ეხება კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინების მიმართ შეტანილ საჩივარს, თუ როგორ და როდისაა შესაძლებელი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გასაჩივრება და შესწორება (არასწორად დაუშვებლობის გამო).

სსსკ-ის 374-ე მუხლის⁴⁵³ თანახმად, თუ არა არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება დაუშვებლობის გამო საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და ამ განჩინების გასაჩივრება აღარ დაიშვება.

ამ საკითხთან დაკავშირებით გერმანულ კანონმდებლობაში უფრო მეტად გასათვალისწინებელია კანონმდებლის სამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილება, აარიდოს გერმანიის უზენაეს ფედერალურ სასამართლოს დაუშვებელი კასაციების განხილვა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁴⁵⁴

როგორც წესი, საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილია ნებისმიერი მონაწილე პირი, რომელსაც, დაშვებული კასაციის შემთხვევაში, შეეძლებოდა ამ საჩივრის წარდგენა, განურჩევლად იმისა, დაკმაყოფილდებოდა თუ არა მისი კასაცია. თუმცა, საჩივრის წარდგენის შემთხვევაშიც, უნდა არსებობდეს საჩივრის წარსადგენად ზოგადად მოქმედი დასაშვებობის წინაპირობები. აუცილებელი შემხებლობა, როგორც წესი, განპირობებულია ხოლმე კასაციის დაუშვებლობით. დავის საგანზე მიღებული გადაწყვეტილებით შემხებლობა სავალდებულო არაა, რადგან საჩივრდება არა ეს გადაწყვეტილება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კასაციის დაუშვებლად ცნობის განჩინება.

იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი არ არის შემხებლობაში წარსადგენი კასაციით, მაშინ ეს ვრცელდება კასაციის დასაშვებობაზე, რომელსაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საჩივრის დასაშვებად. თუმცა, კასაციის დასაშვებობის არარსებობისას, ზოგადად არ იარსებებს დაშვების საფუძველი, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ გადასინჯვა შემოიფარგლებოდა შემხებლობის არარსებობის გამო კასაციის დასაშვებობის საკითხით, რის გამოც დაშვების საფუძვლის სახით წამოყენებული სამართლებრივი საკითხი არ იქნებოდა გარკვევის უნარიანი.⁴⁵⁵

საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილი პირია პროცესში მოწვეული მესამე პირიც, მას შეუძლია, პროცესის მთავარი მონაწილე პირების

⁴⁵³ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 374-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴⁵⁴ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S.174.

⁴⁵⁵ იქვე, გვ. 175-176.

შუამდგომლობების ფარგლებში, დამოუკიდებელი თავდაცვითი საშუალებების გამოყენება.⁴⁵⁶

გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლო მიიჩნევს, რომ მესამე პირის საჩივარი დაუშვებელია შემხებლობის არარსებობის გამო. არასწორად მიწვეული მესამე პირი მოკლებულია დავის საგანთან რაიმე შემხებლობასა და, მასთან ერთად, გადაწყვეტილების შეცვლის დაცვის ღირს ინტერესს. ამისდა მიუხედავად, ინდივიდუალური შემხებლობის საკითხი ყოველთვის კონკრეტულად უნდა გადაწყდეს.⁴⁵⁷

სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება სამართალშეფარდების აქტია რომლის მიღების კანონით დადგენილი ფორმით ჩამოყალიბებისა და დასაბუთებულობისათვის სასამართლო ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენოს სრულად და ყოვლის მომცველად, მიმართოს კანონით დადგენილ ანალოგიის პრინციპს და სამართალი გამოიყენოს მაშინაც, როცა ის კანონებში არაა მოცემული, იხელმძღვანელოს „სამართლიანობის“, „გონივრულობის“, „კეთილსინდისიერების“, პრინციპებიდან გამომდინარე, მისდოს „საკუთარ შინაგან რწმენას“, სახელმწიფო და საზოგადო ინტერესს, ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრების მიზანს და სწორედ კანონმდებლობის მიზნებისა და პრინციპების გათვალისწინებით მიიღოს კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.⁴⁵⁸

3.7. საქმის გადაცემა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატისათვის

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹ მუხლის⁴⁵⁹ თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

1. საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

იშვიათ სამართლებრივ პრობლემასთან გვაქვს საქმე, როდესაც პრაქტიკულად ეს პრობლემა საერთოდ ჯერ არ დასმულა სასამართლოების

⁴⁵⁶ შეად. გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, § 66-ე, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს, (VwGO) § 66.

⁴⁵⁷ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, unberarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 176.

⁴⁵⁸ იხ. **თ. მამაიაშვილი**, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2008, №1 გვ 111-112.

⁴⁵⁹ შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391¹ -ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

წინაშე და ამ ნორმის გამოყენების პრაქტიკა არ არსებობს, ან კიდევ როდესაც არ არსებობს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არც კანონი არც ანალოგიური კანონი და აუცილებელია სამართლის ანალოგიის გამოყენება. სამართლის ანალოგიის გამოყენება, თავისთავად მეტად რთული საქმეა, რადგან ამ დროს საქმე უნდა გადაწყდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ როდესაც ამ სირთულეს ემატება თვით საქმის სირთულეც, საკასაციო პალატას შეუძლია საქმე გადასცეს განსახილველად დიდ პალატას.⁴⁶⁰

საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ნორმის ახლებურად განმარტების აუცილებლობა, თუ სამართლებრივი პრობლემის იშვიათობა, შეიძლება განპირობებული იყო არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი არამედ საპროცესო სამართლებრივი საფუძვლებითაც.⁴⁶¹

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე - სს „პ. ი“ საქართველოს იუსტიციის საამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ აღძრული შუამდგომლობა დიდ პალატაზე საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ იმ მოტივით, რომ საქმე ეხება მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხს, ვერ იქნება გაზიარებული, რამდენადაც დიდი პალატისათვის საქმის გადაცემას საფუძვლად უნდა დაედოს ის გარემოება, რომ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ საფუძველით საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა განეკუთვნება საქმის განმხილველი საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებულ, დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის მიხედვით სასამართლო თავისი შეხედულებით და არა მხარის განცხადების საფუძველზე განსაზღვრავს საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის საქმის საქართველოს უზენაესი

⁴⁶⁰ გ. სრუსტალი., კასაცია სამოქალაქო სმართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 144-145.

⁴⁶¹ იქვე, გვ. 144-145.

სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹ მუხლის⁴⁶² პირველი ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი⁴⁶³ განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორი საკასაციო საჩივარში ვერ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეს არ გააჩნია არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ხოლო საკასაციო საჩივარს – წარმატების პერსპექტივა.⁴⁶⁴

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას);

დიდ პალატას გააჩნია იგივე მიზნები, რაც აქვს საკასაციო სასამართლოს ზოგადად. ერთიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება. მაგრამ ამ მიზნის

⁴⁶²შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 391¹ -ე მუხლი, საქართველოს პარლამენტი, #1106, 14.11.1997, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>.

⁴⁶³ შეად. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი, #2352 23.07.1999, <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view/16492>

⁴⁶⁴შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №ბს-265-257(კ-13).

რელიზაცია შეუძლებელი იქნებოდა ისეთ პირობებში, როდესაც ასეთი საკასაციო პალატა არ იზიარებს მეორე საკასაციო პალატის სამართლებრივ შეფასებას, ან კიდევ საკასაციო პალატას არ უნდა შეცვალოს მის მიერ ადრე სხვა საქმესთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასება, მის მიერ ადრე მიცემული კანონის (სამართლის ნორმის) განმარტება.⁴⁶⁵

უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის საკითხის მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის არსებობა მხოლოდ მხარისათვის, უფრო მეტიც საკასაციო სასამართლოს მიერ გამოსატანი გადაწყვეტილების ნაწილი ზოგად სამართლებრივ პრინციპს უნდა მოიცავდეს, რომელიც გადასაწყვეტი საკითხის მიმართ სამართლებრივი მართლშეგნების, სამართლებრივი სიზუსტის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.⁴⁶⁶

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

დიდი პალატას შეიძლება უამარავი საქმე გადაეცეს განსახილველად, მაგრამ იგი უნდა საჭიროებდეს საქმესთან დაკავშირებული გამოსაყენებელი ნორმის ახლებურ ინტერპრეტაციას, ახლებური განმარტების აუცილებლობას. იგულისხმება, რომ ნორმის განმარტება, რომელიც ადრე მიღებული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეცვლილი სოციალური თუ ეკონომიკური პირობების გამო საჭიროებს ახლებურ, შეიძლება ითქვას, განსხვავებულ განმარტებას.⁴⁶⁷ ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილია საქმე განსახილველად გადაეცეს დიდ პალატას.

თავი. 4 სამოსამართლო სამართალი

4.1. სასამოსამართლო სამართლის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, არსებული პრაქტიკის ანალიზი

თანამედროვე საქართველოში შეიმჩნევა სამოსამართლო სამართლის განვითარების პერსპექტივები, თუმცა ამ ეტაპზე ნაკლებად განვითარებულია, როდესაც ადგილი აქვს კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზების არსებობას, საჭირო და უცილებელი ხდება მისი შევსება სასამართლოს მიერ. ეს ყოველივე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩამოყალიბდეს და განვითარდეს სამოსამართლო სამართალი. ამ კუთხით საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილების გაზიარება.

⁴⁶⁵ გ. ბრუსტალი., კასაცია სამოქალაქო სმართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 143.

⁴⁶⁶ Jauernig O., Zivilprozessrecht, Verlag C.H. Beck, 2003, S.268.

⁴⁶⁷ გ. ბრუსტალი., კასაცია სამოქალაქო სმართალწარმოებაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2004, გვ. 144.

ადმინისტრაციული სამართლის წყაროებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასამართლო პრეცედენტსა და სასამართლო პრაქტიკას.⁴⁶⁸

პრეცედენტული სამართალი საკმაოდ გავრცელებული და მნიშვნელოვანი სამართლის წყაროა. სასამართლო პრეცედენტი ჯერ კიდევ მონათმფლობელური ეპოქიდან მომდინარეობს, ძველ რომის სამართალში იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამართლის წყაროდ ითვლებოდა.

რომის სამართალი პირველადი ფორმით ატარებდა პრეცედენტულ ხასიათს და წარმოადგენდა „მოსამართლეთა სამართალს“,⁴⁶⁹ თუმცა უნდა ითქვას, რომ პრეცედენტული სამართლის (საერთო სამართლის) სამშობლოდ მაინც ინგლისი გვევლინება, სადაც XI საუკუნიდან ის ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ავტონომიურად, რომის სამართალთან კავშირის გარეშე.⁴⁷⁰

პრეცედენტული სამართალი მოგვიანებით სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და განვითარდა, თუმცა ყოველი კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივ სისიტემაში ინტეგრაციის შემდეგ მაინც რჩება ინგლისურ ფენომენად მთელი თავისი არსით.⁴⁷¹

ყველაზე მაღალი ხარისხით სამართალთან დაკავშირებული საქმიანობა წარმოჩნდება მართლმსაჯულების სფეროში, რომლის სპეციფიკური ფორმაც – სასამართლო გადაწყვეტილებები ყოველთვის უნდა იყოს სამართლებრივი ნორმების გამოყენების შედეგი ცალკეული შემთხვევისადმი. ასე, რომ, არცერთი სამართლებრივი დავის გადამწყვეტ სასამართლო აქტს, როგორ ფართო სივრცესაც არ უნდა მოიცავდეს, მოსამართლის თავისუფალი მიხედულება, არ შეუძლია მიიღოს საგსებით თვითნებური გადაწყვეტილების ხასიათი.⁴⁷² როდესაც არსებობს სასამართლო მიხედულება ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლებრივ პრობლემას ერთადერთი სწორი გადაწყვეტა არ გააჩნია.⁴⁷³ ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც არსებობს რამოდენიმე კანონიერი შესაძლებლობა მან არჩევანი გააკეთოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

იურისპუდენციაში სამართლად განიხილავენ არა სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ გამოცემულ კანონს, არამედ სხვა წყაროებს - სასამართლო პრაქტიკას, ჩვეულებებს, დოქტრინას, ბუნებითი სამართლის

⁴⁶⁸ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатиной** . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ი. ხარშილაძე, ნ. ვსიანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 35.

⁴⁶⁹ იხ. **С. С. Алелсев**, праго: азбука- теория- философия: Опыт комплексного исследования, М. 1999, 43.

⁴⁷⁰ იხ. **Рене Давид**, Основные правовые системы современности, М. 1988, 273- 274.

⁴⁷¹ იხ. **ი. ნოზაძე**, სასამართლო პრეცედენტი ინგლისში, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბ., 2002, გვ. 153.

⁴⁷² იხ. **გ. გოგიაშვილი**, სამართლებრივი ტენდენციები, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2 , გვ. 48.

⁴⁷³ იხ. **Smith**, Judicial Rewiew of Administrative Action, 1980, page 239.

პრინციპებსა და ადამიანის იმანენტურ უფლებებს, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ კანონისაგან.⁴⁷⁴ წინა პლანზე წამოიწია სასამართლო სამართალშემოქმედების იდეა, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს უფრო დიდ როლს ვიდრე კანონის განმმტებლის როლია.⁴⁷⁵

სამოსამართლო სამართალმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ისე, რომ იგი ფაქტობრივად, პარლამენტის კანონებთან ერთად, სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ახალ წყაროდ იქცა. მოსამართლეს არ აქვს უფლება უარი თქვას გადაწყვეტილების მიღებაზე იმ მოტივით რომ კანონი არ აწესრიგებს კონკრეტულ ურთიერთობას. შესაბამისად, კანონმდებლობის სასამართლო პრაქტიკით (განმარტებებით) შეესება მოსამართლის უფლება კი არა, ხშირ შემთხვევაში მოვალეობაცაა.⁴⁷⁶

იურისპუდენციაში აღიარებულია სასამართლოს სამართალშემოქმედებითი ფუნქცია, ამის გათვალისწინებით, უნდა მივუდგეთ უფრო რთულ და წინააღმდეგობრივ საკითხს სასამართლო სამართალშემოქმედების საზღვრების შესახებ.⁴⁷⁷

ამ კუთხით პარალელს თუ გავავლებთ ქართულ ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან დავრწმუნდებით რომ მართლაც მნიშვნელოვან და აუცილებელ პერსპექტივას წარმოადგენს სამოსამართლო სამართლის გნვითარება საქართველოში, ხშირია შემთხვევები პრაქტიკაში, როდესაც უზენაესმა სასამართლომ შეიძლება გააუქმოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მოტივით რომ მას ეს ნორმა კანონმდებლობით არ ააქვს დადგენილი და პრაქტიკა სხვაგვარად აწესრიგებს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევას. ამიტომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება და განვითარება, რათა თავიდან იქნას აცილებული სასამართლო პროცესების გაჭიანურება.

სასამართლო პრაქტიკა, როგორც სამოსამართლო საქმიანობის შედეგი, არის კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას ნორმის განმარტების რეზულტატი. ეს რეზულტატი ხსნის და აღრმავებს გამოყენებული ნორმის შინაარსს, აკონკრეტებს ნორმას ერთგვარ ნორმატიული ხასიათის ფორმებში. სასამართლო პრაქტიკა ის სამოსამართლო საქმიანობაა, რომელსაც შედეგად მოსდევს ამ სამართლებრივი დებულებების შექმნა. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ სამოსამართლო პრაქტიკას მიეკუთვნება არა მხოლოდ ის გადაწყვეტილება, რომელიც აყალიბებს ახალ სამართლებრივ თეზისს არამედ ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც კონკრეტიზირდება თუნდაც ნათელი და

⁴⁷⁴ იხ. **გ. გოგიაშვილი**, სამართლებრივი ტენდენციები, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, უერთნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ. 50.

⁴⁷⁵ იქვე, გვ. 50.

⁴⁷⁶ იხ. **ს. ჩაჩავა**, სამართლებრივი ტენდენციები, ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი გადასინჯვა, სამოსამართლო სამართალი, (მომსენებელი **კარლმან გაიხი**), უერთნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002-4, გვ. 444.

⁴⁷⁷ იხ. **Fridman**, Limits of Judicial Lawmaking, 1966, page 212.

მკაფიო კანონის ნორმები ყოველგვარი განმარტების და ანალოგიის გარეშე.⁴⁷⁸

იურისპუდენციაში, სპეციალისტების ნაწილი სასამართლო პრაქტიკას მიიჩნევენ სამართლის წყაროდ. თუმცა ზოგი სადავოდ ხდის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო პრაქტიკა არის სამართლის წყარო, მაგრამ მასში ხედავენ ფაქტორს, რომელიც განსაზრვრავს სამართლის ავტორიტეტს.⁴⁷⁹

გერმანიის უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კარლმან გაისი სამოსამართლო სამართალს სასწავლო მეთოდის კლასიკურ თემად მიიჩნევს და საუბრობს იმაზე თუ რა „ფარგლებში“ და „როგორ“ უნდა იყოს დსაშეები სამოსამართლო სამართალი, ის ასევე აღნიშნავს, რომ „როგორც გერმანიაში ასევე საფრანგეთის სამართლებრივ გარემოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე ეჭვს აღარ იწვევს სამოსამართლო სამართლის არსებობის აუცილებლობა. სამოსამართლო სამართლის განვითარება უდაოდ დადებითი მოვლენაა და თანამედროვე სამართლებრივი სისტემისათვის წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.⁴⁸⁰

როდესაც ვსაუბრობთ სამართლის განვითარებაზე სამოსამართლო სამართლის მეშვეობით გასათვალისწინებელია, რომ სამოსამართლო სამართლის სავალდებულოება რადიკალურად განსხვავდება კანონის ნორმათა სავალდებულოებისაგან, სამოსამართლო სამართლის ნორმა წარმოიშობა იმ მომენტში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის. მისი მოქმედება იმით შემოიფარგლება, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური დავის გადაწყვეტისას შეიძლება ხელმძღვანელობდნენ სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებული გადაწყვეტილებით. თუმცა, იგი სავალდებულო არ არის და თვით სასამართლოებმაც შეიძლება გადაუხვიონ სამოსამართლო სამართლის ნორმებს. კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალი არ იცნობს პრეცედენტულ სამართლას, განსხვავებით ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემისაგან, რომელიც, ძირითადად, სწორედ სამოსამართლო სამართლის მეშვეობით ვითარდება. თუმცა მიუხედავად ამგვარი რადიკალური განსხვავებისა კონტინენტური ევროპისა და ანგლოსაქსური სამართლის სისტემებს შორის, აშკარაა ღვაწლი, რაც სამოსამართლო სამართალმა შეიტანა ორივე სამართლებრივი სისტემის განვითარებაში. სწორედ ამ გარემოებების გამო არის, რომ ორასი წლის წინ მიღებული საფრანგეთისა

⁴⁷⁸ იხ. *კ. ყოვიანი*, საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2007, №2, გვ. 186.

⁴⁷⁹ იხ. *Carbonier*, Droit Civil, 1971, page 376.

⁴⁸⁰ იხ. *ს. ჩახავა*, სამართლებრივი ტენდენციები, ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი გადასინჯვა, სამოსამართლო სამართალი, (მომხსენებელი *კარლმან გაისი*), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002-4, გვ. 444.

და ასი წლის წინ მიღებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსები კიდევ სიცოცხლისუნარიანები რჩებიან.⁴⁸¹

ის ფაქტი, რომ კანონები ბევრ კითხვაზე არანაირ ან მხოლოდ აბსოლუტურად გაუგებარ პასუხებს იძლევიან, თანამედროვე სამართალში ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. უფრო მეტიც კანონის არასრულყოფილება აუცილებლობადაც კი მიიჩნევა. სწორედ მოსამართლეა ის პირი, რომელიც უშუალოდ პრაქტიკაში აწყდება ამგვარ არასრულყოფილებას და რამეთუ მოვალეა გადაწყვიტოს ყოველგვარი დავა, მიუხედავად იმისა არის იგი უშალოდ დარეგულირებული კანონის ნორმით თუ არა, ნათელი ხდება ის აუცილებლობა, რასაც წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი სამართლებრივი სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.⁴⁸²

სამოსამართლო სამართლის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების როლი, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოსამართლო სამართლის გამოყენება მნიშვნელოვანია, არა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებთან მიმართებაში, არამედ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის კუთხით.

უზენაესმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციური ნორმების უშუალო გამოყენება და ამ ნორმების გათვალისწინებით კანონების განმარტება.⁴⁸³ უზენაესი სასამართლო უნდა ასრულებდეს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ასევე იურიდიული მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტებისა და მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენების კონტროლის ფუნქციას, რასაც, საბოლოოდ, მოაქვს სამართლის უნიფიკაცია. ამ ფუნქციების გათვალისწინებით: უზენაესი სასამართლო უნდა ჩამოყალიბდეს წმინდა საკასაციო ინსტანციად, რომლის მთავარი ფუნქციაც იქნება კანონის დინამიკური განმარტება და ამით სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა, თავისუფლებათა და ძირითად უფლებათა იურიდიული უსაფრთხოების შენარჩუნება და მათი დაცვა.⁴⁸⁴

⁴⁸¹ იხ. *შ. პაპუაშვილი*, სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, (მომხსენებელი ლადოჭანტურია), ჟურნალი - „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 6 №4 2003, გვ. 460.

⁴⁸² იქვე, გვ. 460.

⁴⁸³ იხ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ, თემაზე „უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება“, პრელა და ბრნო, 21-23 ოქტომბერი, 1988 წელი.

⁴⁸⁴ იხ. *გ. გოგიაშვილი*, სამართლებრივი ტენდენციები, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ 76.

4.2. საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილება

აღსანიშნავია, რომ ანგლოსაქსური სისტემის ქვეყნებში შემუშავებულია პრეცედენტების დოქტრინა, რომელიც ადგენს პრეცედენტების გამოყენების წესს და პრინციპებს.⁴⁸⁵

პრეცედენტული სამართალი (Case Law) როგორც ინგლისში ასევე საერთო სამართლის ყველა სხვა ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოების საქმიანობის შედეგად, როდესაც სასამართლო ორგანო კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას ადგენს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომელსაც სავალდებულო ძალა აქვს. ეს არის პრეცედენტი, რომლის საფუძველიც სასამართლო გადაწყვეტილებაა, ანუ არა მთლიანად გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი შეადგენს სასამართლო პრეცედენტს. საერთოდ სასამართლო გადაწყვეტილება შეიცვას, კონკრეტული საქმის ანალიზს, მის ფაქტობრივ მხარეს სამართლის ნორმის შინაარსს, რმლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების გამოტანისას და დასკვნებს. პრეცედენტი სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გვევლინება, როგორც გადაწყვეტილების „შუაგული“, „მოსამართლის სამართლებრივი პოზიციის არსი, პრინციპი, რომლის საფუძველზეც არის გამოტანილი გადაწყვეტილება.“ - radio desidenti, გარდა ამისა სასამართლო გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია obiter dictum – გზად ნათქვამი „განცხადება იმ საკითხზე რომელიც არ არის გადაწყვეტილების საგანი“. მისი მნიშვნელობა შემოიფარგლება ამა თუ იმ პრინციპის დეკლარირებით და დამოკიდებულია მოსამართლის ავტორიტეტზე.⁴⁸⁶

თუ radio desidenti უკვე თავისთავად არის პრეცედენტი, obiter dictum შეუძლია ასეთად „გადაიქცეს“ მხოლოდ დამაჯერებლობის მაღალი ხარისხის მეშვეობით. აქვე უნდა დინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ამ ნაწილების ერთმანეთისაგან გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ვინაიდან როგორც ბოგდანოვსკაია აღნიშნავს, „მათი გამოყოფის მეთოდოლოგია ბოლომდე არ არის შემუშავებული“.⁴⁸⁷

ანგლოსაქსური სისტემის ქვეყნებში ადმინისტრაციული სამართალი XX-ე საუკუნეში ჩამოყალიბდა. იმ დროს გაბატონებული იყო პარლამენტის უზენაესობის დოქტრინა, რომლის თანახმად სამართლის ძირითად წყაროდ აღიარებული იყო კანონმდებლობა. სასამართლო პრეცედენტის, როგორც სამართლის წყაროს მნიშვნელობა, ამ მიზეზის გამო, ადმინისტრაციულ

⁴⁸⁵ იხ. **Кросс Р.**, Прецедент в английском праве. М., 1985; **Апарова Т. Б.**, Суды и судебный процесс Великобритании. Англия, Уэльс, Шотландия. М., 1996, с. 13-14.

⁴⁸⁶ იხ. **ა. ნოზაძე.**, სასამართლო პრეცედენტი ინგლისში, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინჭორველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბ., 2002, გვ. 154.

⁴⁸⁷ იქვე, გვ. 154.

სამართალში გაცილებით მცირეა. ვიდრე კონსტიტუციურ და სამოქალაქო სამართალში.⁴⁸⁸

ინგლისში საპარლამენტო აქტებს შეუძლიათ გააუქმონ პრეცედენტები და მოსამართლეთა მიერ დადგენილი სხვა სამართლებრივი ნორმები. მოსამართლეთა საკანონმდებლო ძალაუფლება არის დაქვემდებარებული ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება პარლამენტის თანხმობითა და კონტროლით.⁴⁸⁹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრეცედენტის სამშობლოდ მიჩნეული არის ინგლისი. იშვიათი გამონაკლისების გარდა იგი წარმოადგენს, სამართლის წამყვან წყაროს თითქმის ყველა ინგლისურენოვან ქვეყანაში. აღნიშნული ქვეყნები წარმოადგენენ ანგლოსაქსურ (ანგლოამერიკულ) სამართლებრივ ოჯახს, სადაც განსაკუთრებულ როლს ასრულებს სასამართლო პრეცედენტი. ინგლისში სასამართლო ზოგჯერ იყენებს ისეთ პრეცედენტებს, რომელთა ასაკი 300 და 400 წელია. პრეცედენტული სამართალი გულისხმობს მრავალი დეტალური ნორმის არსებობას. თანამედროვე ინგლისის სამართალი სასამართლო გადაწყვეტილებათა სულ ცოტა 1000 ტომისგან შედგება.⁴⁹⁰

სასამართლო ორგანოებისა და მოსამართლის განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებლისა და სამართალსემოქმედებისა, მუდავნდება სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების სიზუსტესა და ეფექტურობაში.⁴⁹¹

იმ პრინციპს, რომელიც პრეცედენტის დაცვის ვალდებულებაზე მიგვიითითებს ეწოდება (star decisis- გადაწყვიტე ისე, როგორც გადაწყვეტილი იყო ადრე). ინგლისში პრეცედენტული სამართლის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ აქ განსხვავებით, მაგალითად აშშ-საგან ე.წ. stare decisi (ამერიკულად – star decisis) –პრეცედენტის წესი მოქმედებს შემდგომი რაოდენობის შემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება ქვემდგომი სასამართლოსათვის სავალდებულოა: აგრეთვე, როგორც წესი, სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა იმავე ინსტანციის ადრე მიღებული გადაწყვეტილებით.⁴⁹²

პრეცედენტული სამართალი შედგება მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში შექმნილი და გამოყენებული

⁴⁸⁸ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатиной** . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ო. ხარშილაძე, ნ. თესანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ 36.

⁴⁸⁹ იხ. **გ. გოგიაშვილი**, სამოსამართლო სამართალი, თბ., 2014, გვ. 40.

⁴⁹⁰ იხ. **S.B. Marsh., I. Soulsby.**, Outlines of English Law, 5th. Edition, London, 1980, page. 22.

⁴⁹¹ იხ. **S.B. Marsh., I. Soulsby.**, Outlines of English Law, 5th. Edition, London, 1980, page. 24.

⁴⁹² იხ. **ო. ხარშილაძე**, სასამართლო პრეცედენტი ინგლისში, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბ., 2002, გვ. 154.

ნორმებისა და პრინციპებისაგან. თითქმის ყველა ქვეყანაში სასამართლო პრეცედენტი ამა თუ იმ ხარისხით ფლობს თავის მარწმუნებელ ძალას.⁴⁹³

საერთო სამართალი შესაძლებლობას აძლევს მოსამართლეს მხოლოდ მაშინ იხელმძღვანელოს ძველი გადაწყვეტილებით, თუ კი დაადგენს ანალოგიას ამ გადაწყვეტილებასა და განსახილველ საქმეს შორის, მაგრამ ყოველი რადიო დეციდენდი ემყარება არსებით ფაქტებს ხოლო ორი აფსოლუტურად ერთნაირი, იდენტური საქმე თითქმის არ არსებობს, მოსამართლეს ეძლევა შესაძლებლობა, განაცხადოს, რომ პრეცედენტი და მოცემული კონკრეტული საქმე არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგანაც საქმეში არის არსებითი ფაქტები, რომელიც არ არის მათთვის საერთო.⁴⁹⁴ თუ მოსამართლე დაადგენს, პრეცედენტის მავალდებულებებელი ძალის არსებობას, მიუხედავად იმისა მიზანშეწონილია თუ არა აღნიშნული, იგი უნდა შეუფარდოს აუცილებლად.

აშშ-ი უზენაესი სასამართლო ითხოვს „დაუძლეველ გარემოებებს ან განსაკუთრებულ გარემოებებს, ან განსაკუთრებულ მიზეზებს“, რათა გადაუხვიოს და არ დაიცვას წინა გადაწყვეტილებები.⁴⁹⁵

ინგლისური ტრადიციული დოქტრინა პრეცედენს განიხილავს, როგორც მართლწესრიგის სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის საშუალებას. პრეცედენტის გამოყენება არ არის დამოკიდებული მოსამართლის სუბიექტურ მიხედვლებაზე, ხშირად მოსამართლისათვის გაცილებით უფრო საჭიროა, იყოს ზუსტად ცნობილი, ვიდრე იდეალურად სრულყოფილი.⁴⁹⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი შებოჭილია ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუმცა, მხოლოდ მოსამართლეზე, მის მიხედვლებაზეა დამოკიდებული ზემდგომი სასამართლოს მარავალრიცხოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო, ნორმებიდან რომელს გამოიყენებს. თითოეული გადაწყვეტილების მნიშვნელობა პრეცედენტის რანგში იცვლება უთვალავ ფაქტორზე დამოკიდებულებით.⁴⁹⁷

პრეცედენტის საკითხთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა გააჩნია სასამართლოების იერარქიას. ინგლისში მხოლოდ უმაღლესი სასამართლოების მიერ იქმნება პრეცედენტი. პრეცედენტის სავალდებულო ხალა და მოქმედების ფარგლები განისაზღვრება იმით თუ რა ადგილი უკავიათ იერარქიაში: 1) ლორდთა პალატის მიერ დადგენილ

⁴⁹³ იხ. *გ. გოგიაშვილი*, სამართლებრივი ტენდენციები, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ. 62.

⁴⁹⁴ იხ. *Уолкер Р.*, Английская судебная система, М. 1980, с. 168-269.

⁴⁹⁵ იხ. *გ. გოგიაშვილი*, სამოსამართლო სამართალი, თბ, 2014, გვ. 92.

⁴⁹⁶ იხ. *გ. გოგიაშვილი*, სამართლებრივი ტენდენციები, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ. 60.

⁴⁹⁷ იხ. *R.A. Leftar.*, The task of the appellate court „, Notre dame lawyer“, 1958, page 566.

სასამართლო პრეცედენტს სავალდებულო ძალა აქვთ ყველა სასამართლოსათვის, რადგან აღნიშნული სასამართლო ინსტანცია უმაღლესია მთელ გაერთიანებულ სამეფოში; 2) სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტს სავალდებულო ძალა აქვთ ქვემდგომი სასამართლოებისათვის და თავად სააპელაციო სასამართლოსათვის გამონაკლისს წარმოადგენენ (სისხლის სამართლის საქმეები); 3) მაღალი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სავალდებულო პრეცედენტის ძალა აქვთ ქვემდგომი სასამართლოებისათვის, თუმცა ამ უკანასკნელთათვის აბსოლუტურად სავალდებულოს არ წარმოადგენს.⁴⁹⁸

პრეცედენტი განსაზღვრავს სასამართლოს როლს სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მისი გნავითარება ხდება სასამართლოს პრაქტიკის შეუცვლელად. პრეცედენტული სამართალი იქმნებოდა კონკრეტული იურიდიული საქმეების გადაწყვეტის პროცესში მოსამართლეთა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად, როდესაც საჭირო ნორმის არარსებობის შემთხვევაში მოსამართლე საქმეს წყვეტდა გონების საფუძვლზე და იღებდა გადაწყვეტილებას, რომელიც მომავალში ანალოგიური ცხოვრებისეული შემთხვევების გადაწყვეტისას გამოიყენებოდა.⁴⁹⁹

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად სასამართლო პრეცედენტი არის სამართლის წყარო, რომელიც არ შეიცავს სამართლის ნორმას. პრეცედენტს „ზოგადნორმატიული ძალა აქვს“.⁵⁰⁰

ინგლისური სამართლის ნორმები იქმნებიან მოსამართლეების მიერ, ისინი წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილების ძირითად ნაწილს, ინგლისური სამართლის ნორმა მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტულ საქმის გარემოებებს და გამოიყენება ამ საქმის ანალოგიური საქმეების გადასაწყვეტად, რომელზეც ეს გადაწყვეტილებაა გამოტანილი. ამასთან განსხვავებით კონტინენტურ ევროპაში, სამართლის ნორმებს გამოიმუშავენ დოქტრინის მეშვეობით, ან შექმნილია კანონმდებლის მიერ.⁵⁰¹

ინგლისური სამართლის ნორმა 1. დადგენილია სახელმწიფო ორგანოს მიერ, მოცემულ შემთხვევაში უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ; 2. სავალდებულო ძალა გააჩნია მომავალში ანალოგიური საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას, მრავალჯერადი გამოყენებისა; 3. მათი დაცვა დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესასბამისი სასამართლო განაჩენის თუ გადაწყვეტილების გაუქმების გზით; 4.

⁴⁹⁸ იხ. *Рене Давид*, Основные правовые системы современности, М. 1988. с. 319.
⁴⁹⁹ იქვე, გვ. 319.
⁵⁰⁰ იხ. *ბ. სავანელი*, სამართლის თეორია, თბ., 1993, გვ. 38.
⁵⁰¹ იხ. *ი. ნოზაძე*, სასამართლო პრეცედენტი ინგლისში, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბ., 2002, გვ. 158.

ადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს.⁵⁰²

როდესაც ბუნდოვანია კანონის დებულებების განმარტება ასეთ შემთხვევებში სასამართლო ქმნის განმარტების პრეცედენტებს,⁵⁰³ რომელის საფუძველსაც წამოადგენს კანონი.

საერთო სამართლის სისტემაში, მუდმივად ხდება ახალი ნორმების შექმნა. ინგლისურ სამართალს აქვს შესაძლებლობა იყოს დინამიური და ყოველთვის დროსთან შესაბამისი. სწორედ ამიტომ მოსამართლეთა სამართალშემოქმედება დასაშვებია და სასარგებლოც კია.⁵⁰⁴

XIXს-ის 30-იანი წლებიდან სასამართლო პრეცედენტის ინსტიტუტმა დაკარგა ის ადგილი, რომელიც მას აქმადე ეჭირა სამართლის წყაროთა სისტემაში და შეიცვალა მისი ფუნქციური მნიშვნელობა. თუ უწინ მოსამართლეთა პასუხისმგებელი იყვნენ სამართლის უდიდესი ნაწილის განვითარებისათვის, ახლა მათი ამოცანა ძირითადად შემოიფარგლება კანონში გამოხატული სამართლის განმარტებით.⁵⁰⁵

4.3. კონტინენტური სამართლის ქვეყნების გამოცდილება

კონტინენტური სამართლის ოჯახის ქვეყნებში სამართლებრივმა დოქტრინამ მთლიანად უარყო პრეცედენტების დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკას არ თვლის სამართლის წყაროდ. მაგრამ ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლო პრაქტიკამ იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა ადმინისტრაციულსამართლებრივი სფეროს ფორმირებაზე, რომ ბევრი მკვლევარი აღიარებს შემდეგ დებულებას: ადმინისტრაციული სამართალი, ფაქტობრივად ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ.⁵⁰⁶ რომელთა უფლებამოსილებაში არ შედის სამართლებრივი ნორმების დადგენა. ისინი ქმნიან დოქტრინებსა და პრინციპებს, რის საფუძველზეც ხდება კონკრეტული საქმეების განხილვა და გადაწყვეტა.

კონტინენტური ქვეყნების მოსამართლეს, ისევე როგორც ინგლისელს, უეჭველად ყოველთვის სურდა სამართლის მდგრადობა. ამ მიზნით ის პირველად ეყრდნობოდა რომაულ სამართალს და კოდიფიკაციის წესებს,

⁵⁰² იხ. *ო. ნოზაძე*, სასამართლო პრეცედენტი ინგლისში, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბ., 2002, გვ. 160.

⁵⁰³ იხ. *Боботов С. В.*, Буржуазные концепции судейского нормотворчества. 1986. 2, с. 98.

⁵⁰⁴ იხ. *ო. ნოზაძე*, სასამართლო პრეცედენტი ინგლისში, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბ., 2002, გვ. 163.

⁵⁰⁵ იქვე, გვ. 164.

⁵⁰⁶ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. *А. Н. Козирина и М. А. Штатинной*. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: *ო. ხარშილაძე*, *ნ. ოესიანიკოვა*, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 36.

მოგვიანებით ნაპოლეონის ეპოქის კოდექსებს.⁵⁰⁷ რომაული სამართლის საფუძველზე შეიქმნა რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახი, რომლის ძირითადი სამართლის წყაროს წარმოადგენს კანონი, როგორც სამართლის უპირველესი, ხოლო პრეცედენტი დამხმარე წყაროს.⁵⁰⁸ რომანულ-გერმანული სამართალი რომის სამართლის რეცეპციის შედეგად აღმოცენდა, მისი ევოლუციის შედეგია, მისი გაგრძელებაა.

რომანულ-გერმანულ სამართალს გონების და უნივერსიტეტების სამართალს⁵⁰⁹ უწოდებენ. XII-XVI საუკუნეებში იტალიაში, ბოლონიის უნივერსიტეტში რომის სამართლის შესწავლის საფუძველზე შეიქმნა აღნიშნული რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახი.

ძირითადი პრინციპი, რომელიც დაცულ უნდა იქნეს მართლმსაჯულების განხორციელებისას, ესაა - მსგავსი საქმეები მსგავსად წყდება. ამ საერთო მიზნის მისაღწევად კონტინენტური სამართლის სისტემა და საერთო სამართლის სისტემა სხვა და სხვა ხერხს მიმართავს, სწორედ ეს განაპირობებს თავის მხრივ, მათ შორის განსხვავებას. თითოეულმა სამართლებრივმა სისტემამ ევოლუციის განსხვავებული გზა განვლო.⁵¹⁰

სამართლებრივი დოქტრინა თავდაპირველად უარყოფდა მოსამართლეების მიერ სამართლის ნორმების შექმნის შესაძლებლობას. მოგვიანებით მოსამართლეს მიეცა შესაძლებლობა აღმოეფხვრა კანონში არსებული ხარვეზები მცირედი განმარტებების საფუძველზე. კიდევ უფრო მოგვიანებით სამართლებრივმა დოქტრინამ აღიარა სასამართლო პრაქტიკის ნორმაშემოქმედებითობა, მისი მიზანშეწონილობა, რაც გამომდონარეობს სამართლებრივი მოთხოვნების სოციალური პრაქტიკის საჭიროებებთან ადაპტაციის აუცილებლობით.⁵¹¹ თუმცა იგი ჩვეულებით სამართალად მიიჩნია. XX -ე საუკუნიდან სასამართლო პრაქტიკა უკვე აღიარებულია, როგორც სამართლის დამოუკიდებელი წყარო.

სასამართლო და ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა, მოსამართლის გადაწყვეტილება დამოკიდებულია, იმ ნორმატიულ აქტზე, რომელიც მას საფუძველად უდევს. კანონის ინტერპრეტაცია უნდა მოახდინოს მოსამართლემ. ეს ინტერპრეტაცია თავისთავად წარმოადგენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც სოციალურ კონტექსტში გაცილებით უფრო დიდი ფასი აქვს, ვიდრე საკანონმდებლო ხელისუფლების აბსტრაქტულ ენას.⁵¹²

⁵⁰⁷ იხ. *გ. გოგიაშვილი*, სამართლებრივი ტენდენციები, როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ. 60.

⁵⁰⁸ იხ. *ი. ნოზაძე*, მოსამართლეთა სამართალშემოქმედება რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2008, გვ. 23.

⁵⁰⁹ იხ. *В. М. Корельского и В. Д. Первалова*, Теория государства и права. М. 1997, с. 519.

⁵¹⁰ იხ. *გ. გოგიაშვილი*, სამოსამართლო სამართალი, თბ, 2014, გვ. 78.

⁵¹¹ იხ. *Tate N.*, Judicial institution in Cross-national perspective: toward integrating Courts into the Comparative Study of the Politics, Oxford, 1981. Page. 1.

⁵¹² იხ. *Eckhoff T.*, Justice, it's determination in social interaction Rotterdam, 1974, page. 114-115.

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგი მეცნიერი თვლის, რომ მოსამართლემ არა მხოლოდ კანონის საფუძველზე შეიძლება შექმნას ახალი სამართლებრივი ნორმა, არამედ სამართლიანობის პრინციპზე აპელირებითაც.⁵¹³

სასამართლო ხელისუფლება თავისი უფლებამოსილების მატერიალიზებას ახდენს სასამართლო გადაწყვეტილებებით, განჩინებებით, განაჩენებითა და დადგენილებებით. სწორედ მათი ერთობლიობა წარმოადგენს სასამართლოს საქმიანობის შინაარსს, ხოლო სასამართლო პრაქტიკა არის უმაღლესი სასამართლო ინსტანციების პრინციპული გადაწყვეტილებების ერთობლიობა სამართალგამოყენების საკითხებზე.⁵¹⁴

მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად ნიდრლანდები, ბრაზილია, კოლუმბია მიხნეულია, რომ სასამართლო არ ქმნის სამართალს იგი მხოლოდ უფარდებს შესაბამის ნორმებს. ძირითად წყაროდ აღიარებულია და გაბატონებულია კანონი. ითვლება, რომ სასამართლო პრეცედენტი არის მნიშვნელოვანი, თუმცა სამართლის კანონქვემდებარე წყაროს წარმოადგენს. საფრანგეთისა და გერმანიის უმარლესი სასამართლო დაწესებულებების გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა ქეთ არა მხოლოდ კანონის შეფარდების, არამედ კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაშიც. ისინი ადგენენ არა მხოლოდ კანონის შეფარდების ერთგვაროვან წესებს, არამედ პრეცედენტის რანგში აყავთ მოსამართლის მიერ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც მაგალითად ანალოგიასა თუ ზოგად პრინციპს ეფუძნება.⁵¹⁵

დ ა ს კ ე ნ ა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავს ქართული ადმინისტრაციული სამართლისა და საზღვარგარეთის ყვეყნების, კერძოდ გერმანული მოდელის, კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საკასაციო სამართალწარმოების, კერძოდ, საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემატური საკითხების გამოკვეთას და მათი შესაძლო გადაჭრის გზების მოძიებას.

კასაცია არის პროცესის მონაწილეთა ხელთ არსებული გასაჩივრების უკანასკნელი საშუალება, რომლის მიზანიცაა დავის საგანზე კასაციის დასაშვებობისას, ანუ, კონკრეტული საქმის განსაკუთრებული სამართლებრივი და ფინანსურ-ეკონომიკური დანიშნულების არსებობისას, დავის საგანზე მართებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და

⁵¹³ იხ. *ო. ნოზაძე*, მოსამართლეთა სამართალშემოქმედება რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2008, გვ. 26.

⁵¹⁴ იხ. *ო. მელქაძე, ბ. დვალი*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბ., 2000, გვ. 59.

⁵¹⁵ იხ. *ო. ნოზაძე*, მოსამართლეთა სამართალშემოქმედება რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2008, გვ. 27.

პროცესის მონაწილეთა შორის არსებული დავის საბოლოოდ დასრულება. ბუნებრივია, ერთიანი სასამართლო პრაქტიკისა და სამართლის განვითარების საყოველთაო ინტერესი განაპირობებს კონკრეტული დავის საგანზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას. თუმცა, იმავდროულად, კასაციის არსი განპირობებულია საკასაციო სასამართლოს შეზღუდული უფლებამოსილებით, გამოიყენოს მხოლოდ გადასინჯვადი სამართლებრივი ნორმები და მასთან დაკავშირებული აკრძალვით, თავადვე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები.

დასაბუთებულია თუ დაუსაბუთებელი კასაცია, უფრო გამომდინარეობს მატერიალური სამართლიდან. საპროცესო-სამართლებრივი დებულებები მხოლოდ გვიჩვენებენ გზას, რომელიც სასამართლომ უნდა განვლოს, პროცესის მონაწილეთა ჩართულობით, მართებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად. ამდენად, აქ გაბატონებულია საპროცესო მიზანშეწონილობისა და ეკონომიურობის პრინციპები. თუმცა ეს გასავლელი გზა არ რჩება მხოლოდ სასამართლოსა თუ პროცესის მონაწილე მხარეთა ანაბარა. ყველაფერი ნაწილობრივ დამოკიდებულია იმპერატიულ სამართლებრივ ნორმებზე. ამდენად, სასამართლო ვერ დატოვებს მისთვის მიზანშეწონილი მიზეზით გაუთვალისწინებელს საპროცესო-სამართლებრივ დებულებებს და შეუძლია, განვლოს ეს მისთვის მიზანშეწონილი გზა. კანონი ზუსტად განუსაზღვრავს სასამართლოს იმას, რაც მიზანშეწონილი და ეკონომიურია საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლომ კი უნდა შეასრულოს ეს დაწერილი ნორმები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ექნება საპროცესო მიზანშეწონილობის სრულიად სხვა წარმოდგენა. იმავდროულად სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს საპროცესო სამართლებრივი ნორმები და გაითვალისწინოს მიზანშეწონილობა და საპროცესო ეკონომია განმარტების კრიტერიუმებად.⁵¹⁶

-მიგვაჩნია, რომ კანონის განმარტების საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმიანობაში, მის უფლებამოსილებაში, რომელიც პრეცედენტის მნიშვნელობას იძენს. კანონის განმარტება არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის, ის უნდა გამომდინარეობდეს ნორმის შინაარსიდან და მიზნიდან. ასევე მნიშვნელოვანია კანონის დროში გამოყენების პრინციპი.

-მნიშვნელოვად მიგვაჩნია სამოსამართლო სამართლის განვითარება, გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობისა და ქართული სამართლებრივი სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესია უზენაესი სასამართლოს როლი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის რეფორმირების საკითხი. პირველ რიგში სასურველია დაისვას საკითხი

⁵¹⁶ იხ. **May A.**, Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstgerichtlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997, S. 29.

ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის შესახებ. ამისათვის აუცილებელია მოხდეს კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერის გადახედვა, რომელიც მიუთითებს, რომ დაუშვებელია საქართველოში სპეციალური სასამართლოების შექმნა. მართლმსაჯულების მოქნილობის, სწარფად, ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საქართველოში არსებობდეს ადმინისტრაციულ სასამართლოთა ისეთი სისტემა, რომელიც დღესდღეობით ბევრ განვითარებულ უცხო სახელმწიფოს გააჩნია.

ადმინისტრაციული იუსტიცია, როგორც იურისდიქციული კონტროლის ფორმა, რომელიც თანამედროვე უცხო ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი, მაგალითად როგორებიცაა: იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა, რომლებსაც გააჩნიათ იურისდიქციული კონტროლის თავიანთი მოდელები. ადმინისტრაციული იუსტიციის ცნებაში იგულისხმება მმართველობის სფეროში კერძო პირსა და საჯარო ადმინისტრაციას შორის წამოჭრილი დავის განსაზღვრული სასამართლო საპროცესო ფორმის გადაწყვეტის წესი, რომელიც რეალიზდება სამართლებრივი კონფლიქტების გადასაჭრელად სპეციალურად შექმნილი იურისდიქციული ორგანოების საქმიანობაში. ასეთი მიდგომის დროს წინა პლანზე ადმინისტრაციული იუსტიციის წამყვანი დამახასიათებელი ნიშნის სახით, გამოდის ადმინისტრაციული დავების განსახილველად არა რაიმე სპეციალური დაწესებულების არსებობა, არამედ, იურისდიქციულ ორგანოებში მათი გადაწყვეტის სასამართლო საპროცესო წესი. მმართველობის სფეროში დავის განხილვის სასამართლო საპროცესო წესს იყენებენ ადმინისტრაციული სასამართლოები, აგრეთვე, ამა თუ იმ ზომით - კვაზისასამართლო ადმინისტრაციული ორგანოები.⁵¹⁷

შესაბამისად, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული იუსტიციის ცნებას მიაკუთვნებენ არა მარტო სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოების და ადმინისტრაციული ტრიბუნალების (კვაზისასამართლოების) საქმიანობას, არამედ საერთო სასამართლოებისასაც, რომლებიც ახორციელებენ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, როგორც სასარჩელო სამოქალაქო სამართალწარმოების ნაწილს, რაც დამახასიათებელია, მაგალითად მრავალი არაბული ქვეყნისათვის.⁵¹⁸

მაგალითად გერმანიაში ადმინისტრაციულ იუსტიციას უკავშირებენ საერთო ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლო ორგანოების (ადმინისტრაციული სასამართლოების) საქმიანობას და სპეციალურ ადმინისტრაციულ იურისდიქციას, საფინანსო, სოციალურ, დისციპლინურ სასამართლოებს, რომლებიც ფუნქციონირებენ სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში და ახორციელებენ მართლმსაჯულებას.

⁵¹⁷ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатиной**. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ი. ხარშილაძე, ნ. თესანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 281-282.

⁵¹⁸ იქვე, გვ. 282.

ადმინისტრაციული იუსტიცია ამ შემთხვევაში აღიქმება, როგორც დამოუკიდებელი სპეციალიზებული სასამართლო ხელისუფლება, რომელიც მოწოდებულია, დაიცვას კერძო პირების უფლებები და კანონიერი ინტერესები ადმინისტრაციული ორგანოების არამართლზომიერი ქმედებებისაგან.⁵¹⁹

ადმინისტრაციული იუსტიცია, როგორც ადმინისტრაციულსამართლებრივი ინსტიტუტი 1. ქმნის სამართლებრივი საშუალებების, პრინციპების და მექანიზმების სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს კერძო პირებს, სასამართლო წესით გაასაჩივრონ საჯრო ადმინისტრაციის არამართლზომიერი აქტები და დაიცვან თავიანთი სუბიექტური უფლებები; 2. განკუთვნილია დაგების გადაწყვეტისათვის, როცა მხარეები დაკავშირებულნი არიან ხელისუფლება-დაქვემდებარება ტიპის ურთიერთობებით; 3. მოიცავს მეტ-ნაკლებად სასამართლო ორგანოების სისტემას ან კვაზისასამართლო დაწესებულებებს, სპეციალურად შექმნილს ან მორგებულს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაგების გადასაწყვეტად; შესაბამისად, ეს ორგანოები იყოფა: ა) ადმინისტრაციულ სასამართლოებად, რომელთაც გააჩნიათ საერთო იურისდიქცია ადმინისტრაციული დაგების მიხედვით და დამოუკიდებელნი არიან აქტიური ადმინისტრაციისა და საერთო სასამართლოებისაგან; ბ) ადმინისტრაციულ ტრიბუნალებად ან სპეციალიზებულ ადმინისტრაციულ სასამართლოებად, რომლებიც იქმნებიან გარკვეული ტიპის ადმინისტრაციული საქმეების გადასაწყვეტად (საგადასახადო დაბეგვრა, სოციალური დაზრვევა და ა.შ.); საუწყებო „კვაზისასამართლოებად, რომლებიც წყვეტენ დავას მხოლოდ უწყების ფარგლებში. 4. ფუნქციონირებს საპროცესო ფორმით, რომელიც მთლიანობაში შეესაბამება საერთო სასამართლო პროცესის მოდელს, მიუხედავად არსებული მთელი რიგი განსაკუთრებული თვისებებისა; 5. წყვეტს დავებს სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად (უკანონოდ) ცნობის ან გაუქმების გზით.⁵²⁰

საინტერესოა ასევე ესპანეთის ადმინისტრაციული იუსტიციის მოდელი, რომელიც ემყარება სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის პრინციპს. მასში მოიაზრება სპეციალიზებული დაწესებულებების (პალატების) მოდელი, რომელიც ითვალისწინებს საერთო სასამართლოების სტრუქტურაში სპეციალიზებული ადმინისტრაციული იურისდიქციის განყოფილებების გამოყოფას. საერთო სასამართლოების ადმინისტრაციული განყოფილებები გამოდიან როგორც საერთო

⁵¹⁹ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатиной** . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ი. ხარშილაძე, ნ. თესიანიკოვა**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 283.

⁵²⁰ იქვე, გვ. 284-285.

ადმინისტრაციული იურისდიქციის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები.⁵²¹

ზოგჯერ ადმინისტრაციული იუსტიციის ცნება ემთხვევა ადმინისტრაციული იურისდიქციული კონტროლის ცნებას და შესაძლებელია მათი ურთიერთთანაცვლება. ადმინისტრაციული იუსტიციის კონკრეტული ფორმები, როგორც იურისდიქციული კონტროლის სპეციალიზებული ინსტიტუტი, დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივ ტრადიციებზე, დომინანტურ დულაისტურ მიდგომებზე, რომლებიც ეხება ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და მათი ურთიერთხემოქმედების განსხვავებულ მიდგომებს.⁵²²

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, ვფიქრობთ, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული გადაწყვეტილებები, მათი რეკომენდაციები, ძალიან მნიშვნელოვანია როგორც სამართლის განვითარებისათვის ისე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. უნდა აღინიშნოს რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მართლაც ამკვიდრებს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, თუმცა ამასთანავე უნდა ითქვას რომ გადაწყვეტილების დასაბუთებულობა უმეტეს შემთხვევებში ბუნდოვანია და საჭიროებს სრულყოფილ, საფუძვლიან დასაბუთებას. ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კრტერიუმები საკმაოდ ზუსტია და მკაცრად მოითხოვს ამ საფუძვლების გათვალისწინებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობას, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებაში უნდა მიუთითოს იმის შესახებ თუ რატომ შეესაბამება ან არ შეესაბამება საკასაციო საჩივარი კანონმდებლობით განსაზღვრულ დასაშვებობის კონკრეტულ წინაპირობებს. შინაარსობრივად განიმარტოს თუ რას გულისხმობს სამართლის განვითარებისათვის ან ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საქმე, დაშვების შემთხვევაში რაში გამოიხატება კონკრეტული საქმის განსაკუთრებული ხასიათი, განსაკუთრებული მნიშვნელობა. ასევე ხაზი უნდა გაესვას საქმის დივერგენტულობას, გადასინჯვადი სამართლებრივი საკითხების მნიშვნელობას და საპროცესო ხარვეზების არსებობას.

-მნიშვნელოვანია კიდევ უფრო გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები. გაზიარებული იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება, რაზეც ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება, კერძოდ განხილულია გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკასაციო საცივრის დასაშვებობის საფუძვლები.

⁵²¹ იხ. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. **А. Н. Козирина и М. А. Штатиной**. –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: **ი. ხარშილაძე, ნ. თესთანიაშვილი**, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2014, გვ. 285.

⁵²² იქვე, გვ. 285.

-უფრო მეტად უნდა ამაღლდეს და გამოიკვეთოს უზენაესი სასამართლოს, უპირველესი როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ უზენაესობის განმტკიცებაში. უნდა მოხდეს მოსამართლეთა როლის გაფართოება, მათი დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის განმტკიცება.⁵²³

-მნიშვნელოვანია უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებს შორის კომპეტენციათა დამატებითი გამიჯვნა და სამოსამართლო სამართლის შემოქმედებითი როლი.⁵²⁴

-მიუხედავად იმისა რომ უზენაეს სასამართლოებს არა აქვთ საკანონმდებლო უფლებამოსილება, მათ უნდა შეასრულონ კანონის განმარტების დინამიკური როლი და ზედამხედველობა გაუწიონ სასამართლოების მიერ კანონის გამოყენებას და ამგვარად უზრუნველყონ სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნება. როგორც კანონის დამცველები, ისინი ხელს უწყობენ თავისუფლებათა და ძირითად უფლებათა იურიდიული უსაფრთხოების შენარჩუნებას და დაცვას.⁵²⁵

-მნიშვნელოვანად მიგვაჩნია კანონმდებლობის სისტემატიზაცია, რომ ერთ კოდექსში იყოს თავმოყრილი ადმინისტრაციული საპროცესო ნორმები და არ ადგენდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენების აუცილებლობას.

უზენაეს სასამართლოს აკისრია უდიდესი მნიშვნელობის სამართლებრივი მისია.⁵²⁶

ეს ყოველივე საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს არა მხოლოდ მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურ დაცვას, არამედ უზრუნველყოფს ქართული ადმინისტრაციული სამართლის დახვეწას და სამომავლოდ განვითარებას, როგორც მეცნიერული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

⁵²³ იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბილისი, 2001 წ., გვ. 157.

⁵²⁴ იქვე, გვ. 161.

⁵²⁵ იქვე, გვ. 157.

⁵²⁶ იქვე, გვ. 165.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია, გამოქვეყნებული საქართველოს პარლამენტის უწყებები, 24.08.1995, №31-33, 2015 წლის 8 თებერვლის მდგომარეობით;
2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №39(46), 1999 წელი, 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით;
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, გამოქვეყნებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 3239, 15.07.1999, 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გამოქვეყნებული პარლამენტის უწყებანი, 24 ივლისი, №31,1997წ, 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით;
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გამოქვეყნებული პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, 2015 წლის 20 მარტის მდგომარეობით;
6. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი 04.12.2009;

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და ინფორმაცია ქართულ ენაზე

7. ივ. ჯავახიშვილი., თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., 1984, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე;
8. მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა (რედ.) „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, (kas), (gtz), თბილისი, 2008;
9. მ. ვაჩაძე, ი. თოდრია, პ. ტურავა, ნ. წკეპლაძე „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი“, თბ, 2005;
10. ხ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005;
11. Административное право зарубежных стран: Учебник. Под ред. А. Н. Козирова и М. А. Шатиной . –М.: Спарк, 2003 г. მთარგმნელები: ი. ხარშილაძე, ნ. ოვსიანიკოვა, საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2014;
12. პროფ. დოქ. შ. შულცე, ნ. შმიც-იუსტენი, დოქ. პ. ტურავა, თანაავტორები: თ. ზოდელავა, ა. კაპანაძე „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის, მე-2 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2012;
13. ვ. ლორია., „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი“, თბ. 2004;

14. ვ. ლორია, მ. სალხინაშვილი, „საქართველოს სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები“, თბ. 2001;
15. მ. სალხინაშვილი, ზ. მეიშვილი, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, თბილისი 2005;
16. ა. კობახიძე, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ, 2003;
17. შ. ქურდაძე „სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ, 2006;
18. შ. ქურდაძე, „სამოქალაქო სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოებში“, თბ, 2006;
19. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, თბილისი, 2012 ;
20. თ. თოდრია, „ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში“, თბილისი, 2011;
21. ლ. იზორია, „თანამედროვე სახელწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია“, GTZ, გამომცემლობა „სიესტა“ თბილისი, 2009;
22. გ. ხუბუა, „სამართლის თეორია“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2004;
23. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბილისი, 1993;
24. ო. მელქაზე, ბ. დვალი, „სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში“. თბილისი, 2000;
25. თ. ლილუაშვილი, „სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში“; ნაწილი 1. თბ, 2002;
26. თ. ლილუაშვილი, „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003;
27. თ. ლილუაშვილი, „სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში“, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2005;
28. თ. ლილუაშვილი, გ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, ზ. ძლიერიშვილი „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“, I ნაწილი, თბ, 2014;
29. თ. ლილუაშვილი, „75 წლის საიუბილეო კრებული“, თბ. 2003წ, ვ. ხრუსტალი, „კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დსაშეგებობის) წინაპირობები“;
30. პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრადი მოსამართლეებისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2010;
31. ც. რაიჭენბეჭერი, შ. პაპუაშვილი: „სამართლის განვითარება“-სამოქალაქო პროცესში კასაციის დაშვების ახალი საფუძვლების განმარტებისათვის“, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N 4. 2005;
32. შ. პაპუაშვილი; „სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“, (მომსენებელი ლადოჭანტურია), ჟურნალი - „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 6 №4 2003წ;

33. ვ. ხრუსტალი., „კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში“ სადისერტაციო ნაშრომი, თბ, 2004 ;
34. ვ. ხრუსტალი „კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში“ დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 2004;
35. გია ქირია., „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი“. დისერტაციის ავტორეფერატი, თბ, 1998;
36. გ. ქირია, „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების თავისებურებანი“, ჟურნალი „სამართალი“, 1997 წ, № 9-10;
37. ვ. ხრუსტალი., „საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება“, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2009 ;
38. კ. ყიფიანი, „საკასაციო წარმოების დაწყების საფუძველები სამოქალაქო სამართლის პროცესში ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით,, ჟურ. „მართლმსაჯულება“ 2007;
39. კ. კერესელიძე., „ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო და საკასაციო წარმოება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“. ჟურ. „ადამიანი და კონსტიტუცია,“ 2005წ, №3;
40. თ. მამაიაშვილი, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისადმი მიძღვნილი კონფერენცია, „საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება“, ჟურ. „მართლმსაჯულება“, 2008წ, №1;
41. ე. ქეცბაია., „საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პირობები სამოქალაქო სამართალწარმოებაში“ ჟურ. „მართლმსაჯულება“, 2007 წ, №2;
42. ი. ნოზაძე, „სასამართლო პრეცედენტი ინგლისში“, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. მიძღვნილი პროფ. გ. ინწკირველის დაბადების 75-ე წლისთავს, თბილისი, 2002;
43. ი. ნოზაძე., „მოსამართლეთა სამართალშემოქმედება რომანულ-გერმანულ სამართლებრივ ოჯახში“, ჟურ. „სამართალი“ №1-2, 2008;
44. გ. გოგიაშვილი, „სამოსამართლო სამართალი“, თბილისი, 2014;
45. გ. გოგიაშვილი, სამართლებრივი ტენდენციები, „როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს“, ჟურ. ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2;
46. ს. ჩაჩავა, სამართლებრივი ტენდენციები, „ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი გადასინჯვა“, „სამოსამართლო სამართალი“ (მომხსენებელი კარლმან გაისი), ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 5/2002-4;
47. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა და მოსამართლეთა შეხვედრაზე მიღებული რეზოლუცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლო ხელისუფლების გაძლიერების შესახებ, თემაზე „უზენაესი სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო: როლის, უფლებამოსილებისა და ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულება“, პრადა და ბრნო, 21-23 ოქტომბერი, 1988;

48. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თქვენი ფუნდამენტური უფლებები“, სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი). www.nplg.gov.ge.

საქართველოს საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 21.01. 2003 წლის განჩინება, საქმე №3კ/1295-02;

50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება № ბს-1422-140(კ-11);

51. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება №ბს-435-430(კ-12);

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება №ბს-1247-1191(2კ-09);

53. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს-303-299(კ-14);

54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №ბს-203-200(კ-11);

55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17. 01. 2013 წლის განჩინება, საქმე № ბს-722-707(2კ-12);

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25. 12. 2014 წლის განჩინება, საქმე № ბს-11-11(კ-14);

57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17. 01. 2013 წლის განჩინება, საქმე №ბს-771-755(კ-12);

58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 ივნისის განჩინება, საქმე №ბს-265-257(კ-13).

59. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინება, საქმეზე №ბს-157-155 (კ-17).

60. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 19 აპრილის განჩინება, საქმეზე №ბს-139-137 (კ-17).
61. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 მაისის განჩინება, საქმეზე №ბს-136-134(კ-17).
62. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება # 1/2/434 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (სასამართლოს წევრების ქეტევან ერემადისა და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი);
63. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება # 1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

64. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1990 წლის 12 იანვრის განჩინება, BvL 17/59, BverfGE (10, 264).
65. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1978 წლის 09 სექტემბრის განჩინება 2, 831/76. BV erfG, Beshchl. V. 9.9. 1978 – 2 BvR 831/76 – Bverf GE 49, 148 ;
66. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 11 ივნისის განჩინება 1/79, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 54, 277, 289. BVerfG, Beschl.des Plenums v. 11.6.1980 – IPBvU 1/79 – BverfGE 54, 277, 289;
67. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს 1959 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება - 6 ცრ 176/78 - (BGH, Urt. v. 15.12.1995- VI ZR 176/78);
68. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს 1994 წლის 05 მაისის განჩინება - 1-4/93 - (BGH V. 5,5 1994 – VGS 1-4/93);
69. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს 1959 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება - 8 ცრ 3/58 - გერმანული სამართლის ყოველთვიური გამოცემა 1959, 486. (BGH, Urt. v.27.01.1959-VIII ZR 3/58-MDR 1959,486);

70. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს 1996 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება - 8 ცრ 108/95 (BGH, Urt. v. 17,91996-VIII ZR 108/95);
71. გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1976 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 2 რუ 127/74 -(BSG,Urt. v. 27.10.1976-2 Ru 127/74);
72. გერმანიის ადმინისტრაციულ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1987 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება - 4 ც 35.85 - (BVerwG, Urt. v. 16 10 1987-4 C 35.85);
73. გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1959 წლის 03 ნოემბრის გადაწყვეტილება - 2 რვ 826/56 -(BSG,Urt. v. 3.11.1959-9RV 826/56);
74. გერმანიის სოციალურ საქმეთა ფედერალური სასამართლოს 1991 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება - 1რრ 2/89 - (BSG,Urt.v.17.4.1991-1RR 2/89);

ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები

75. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება # 72701/01, „Yakovlev vs Russia“, [http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#,,itemid](http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-68516#,,itemid%): (“001-68516“).

უცხოური ნორმატიული აქტები

76. Verwaltungsgerichtsordnung, გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მიღებული 1960 წლის 20 იანვარს;
77. Grundgesetz, გერმანიის ძირითადი კანონი, მიღებული 1949 წლის 23 მაისს, 2012 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, BGBl. IS. 1478;

უცხოური სამართლებრივი ლიტერატურა

78. May, Artur. Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete-und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn. München: Heymanns, 1997;
79. Zivilprozessordnung, Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24., neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2002;

80. Lüke .W; Zivilprozessrecht, Beck, 7; Auflage, München, 1999;
81. Couchez G. procédure civilé, Dalloz, 9^e edition 1996;
82. Ginchar S., Raynaud P., Nouveau Code de Procédure civile, Dalloz, edition 2002;
83. Jurisdiktionsnorm und Zivilprozessordnung, Herausgegeben von Dr. Rudolf Stohanzl. 15; Auflage. Wien 2002;
84. Gomien / Harris/ Zvaak. Law and Practice of the European Convention on Human Rights and the European Social Charter, Council of Europe Publishing, 1998;
85. Epping, V., Grundrechte, Lehrbuch, Verlag Springer, Berlin, Heidelberg, Newyourk, 2007;
86. J.Schwarze, European Administrative Law, Sweet and Maxwell, 1992;
87. M.P. Singh, German administrative Law in Common Law perspective, Germany 2001;
88. Walter Leisner, Aldo Piras, Massimo Stipo, Administrative Law the problem of Justice. Vol III WesternEuropean democracies Giuffre Milan 1997;
89. Hesse, Bestand und Bedeutung der Grundrechte in der Bundesrepublik deutschland, in : EuGRZ 1978, S. 434; Ossenbuhl , Grundrechtsschutz im und durch Verfahrensrecht, in Festschrift für Kurt Eichenberger zum 60. Geburtstag, Eicherberger, 1982;
90. In-Chin Chen, Das institute der Vertretung im Vertretung im Verwaltungsverfahren zwieschen Verwaltungseffizienz und Rechtsschuttauftrag, Peter Lang, Frankfurt, 2000;
91. Kiener, Rutsche, Kuhn, Öffentliches Verfahrensrecht, Verlag Dike,Zurich, St. Gallen, 2012;
92. Walman, B., Weeissenberger P., Praxiskommentar zum Bundesgesetz über das Verwaltungsverfahren (VwVG),), SCHULTHESS VERLAG, Zü RICH, 2009;
93. Ule, C.H., Laubunger, H.W., Verwaltungsverfahrensrecht, 3 Auflage, C. Heimans Verlag, Berlin, Boom, Munchen, 1986;
94. Jauernig, O, Zivilprozessrecht, Verlag C.H. Beck'', 2003;
95. J. Boré L. Boré. La cassation en martière civile. Dalloz, 2008;
96. G Couchez, Procédure civile. Paris. 1998;
97. Breton, L'arrêt de la Cour de de cassation,Toulouse, 1975;
98. Smith. Judicial Rewiew of Administrative Action, 1980;
99. Fridman. Limits of Judicial Lawmaking, 1966;
100. Carbonier. Droit Civil, 1971;
- 101.Eckhoff T. Justice, it's determination in social interaction Rotterdam, 1974;
102. S.B. Marsh, I. Soulsby, Outlines of English Law, 5th. Edition, London, 1980;
103. R.A. Leftar. The task of the appellate court „ Notre dame lawyer“, 1958;
104. N. Tate. Judicial instution in Cross-national perspective: goward integrating Courts into the Comparative Study of the Politics, Oxford, 1981;
105. Jauernig O; Zivilprozessrecht, Verlag C.H. Beck, 2003;
106. С.В. БОБОТОВ, ПРАВАСУДИЕ ВО ФРАИИЙ М. 1994;
107. Боботов С. В. Буржуазные концепции судейского нормотворчества. 1986;

108. С.С. Алесеев. Общая теория права. Т. 2, М. 1982;
109. М. А. Алиескеров, Кассационное производство по гражданским делам: вопросы теории и практики. Изд. „норма“, 2005;
- 110.Бребан, Г. Французское административное право, М. 1998;
- 111.Шершеневич Г .Ф. Общая теория права. Том 2 , Москва, издание Бр. Башмакових 1910;
- 112.Н.М. Коршунов, Ю. Л. Мареев, Гражданский процесс, М. 2004;
- 113.С. С. Алелсеев, праго: азбука- теория- философия: Опыт комплексного исследования, М. 1999;
- 114.Рене Давид, Основные правовые системы современности, М. 1988;
- 115.Кросс Р. Прецедент в английсом праве. М., 1985;
- 116.Апарова Т. Б. Суды и судебный процесс Великобритании. Англия, Уэльс, Шотландия. М., 1996;
- 117.Уолкер Р., Английская судебная система, М. 1980;
- 118.В. М. Корельского и В. Д. Перевалова. Теория государства и права. М. 1997;

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ, არ გამოიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

თ. ღვამიჩავა